მაისი 25 1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 90 (384) ფასი 40 თეთრი


## ისევ ბაზალეთის ტბაზე მშენებარე კერძო უნივერსიტეტი, რომლის 85 პროცენტი ორ თურქულ ფირმას ეკუთვნის, 7.5%-7.5% – საქართველოს განათლების სამინისტროს და დუშეთის გამგეობას და რომელსაც (იმის მიხედვით, თუ როგორ აწყობთ) ხან ბისეკისას უწოდებენ, ხან – შავიზღვისპირა ქვეყნებისას, ხან – საერთაშორისოს, ხან – თურქულს, ხან – თურქულ-ქართულს და ხანაც – სუფთა ქართულს

...„კავკასიონმა" იმდენი წერა ეგრეთ ... თურქული უნივერსიტეტის შესახებ, ...ული პროგნოზების გაკეთება და ...ცეების გათვლა, ნამდვილად, აღარ ...რდეს. თანაც ისეთი პროგნოზებისა, ... მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ...ა. გუშინდელ ნომერში ვწერდით: ... კიდევ ერთი ფართო წარმომადგენლობითი ... გაიმართება უნივერსიტეტში, ...მსვლელები დასვამენ უამრავ უპასუხო ... მოიხმობენ არგუმენტებს, მიმართავენ ...ლებას, აიშლიან ნერვებს, გაიხეთქავენ ... მერე დაიშლებიან, ხვალ-ზეგ გაზეთებში ...თხავენ რეპორტაჟებს და ისევ აიშლიან სახელობის საერთაშორისო, სინამდვილეში კი ორი ავტორიტეტშელახული თურქული ფირმისა და საქართველოს მხრიდან რამდენიმე დაინტერესებულ პირს შორის მომხდარი გარიგებით საფუძველჩაყრილი უნივერსიტეტის გახსნა; რა მოტივი ამოძრავებთ თურქ „განმანათლებლებს", როცა თავიანთ კაპიტალს ფინანსური თვალსაზრისით ისეთ წამგებიან სფეროში აბანდებენ, როგორიც საუნივერსიტეტო განათლებაა; სამართლებრივად რამდენად მიზანშეწონილია 99 წლით მიწის იჯარით გაცემა; დემოგრაფიული თვალსაზრისით, რამდენად შეძლებს ქართული ოჯახი, კონკურენცია გაუწიოს იმ თურქთა ოჯახებს, სადაც, მინიმუმ, ათი ბავშვი მაინც იზრდება; თუ ჩვენი ქვეყნის გან...ების სისტემის რეორგანიზაციას ვაპირებ..., ხომ არ აჯობებდა, ეს ჩვენივე ძალებ... გაგვეკეთებინა და არა თურქების დახმარებით; ბევრი წამოეგო თურქების ჩინადადებაზე — უნივერსიტეტის ს... ცვლოდ თურქეთში ქართულ სკოლებს გაგიხსნითო, მაგრამ, როგორ ან ვისთვის უნდა გაიხსნას იქ ქართული სკოლა, როცა თურქეთის

...მოხდა...

...გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივე... ...მართლაც შედგა შეხვედრა, ...ინიციატორიც უნივერსიტეტის ...მწერალთა წრის გამგეობა ...შეხვედრა წარმომადგენლობითი ...მოწვეულნი იყვნენ თბილისის ...უნივერსიტეტის, რამდენიმე ...ორგანიზაციის წარმომადგე... კომპეტენტური პირები, უნივერ... პროფესორ-მასწავლებლები. მარ... დაისვა უამრავი ნაცნობი და ...შეკითხვა. მაგალითად, რას მო... საქართველოს, ვითომ შავი ზღვის

იხილეთ მე 2 გვ.




## ზურაბ ჟვანია თურქული უნივერსიტეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ „აიოტაჟი, ე.ნ. თურქული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე, არც ისე მწვავე პრობლემაა, როგორც ზოგიერთს სურს წარმოადგინოს. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი".

გარდა ამისა, ზურაბ ჟვანია მიიჩნევს, რომ პარლამენტმა შეიძლება მიიღოს კანონი, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი საგანმანათლებლო ან კულტურული დაწესებულების გახსნა საქართველოს ტერიტორიაზე პარლამენტის მიერ უნდა იქნეს დამტკიცებული.

იბერია

## ახალი „მშობლიური" ენა?

გალის რაიონის აფხაზურმა ადმინისტრაციამ ქართულ სკოლებში ქართული ენის გამოცდა გააუქმა. გალის რაიონის სკოლების დირექტორებს კრებაზე ადგილობრივი ადმინისტრაციის განათლების განყოფილების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ გამოსაშვებ IX და XI კლასებში გაუქმებულია გამოცდები ქართულ ენასა და წერაში. სამაგიეროდ გამოცდები დაინიშნა რუსულ ენაში.

BGI

ეკლესია

## ილია მეორე თბილისს დაბრუნდა

23 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, შვეიცარიასა და გერმანიაში 10 დღიანი ვიზიტის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა.

ვიზიტის მსვლელობისას, იგი შეხვდა შვეიცარიის პროტესტანტული ეკლესიის ფედერაციის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტს, მსოფლიოს საპატრიარქოს წარმომადგენელს, შვეიცარიის მიტროპოლიტს დამასკინოსს და შვეიცარიაში არსებულ საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტს. შედგა სამუშაო შეხვედრა შვეიცარიის კონფედერაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ელჩთან.

ჟენევაში ილია მეორე შეხვდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს კონრად რაიზერს და ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალურ მდივანს ჟან ფიშერს.

გერმანიაში გაიმართა შეხვედრები შტუტგარტის წმინდა მოციქულთა პეტრე-პავლეს სახელობის ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, სადაც მის უწმინდესობას დახვდა მსოფლიოს საპატრიარქოს წარმომადგენელი, გერმანიის მიტროპოლიტი ავგუსტინე. ილია მეორემ აღავლინა სამადლობელი პარაკლისი. იგი ასევე ესტუმრა ბიბლიის საგამომცემლო ინსტიტუტს და მის სტამბას, სადაც მხოლოდ წმინდა წერილი იბეჭდება.

ჩეჩნეთი

## ტრიბუნალი იძიებს ჩეჩნეთში ჩადენილ დანაშაულს

პრაღაში ოცდაოთხ მაისს დაიწყო და სამი დღე გაგრძელდება ჩეჩნეთში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით შექმნილი საერთაშორისო არასამთავრობო ტრიბუნალი. „დღეს განადგურების წინაშე დგას მთ... ეს მცირერიცხოვანი ხალხი, — თქვა ტრიბუნალის თავმჯდომარემ სერგეი გრიგორიანცმა. — ჩვენ გვინდა, ტრიბუნალი მოვაწყოთ, რომ ამით გამოვაფხიზლოთ კაცობრიობა". როგორც ტრიბუნალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ელცინმა შეძლო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლეთის სახელმწიფოების დარწმუნება, რომ დღეს მათ მისი მხარდაჭერის გარდა სხვა გზა არა აქვთ და ამის გამო ისინი თვალს ხუჭავენ იმ ბოროტმოქმედებაზე, რაც ჩეჩნეთში ხდება. ტრიბუნალის მიზანია, გამოიძიოს, დააგროვოს და ევროსასამართლოს ან საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცეს კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული ის დანაშაულები, რომლებიც ჩეჩნეთში ხდებოდა.

იხილეთ მე 3 გვ.

## ლიტერატურული გაზეთი «კავკასიონში»




ჭორი

## თამამად მიირთვით ბანანი!

თბილისში გავრცელდა ხმა, თითქოს მრავალი ადამიანი ბანანით მოიწამლა. რესპუბლიკის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმის მოადგილის ლევან ბაიდოშვილის თქმით, ამ ჭორებს საფუძველი არ გააჩნია. მოწამვლის არცერთი შემთხვევა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურს არ დაუფიქსირებია. დამოუკიდებელი ეკონომისტების აზრით, ეს ჭორები გაავრცელეს ადგილობრივი ხილის გამყიდველებმა, რომლებსაც ბანანით მოვაჭრენი კონკურენციას უწევენ.

BGI

ევროკავშირისკენ

## საქართველო — ოპტიმისტების ქვეყანა

ევროკავშირში საქართველოს სტუმრის სტატუსით მიღების პერსპექტივაზე ფიქრობენ არა მხოლოდ პოლიტიკოსები. ჩვენ, როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა და მისი მოსახლეობა, აქამდე უჩვეულო პარტნიორზე ორიენტაციის და მასთან ურთიერთობის წესს ვეცნობით. ამ პროცესის შესასწავლად, ევროკომისიის ინიციატივით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 19 ქვეყანაში ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილე 20 278 პირმა საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა ევროკავშირის მიმართ და შეაფასა რეგიონში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება.

დსთ-ს ქვეყნებიდან გამოკვლევის სფეროში აღმოჩნდა ექვსი ქვეყანა: საქართველო, სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, რუსეთი და უკრაინა. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, რომლებიც გამოკითხვის ობიექტად [illegible] [illegible] 18 [illegible] [illegible] თბილისში, ქალაქში, [illegible] ხეთში, ქართლ-კახეთში [illegible] ქვემო ქართლში, მესხეთ-ჯავახეთსა და სამეგრელოში. საქართველოში გამოკითხვა ჩატარდა 1995 [illegible] მეთოდოლოგიაზე საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ.

იხილეთ მე 5 გვ.


GIP
საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტი
Georgian Institute of Market Research & Public Opinion
123, David Agmashenebeli ave. 380002, Tbilisi, Republic of Georgia,
Tel. (995) 95.78.79 FAX. (995) 95.48.07 E-mail: gipo@iberiapac.ge

ნავთობსადენი

# თურქეთი უარს აცხადებს სრუტეებში ნავთობტანკერების გატარებაზე

24 მაისს, თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში თევფიქ ოქიაუზი და თურქეთის რესპუბლიკის სამთავრობო-საინფორმაციო სააგენტო „ანატოლიის" სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში ნიაზ ჰუსეინოვი ჟურნალისტებს შეხვდნენ.

შეხვედრის საბაბი გახდა რუსეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე ტრანსპორტირების გზების, სატრანზიტო მარშრუტების პროექტების განხილვა.

როგორც თურქეთის ელჩმა განაცხადა: — თურქეთი უარს აცხადებს ბოსფორის და დარდანელის სრუტეებში ასიათასტონიანი ნავთობტანკერების გატარებაზე. თურქეთს დასაბუთებული არგუმენტები გააჩნია საკუთარი პოზიციის დასაცავად და არავითარ დათმობაზე წასვლას არ აპირებს. სანაცვლოდ, ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებს, ნავთობის კომპანიებს ამ სფეროში თანამშრომლობის ალტერნატიულ გზებს სთავაზობს.

თურქეთი ბაქოდან ჯეიჰანამდე ნავთობსადენის მშენებლობას ეკონომიკურად და ეკოლოგიურად ყველაზე ეფექტურად მიიჩნევს. ჯეიჰანის ტერმინალი თურქეთს ეკონომიკურად ყველაზე რენტაბელურად მიაჩნია.

თევფიქ ოქიაუზმა ციფრობრივ-სტატისტიკური მონაცემების და ტექნიკური დასაბუთების ძომველიებით ისაუბრა სრუტეებში არსებულ სირთულეებზე, ბაქო-ჯეიჰანის მაგისტრალის მომგებიანობაზე, პერსპექტივებზე.

* * *

ბოსფორის და დარდანელის სრუტეებს თავად ტანკერების მოძრაობა ჩაკეტავს.

* * *

თურქეთი „აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიას" 20 მილიონი ტონა ნავთობის ხმელთაშუა ზღვაზე გასატანად საქართველოში დამატებითი ნავთობსადენების აშენებას სთავაზობს.

* * *

ნავთობსადენის მშენებლობის კიდევ რამდენიმე პროექტი არსებობს. ტექნიკურად შესაძლებელია, რომ მოსკოვიდან ვაშინგტონამდეც გადაიჭიმოს ნავთობსადენი, მაგრამ ეს იქნება პოლიტიკური და არა ეკონომიკურად გათვლილი გადაწყვეტილება. რეალურად რომელი მიმართულების პროექტია უფრო მომგებიანი?

* * *

რუსეთთან და ყაზახეთთან დადებული ხელშეკრულების შედეგად ფირმა „შევრონმა" 1 მილიარდი დოლარის ზარალი ნახა.

* * *

რუსეთი თავად უნდა იყოს დაინტერესებული ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობით.

* * *

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ინტერესებში უნდა შედიოდეს, რომ რუსეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის ნავთობი ბაქო-ჯეიჰანის მაგისტრალით გადაიტვირთოს.

ნავთობსადენთან დაკავშირებულ ამ და სხვა საკითხებზე უფრო დაწვრილებით „კავკასიონის" შემდეგ ნომერში იქნება საუბარი.

**ხათუნა რეხვიაშვილი**

— მოკლედ —

## ჩინური ტრაქტორები გაიაფდება

მალე ჩინური ტრაქტორები 1300 დოლარი ეღირება და არა 3015, როგორც ადრე. განაცხადა აგრარული რეფორმების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა პაატა კოღუაშვილმა. მისი თქმით, უკვე მომზადებულია საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რომლის თანახმადაც, 1994 წელს ჩინური კრედიტით შეძენილი ტრაქტორების ფასი დაიკლებს. ისინი გადაეცემა ორგანიზაცია „საქტრაქტორის" სარეალიზაციოდ. ტრაქტორის შეძენა შესაძლებელი იქნება განვადებითაც, კრედიტით და რეალიზაციიდან მიღებულ თანხას შორის განსხვავებას სახელმწიფო დაფარავს.

BGI

## თბილისში სატრანსპორტო ბუმია

დღეისთვის თბილისში სამარშრუტო ტაქსების რეჟიმში მუშაობს 1178 კერძო და 60 სახელმწიფო მიკროავტობუსი, 285 სახელმწიფო და 139 კერძო ავტობუსი — იტყობინება თბილისის მუნიციპალური საწარმოო სატრანსპორტო კომპანია „თბილტრანსი". ამის გარდა, დაახლოებით, 300 „მარშრუტკა" არალეგალურად მუშაობს, ვინაიდან არ გააჩნია ლიცენზია, რომლის მიღებაც შეუძლებელია თბილისში ჩაწერის გარეშე.

კერძო საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ლიცენზირების განყოფილების უფროსის ტერენტი ენდელაძის თქმით, ამჟამად თბილისში ნამდვილი სატრანსპორტო ბუმია. შედარებისთვის — 80-იანი წლების ბოლოს თბილისს 250 სამარშრუტო ტაქსი ემსახურებოდა.

კერძო სამარშრუტო ტაქსების ზრდის პარალელურად კლებულობს ტროლეიბუსებისა და ტრამვაის რიცხვი — ამჟამად თბილისში 52 ტროლეიბუსი და 26 ტრამვაის ვაგონი მუშაობს (80-იანი წლების ბოლოს მუშაობდა 132 ტროლეიბუსი და ტრამვაი). ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, პრაქტიკულად, ორჯერ შემცირდა ტროლეიბუსებისა და ტრამვაის მარშრუტთა რიცხვიც.

BS-PRESS

ფესტივალი [illegible]

# წვიამიანი „თბილისური გაზაფხული" „შერბურულმა ქოლგებმა" დაამშვენა

ნაზამთრალი თბილისი წელს განსაკუთრებული ხალისით ელოდა გაზაფხულის დადგომას. თბილი ამინდი ხომ საქართველოში ბოლო ხანს ცხოვრების ჩვეული რიტმის აღდგენასთან ასოცირდება. გამოდარებამ, ცოტა არ იყოს, დააყოვნა, გვალოდინა, მაგრამ ბოლოს მაინც დადგა სანატრელი გაზაფხული — დათბა, სიცოცხლე აჩქეფდა, და ეს ყველაზე მეტად ქალაქის კულტურულ ცხოვრებას დაეტყო.

ფესტივალი „თბილისური გაზაფხული-96" წელს უკვე მესამედ იმართება ჩვენს ქალაქში. ტრადიციად ქცეული ეს ფესტივალი ყოველწლიურად უფრო და უფრო იხვეწება, მეტ საინტერესო კულტურულ პროგრამას მოიცავს და სულ უფრო მეტად ახალისებს სითბოსა და დღესასწაულებს დანატრებულ თბილისელებს. წლევანდელი „თბილისური გაზაფხულის" კულტურული პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე სასიხარულო მოვლენა, ალბათ, სიმფონიური მუსიკის დარბაზში 22 და 23 მაისს გამართული უდიდესი ფრანგი კომპოზიტორის, დირიჟორისა და შემსრულებლის მიშელ ლეგრანის კონცერტები იყო.

მოგეხსენებათ, ქართველი მაყურებელი განებივრებული არ არის მიშელ ლეგრანის რანგის მუსიკოსების კონცერტებით. ასეთი დიდი ხელოვანის გასტროლები, ცნობილია, რა თანხებთანაცაა დაკავშირებული. მაგრამ ამჯერად, ბატონი ლეგრანი სიამოვნებით დათანხმდა თავისი მეგობრის, ცნობილი ქართველი დირიჟორის, ბატონი ჯანსუღ კახიძის მოწვევას, თბილისს ეახლა და კონცერტები გამართა.

ბატონი ჯანსუღ კახიძე, რომელიც უკვე დახელოვნებულია ქართველებისთვის ამგვარი კულტურული დღესასწაულების მოწყობაში, კონცერტის წინ მაინც წუხდა: „რა თქმა უნდა, უდიდესი მოვლენაა ამ რანგის მუსიკოსის თბილისში ჩამოსვლა (მე ვიტყოდი, რომ მუსიკის ამ ჟანრს, გერშვინის შემდეგ, ასეთი დიდი ფიგურა არ ჰყოლია). ქართველ მაყურებელს საშუალება მიეცა, ცოცხლად მოესმინა იგი, მაგრამ ბილეთის ასეთი მაღალი ფასის გამო, მეეჭვება, რომ იმათ, ვისაც მართლა უყვარს და ესმის მუსიკა, ამ კონცერტებზე დასწრება შეძლონ. ყველასთვის ცნობილია, თუ როგორ ფინანსურ შეჭირვებას განიცდის ქართული ხელოვნება. ლეგრანის კონცერტებზე დასწრებას, ალბათ, მხოლოდ შეძლებული მოქალა[illegible] მოახერხებენ."

— კონცერტებმა მაინც სრული [illegible] გით ჩაიარა. დარბაზში მუსიკალურად [illegible] ლებულმა საზოგადოებამ მოიყარა [illegible] ყოველ შემთხვევაში, როდესაც მიშელ [illegible] გრანი თავის ჯაზურ ტრიოსთან (რემი [illegible] ლო — ელექტრო კონტრაბასი და [illegible] პურადიე-დოუტელი — დასარტყამი [illegible] რუმენტები) და „თბილისის სიმფონიურ [illegible] კესტრთან" (რომელიც ჯანსუღ კახიძის [illegible] რიჟორობით უალრესად [illegible] ორობას უწევდა [illegible] თად, უმშვენიერეს ჯაზურ [illegible] და პოპულარულ სიმღერებს [illegible] მაყურებელსა და შემსრულებელს [illegible] სრული ჰარმონია სუფევდა (დროდადრო [illegible] ლოდისმენტიახალი იმპროვიზაციებით [illegible] რულებული ნაცნობი მელოდიების [illegible] აღქმა). ხოლო როდესაც ლეგრანმა „თბილი[illegible] სის სიმფონიური ორკესტრის" თანხლებით [illegible] თავისი შედევრი, ჩვენი უსაყვარლესი [illegible] ფონია „შერბურული ქოლგები" შეასრულა [illegible] დარბაზში მართლაც დღესასწაულმა [illegible] დგურა. მაყურებლის ოვაცია და აღფრთოვანება იმდენად დიდი იყო, რომ წარმოდგენის ბებს ასე ნაწყვეტ მიშელ ლეგრანსაც გადაეცა ფრანგი სტუმარი გაცისკროვნებული [illegible] და მადლობას. ალბათ, ამ საზეიმო განწყობის შედეგი იყო, რომ კონცერტის დასასრულს დაღლილობის მიუხედავად, ბატონმა [illegible] რანმა ყველა მსურველს მისცა თავისი ავტოგრაფი, ჩვენ კი ერთ კითხვაზე გვიპასუხა [illegible]

— მუსიე ლეგრან, [illegible] ლისში ჩამოსვლამ ოპტიმისტურად [illegible] ნაწყო ქართველი მაყურებელი [illegible] გაგვიჩნდა, რომ ასეთი [illegible] კონტაქტები კვლავაც [illegible] რას იტყვით, გვაქვს ოპტი[illegible] ძველი? და საერთოდ, რა [illegible] თველოს შესახებ?

— პირდაპირ გეტყვით, რომ ეს მართლა არ იქნება. საფრანგეთში ძალიან ცოტა რამ [illegible] საქართველოს შესახებ. მეც სწორედ ამ [illegible] ვარ აქ, რომ უკეთ გავიცნო ეს ქვეყანა [illegible] ნობ, ვათვალიერებ, ვისმენ, ვსწავლობ და [illegible] ან ბედნიერი ვარ. მეტსაც გეტყვით: ნამდვილად სიხარული და დღესასწაულია აქ ყოფნა.

ნინო სვანიძე

პირველი გვერდიდან

კონსტიტუციის პირველსავე მუხლში ცალსახად წერია: თურქეთში, თურქის გარდა სხვა ეროვნების მოქალაქე არ ცხოვრობს;

თუ თურქი პროფესორ-მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება აუცილებლობაა, ხომ არ აჯობებდა, ქართველების გაშვება თურქეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად: არსებობს კი საქართველოში თუნდაც საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნის პირობები?

ჩვენ გვაქვს უნივერსიტეტი და იმას უნდა მოვუაროთ. მობრძანდნენ უნივერსიტეტის აშენების მომხრენი, აგვიხსნან; იქნებ, მართლა კარგი რამეა და ჩვენც მათ გვერდით დავდგებით.

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

სხვათა შორის, ერთ-ერთმა გამომსვლელმა, ბაზალეთში უნივერსიტეტის გახსნის მომხრეთა მცირე ჯგუფის წარმომადგენელს, განათლების მინისტრს, ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს მის მიერ ტელელექციების კითხვის დროს არაერთხელ გამეორებული გიორგი მერჩულეს სიტყვები შეახსენა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების". რასაკვირველია, არც ზემოხსენებულ კითხვებსა თუ შეგონებებზე გაცემულა პასუხი, ერთი უბრალო მიზეზის გამო: მოწვეული, როგორც გუშინ მათ პირობითად უწოდეს, ოპოზიციონერები, კერძოდ, თამაზ კვაჭანტირაძე და გურამ მამულია, არ გამოცხადდნენ. როგორც გაზეთ „სტუდენტური პაემანის" რედაქტორმა თქვა, იგი პირადად ესაუბრა ერთსაც და მეორესაც. ბატონმა გურამმა პირდაპირ კატეგორიული უარი განაცხადა, ბატონ თამაზს კი უთქვამს: „ბოლოსდაბოლოს, რა გააჭირეთ საქმე. რაც სათქმელი იყო, მე უკვე ვთქვი. უნივერსიტეტი კი მაინც აშენდებაო"...

შეხვედრაზე ერთი საინტერესო და დამაინტრიგებელი კითხვაც დაისვა, რომელსაც ოპოზიციის შესაძლო არგუმენტის კვალიფიკაცია მიეცა: ატეხდა კი ასეთ აურზაურს საზოგადოება, ბაზალეთში, თურქულის ნაცვლად, ამერიკული უნივერსიტეტი რომ გახსნილიყო?!

სხვათა შორის, ამ თემაზე გაუთავებელი საუბრისა და რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების ვერმიღების გამო, თავისი გულისტკივილი და აღშფოთება გამოხატეს აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ გიორგი ანთელავამ. სიტყვით გამოვიდნენ, აგრეთვე, მწერალი კობა არაბული და ბერდო გოიშვილი. ბერდო გოიშვილმა დამსწრეთ გააცნო მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელზე, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიკოსები: ოთარ ნათიშვილი, ანდრია აფაქიძე, გიორგი ციციშვილი, გურამ თევზაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე კუჭუხიძე; მწერლები გურამ ფანჯიკიძე, რევაზ მიშველაძე, ლევან სანიკიძე, თამაზ ნივნივაძე და სხვები. მიმართვაში დაფიქსირებულია ხელისმომწერთა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ბაზალეთში ეგრეთ წოდებული თურქული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით.

**ისევ ბაზალეთის ტბაზე მშენებარე კერძო უნივერსიტეტი, რომლის 85 პროცენტი ორ თურქულ ფირმას ეკუთვნის, 7,5%-7,5% – საქართველოს განათლების სამინისტროს და დუშეთის გამგეობას და რომელსაც (იმის მიხედვით, თუ როგორ აწყობთ) ხან ბისეკისას უწოდებენ, ხან – შავიზღვისპირა ქვეყნებისას, ხან – საერთაშორისოს, ხან – თურქულს, ხან – თურქულ-ქართულს და ხანაც – სუფთა**

მიმართვა მიიღეს გუშინდელი შეხვედრის ინიციატორებმაც. მისი ადრესატები არიან საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და განათლების სამინისტრო. იმის გამო, რომ ტექსტმა გარკვეული კორექტივები უნდა განიცადოს, დღევანდელ ნომერში მისი ზუსტი ასლის გამოქვეყნების უფლება, სამწუხაროდ, ვერ მივიღეთ. ზოგადად კი, მიმართვაში მოითხოვენ, მაქსიმალურად მოკლე დროში შეიქმნას საპრეზიდენტო კომისია, რომელშიც შევლენ საზოგადოებრიობის ფართო ფენების წარმომადგენლები. კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა შეისწავლოს უნივერსიტეტის გახსნის სამართლებრივი და მორალური მიზანშეწონილობის საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმართავენ პროტესტის უკიდურეს ფორმებს.

კიდევ ერთი ოპტიმისტური ან იქნებ, დამაფიქრებელი ფრაგმენტი ერთ-ერთი მონაწილის გამოსვლიდან: თუ საჭირო იქნება, ჩვენ შეგვიძლია 1978 წლის 14 აპრილს ქართველების მიერ ჩადენილი გმირობა გავიმეოროთ.

ამ სიტყვების კომენტირებას არ ვაპირებთ. ერთს კი შევნიშნავთ: იქნებ მათ, ვისაც საბოლოო პასუხი ევალებათ, ინებონ და სათანადო რეაგირება მოახდინონ. დრო არ ითმენს. ორჭოფობა თუ დროის გაყვანის ტაქტიკა კი, ვინ იცის, ვის წისქვილზე ასხამს წყალს...

**ირინე დეკანოიძე**

— განათლება —

## სიმწიფის ატესტატი ორი ლარი „ღირს"

თბილისის ბევრ სკოლაში გამოსაშვები გამოცდებისთვის მშობლებისგან 30-40 ლარს [illegible] ვენ. კონფიდენციალური ინფორმაციით, ეს თანხა განიზნულია სიმწიფის ატესტატების, საკანცელარიო საშუალებებისა და მასწავლებლებისთვის [illegible] და საჩუქრების შესაძენად.

განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსმა კობა სუჯაშვილმა ამ მოვლენის შეფასებისას განაცხადა: „არავითარი მოსაკრები სკოლებში არ უნდა იყოს. იგი არის სანქცირებული და უკანონოდ ითვლება. ერთადერთი გადასახადი, რომელიც სკოლადამთავრებულებმა უნდა გადაიხადონ, არის ორი ლარი. იგი საშუალო სკოლის ატესტატის ღირებულებას წარმოადგენს."

## ბოლო ზარი საშუალო სკოლებში

გუშინ საქართველოს [illegible] გადსაგანმანათლებლო [illegible] ბში გამოსაშვები კლასის [illegible] სწავლეთათვის ბოლო ზარი დაირეკა.

განათლების სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წელს საშუალო სკოლას ამთავრებს [illegible] ათასამდე ახალგაზრდა.

Кавказ-Пресс

## ევროკავშირისკენ

პირველი გვერდიდან

### ყნის მომავალი იენტაცია

გამოკითხვის შედეგების მი-
ევროშეთანხმების ათივე
მხარს უჭერს ევროკავ-
მათ შესვლას (მომხრეა
პროცენტი, წინააღმდეგი —
პროცენტი). ამ ქვეყნების
ლეობის უმრავლესობას სა-
ულოდ პერსპექტიულ პარტ-
რად ევროკავშირი უფრო
ნა (34 პროცენტი), ვიდრე
რიკის შეერთებული შტატები
პროცენტი).
საინტერესოდ „ნაწილდება"
ის მომავალი ორიენტაცი-
შფასება: ყოფილი საბჭოთა
ქვეყნების თვალსაზრისით,
ამთი ქვეყნების მომავალი,
თადად, რუსეთთან არის
შირებული. აქ გამონაკლი-
ბალტიისპირეთი, სადაც მო-
ეობის 30-45 პროცენტი
ნის მომავალს ევროპასთან
შირში ხედავს. აქვე უნდა
ნიშნოს, რომ საქართველოს
ხლეობაში რუსეთზე ორიე-
ცია დსთ-ს ქვეყნებს შორის
აზე დაბა-
(34 პრო-
ტი). ჩვენ-
შედარე-
სომხე-
უკრაი-
ბელარუ-
და ყაზა-
ის მოსახ-
ბევრად
პერსპე-
ულად მიიჩნევს რუსეთთან
ში. სომხეთში მოსახლეო-
მხოლოდ 3 პროცენტი უკა-
რებს თავის მომავალს ევრო-
რუსეთში კი უფრო დიდია
ინტერესება შეერთებული
ტატებით, ვიდრე ევროპით
სახლეობის 25 პროცენტი
ვებს, რომ ქვეყანა ამერი-
ნ მიილტვის, 12 პროცენ-
ი — ევროპისკენ).
ევროკომისიის მიერ ჩატა-
ბულმა გამოკვლევამ — ე.წ.
ბარომეტრმა" — ისიც
ა, თუ, კონკრეტულად,
ელი ევროპული ქვეყანა ინ-
ყველაზე დიდ დაინტერე-
გაირკვა, რომ საქართვე-
მოსახლეობის უმეტესობა
ენტაციას გერმანიისკენ
ეს მაჩვენებელი სხვა
ლ საბჭოთა რესპუბლიკებ-
შედარებით ყველაზე მაღა-
რისი მიზეზებიც, ალბათ,
რი ქვეყნის ურთიერთობაში
ვეძებოთ.
მიუხედავად იმ მძიმე ეკო-
ური თუ სხვა სახის პრო-
მებისა, ჩანს, რომ საქართ-
ს მოსახლეობა მაინც ოპ-
ისტურად არის განწყობილი
მავალში. ესტონეთის შემ-
საქართველოს ყველაზე მეტ
რებს მიაჩნია, რომ „სწო-
ქვეყნის მიმართულება" (45
ცენტი). მხოლოდ 32 პრო-
მიიჩნევს, რომ ქვეყანას
სწორი გეზი აქვს აღებული.
რებელ მაგალითად გამო-
, რომ რუსეთის და უკრა-
მოსახლეობის 67 პროცენ-
იქრობს, რომ მათი ქვეყნები
რი გზით მიდიან.
ყნის მომავალი პოლიტი-
ორიენტაციის საკითხი
ბელოვნად არის დამოკი-
ლი ენობრივ ფაქტორზე.
რივი ფაქტორი ბელარუსსა
ზახეთში განსაზღვრავს ამ
სახელმწიფოს ორიენტაცი-
ბ მოსახლეობის 97 პრო-
ისთვის რუსული მშობლი-
ენაა. ამის პარალელურად,
რუსის მოსახლეობის მხო-
7 პროცენტი უჭერს მხარს
კავშირისა და შეერ-
ლი შტატებისკენ ორიენ-
ას, როცა რუსეთისკენ
ენტაცია 68 პროცენტს აღ-
შეიმჩნევა, რომ ამ ქვეყ-
რუსიფიკაციის დონე სა-

კმაოდ მაღალია. ამავე დროს, სომხეთში, სადაც რუსული მოსახლეობის 78 პროცენტისთვის არის მეორე ენა, გამოკითხულ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელია რუსეთისკენ ორიენტაციის საკითხში. საქართველოში ქართული მშობლიური ენაა მოსახლეობის 88 პროცენტისთვის, რუსული მეორე ენაა 65 პროცენტისთვის, შემდეგ მოდის სომხური. გერმანულს და აზერბაიჯანულს მოსახლეობის 5 პროცენტი ფლობს.

### ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის „ევრობარომეტრმა" აჩვენა, რომ მოსახლეობა, ძირითადად, უკმაყოფილოა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით. ევროშეთანხმებაში შემავალ 10 ქვეყანაში მოსახლეობის 37 პროცენტი ფიქრობს, რომ მათ ქვეყანას განვითარების სწორი გეზი აქვს აღებული, 45 პროცენტი უარყოფითადაა განწყობილი. მიუხედავად ამისა, ეს გასულ წლებზე უკეთესი მაჩვენებელია.

დსთ-ის ქვეყნების მოსახლეობა კი ძირითადად პესიმისტურადაა განწყობილი: მხოლოდ 20 პროცენტი ფიქრობს, რომ მათი ქვეყანა სწორი გზით მიდის, მათ უპირისპირდება მოსახლეობის 64 პროცენტი.

დსთ-ის მოსახლეობის 13 პროცენტს მიაჩნია, რომ მათი ახლანდელი ფინანსური მდგომარეობა შარშანდელთან შედარებით გაუმჯობესდა. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ მხრივ, 1995 წელთან შედარებით, საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი ბევრად უფრო ოპტიმისტურია. საქართველოს მოსახლეობის 26 პროცენტი ფიქრობს, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა. ამ ორი სახელმწიფოს მომავლის რწმენა აჭარბებს სხვა ქვეყნებისას. საქართველოს მოსახლეობის 32 პროცენტი საუკეთესო იმედებს ამყარებს მომავალ წელიწადზე.

საერთოდ, აღსანიშნავია საქართველოს მოსახლეობის ოპტიმისტური მიდგომა მომავლისადმი. მოსახლეობის 34 პროცენტი (ეს ყოფილ საბჭოთა ბლოკში ყველაზე დიდი მაჩვენებელია) კმაყოფილია ოჯახის ფინანსური მდგომარეობით გასული 12 თვის მანძილზე. მაშინ, როცა სხვა რესპუბლიკები მიიჩნევენ, რომ მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა წინანდელთან შედარებით (მაგ.უკრაინა 72 — პროცენტი). საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი აღიქვამს მდგომარეობას გაუარესებულად. ქართველი მოსახლეობის ოპტიმიზმი იქამდეც აღწევს, რომ 46 პროცენტს სჯერა საოჯახო ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მომავალ თვეებში და მხოლოდ 9 პროცენტი ფიქრობს, რომ იგი გაუარესდება. ამის ფონზე სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები ერთმანეთს ეჯიბრებიან უარყოფით პროგნოზში (ვფიქრობთ, თუნდაც ამ, ერთი შეხედვით, მშრალ სტატისტიკაშიც კარგად ჩანს ქართული ხასიათი).

### საქართველო — ოპტიმისტების ქვეყანა

### საბაზრო ეკონომიკა

უკვე ექვსი წელია, რაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმა დაიწყო და საბაზრო ეკონომიკა იკიდებს ფეხს. მიუხედავად ქვეყნებში შექმნილი მძიმე ეკონომიური სიტუაციისა, ხალხი მაინც მხარს უჭერს საბაზრო ეკონომიკას. ამის საპირისპიროდ, დსთ-ში გამოკითხული ექვსი ქვეყნიდან ხუთი საბაზრო ეკონომიკის სასტიკი წინააღმდეგია. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს ერთი მომხრე ქვეყანა სწორედ საქართველოა. საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა მიესალმება ეკონომიკურ რეფორმებს, მაგრამ მიაჩნია, რომ ისინი ნელი ტემპით ტარდება.

არჩევნების პირას მდგარი რუსეთის მოსახლეობიდან კი 65 პროცენტი უპირისპირდება რეფორმებს და მხოლოდ 19 პროცენტი ფიქრობს, რომ ისინი ქვეყანას რამეს მოუტანს. სხვა სტატისტიკური მონაცემებითაც ჩანს, რომ რუსეთში საერთო უკმაყოფილება სუფევს. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა უკმაყოფილოა დემოკრატიის განვითარებით და სულ რაღაც 6 პროცენტია კმაყოფილი. საქართველოში მოსახლეობის თითქმის ნახევარი მხარს უჭერს დემოკრატიას.

### ევროკავშირი

გასულ წლებთან შედარებით, დსთ-ის ქვეყნებში რუსეთის მნიშვნელობამ იკლო. ქვეყნის მომავალ ორიენტაციას დსთ-ის მოსახლეობის 11 პროცენტი ხედავს ევროკავშირისკენ. კითხვაზე, თუ ვისკენ უნდა აიღოს გეზი ქვეყანამ მომავალში, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 34 პროცენტი ასახელებს რუსეთს, 66 პროცენტი კი — ევროპასა და ამერიკას.

დსთ-ის მოსახლეობის მხოლოდ 16 პროცენტი აფასებს დადებითად „ევროკავშირის მიზნებსა და ქმედებებს", მაგრამ უფრო ხშირად გაისმოდა პასუხი „არ ვიცი". მოსახლეობის 71 პროცენტი, და ეს რეკორდული ციფრია, არ არის ინფორმირებული. აქ იგრძნობა ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის აშკარა დეფიციტი.

გარდა ამისა, საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ისევ კარგად მეტყველებს ქართულ ხასიათზე: გამოკვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 16 პროცენტი, და ამითი საქართველო წინ უსწრებს ყველა სხვა რესპუბლიკას, ინფორმაციას ევროკავშირზე ევროპელებთან პირადი კონტაქტების მეშვეობით იღებს.

საქართველოს მოსახლეობა მიიჩნევს, რომ საქართველოს უფრო არგია თანამშრომლობა ევროკავშირთან. მაგრამ იმავეს არ ფიქრობენ დსთ-ის სხვა სახელმწიფოებში. რუსეთის მხოლოდ 7 პროცენტს მიაჩნია, რომ ეს ურთიერთობა მათვე გამოადგებათ და, პირიქით, მოსახლეობის 37 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ეს თანამშრომლობა მხოლოდ ევროკავშირის ინტერესებს შეესაბამება.

მომავალში ჩვენ გავაგრძელებთ მკითხველისთვის „ევრობარომეტრის" სტატისტიკური მონაცემების გაცნობას.

მოამზადა

**სოფო საყვარელიძე**

## ჩეჩნეთი

# ტრიბუნალი იძიებს ჩეჩნეთში ჩადენილ დანაშაულს

პირველი გვერდიდან

„ჩვენ არ ვითხოვდით და არც ახლა ვითხოვთ დახმარებას, — თქვა იჩქერიის კონსტიტუციური სასამართლოს თავმჯდომარემ იხვან გერიხანოვმა, — თვრამეტი თვეა გრძელდება ომი, ჩვენი დედების, დების, ცოლების შეურაცხყოფა. ამას ჩვენ ვერასდროს დავივიწყებთ, საერთაშორისო საზოგადოებრიობას კი მოვუწოდებთ, რომ საკუთარი სინდისის ხმას დაეკითხონ და იმის მიხედვით იმოქმედონ".

სერგეი გრიგორიანცის თქმით, ინგლისსა და საფრანგეთში უკვე მრავალი ადამიანი ამბობს უარს გადასახადების გადახდაზე, რადგან ისინი რუსეთისთვის გაწეული დახმარების სახით ჩეჩენი ხალხის გენოციდს ხმარდება. „ეს არის მორალური პოზიცია და ამერიკელებიც თანდათან იწყებენ ამის გაგებას", — განაცხადა ტრიბუნალის თავმჯდომარემ.

ტრიბუნალის დამოუკიდებელი ექსპერტის, ვლადიმერ სტუპიშევის თქმით, მსოფლიოში ორად-ორი იმპერია დარჩა — რუსეთი და ჩინეთი. „ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ჩეჩნეთში, — თქვა მან, — პირდაპირ ურტყამს რუსეთის ინტერესებს. ეს ომი ყოველგვარი მოტივაციის გარეშე მიმდინარეობს. ჩვენ გვსურს სამოქალაქო საზოგადოება ავაშენოთ, რომლის გარეშეც სამართლებრივი სახელმწიფო წარმოუდგენელია. ასეთი ხალხი სამოქალაქო საზოგადოებას ვერ შექმნის. დარწმუნებული ვარ, რომ არ არსებობს იდეა, რომლის გულისთვისაც სხვათა სიცოცხლის გაწირვა იქნება მიზანშეწონილი".

ტრიბუნალმა მოწმის სახით დაკითხა იჩქერიის ქალთა კავშირის თავმჯდომარე ლიბქან გაზაევა, რომლის ძმა — დუდაევის ოფიციალური წარმომადგენელი მოსკოვში, ხამატ ყურბანოვი ჯოჰარ დუდაევთან ერთად დაიღუპა „ზემლია-ვოზდუხის" ტიპის რაკეტებით დაბომბვის დროს. გაზაევამ მრავალი ფაქტი დაასახელა, თუ როგორ გაიყვანეს რუსმა მეომრებმა სახლიდან ავადმყოფი ძმები და როგორ დაიკარგა სამუდამოდ მათი გზა-კვალი, როგორ ამოხოცეს ერთ-ერთ ოჯახში სამი ადამიანი და როგორ მოითხოვდა ხელისუფლება, ეს ფაქტი არ გახმაურებულიყო, „რათა ამას არ მოჰყოლოდა მდგომარეობის დაძაბვა სოვეტსკის რაიონში", სადაც ეს ამბავი მოხდა. მრავალ მსგავს შემთხვევათა შორის განსაკუთრებით მძიმე მოსასმენი მაინც ის იყო, რომ ქალბატონ გაზაევას თქმით, დაბომბვის შედეგად ხელ-ფეხ და მხედველობადაკარგულ ბავშვებს ექიმებმა არ მისცეს იმის ცნობა, რომ ისინი საომარი მოქმედებების შედეგად დაინვალიდდნენ. „ჩვენმა ხალხმა აღარ იცის, ვის მიმართოს, — განაცხადა ლიბქან გაზაევამ, — შეიძლება სასაცილოდაც კი ჟღერდეს, მაგრამ ისინი განცხადებებით მიმართავენ ზავგაევს, ელცინს, მეიჯორს, კლინტონს, გაეროს, ყველასგან ითხოვენ დახმარებას, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს".

როგორც ტრიბუნალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ისინი გამოიძიებენ არა მხოლოდ რუსულ, არამედ ორივე მხარის მიერ ჩადენილ ყველა იმ ბოროტმოქმედებას, რომლებიც კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს. ტრიბუნალი კიდევ ორი დღე გააგრძელებს მუშაობას.

პრაღა, 24 მაისი,
„კავკასიონისთვის"

**სოზარ სუბელიანი**

# კრემლში ჩეჩნებს ელოდებიან

გუშინ, დილის შვიდი საათისთვის, რუსეთის ფედერალურმა ძალებმა მძიმე ტექნიკის გამოყენებით დაიწყეს სოფელ ალხანკალას ბლოკირება. ოპერაციის დაწყების მიზეზი გახდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ალხანკალაში ათი რუსი სამხედრო იყო დატყვევებული. რამდენიმე კვირის წინ ამ სოფლის ადმინისტრაციამ, ფედერალური ძალებისა და რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა, ხელი მოაწერეს სამმხრივ შეთანხმებას მშვიდობისა და თანხმობის შესახებ. მიუხედავად ამისა, რუსმა სამხედროებმა ახსნა-განმარტების გარეშე დაიკავეს სოფელი, საიდანაც გასვლა აკრძალულია. ამის შესახებ იუწყება ჩეჩნეთის კომენდანტი პროტოგენ ანდრეევსკი.




მაღალმთიან სოფელ ბამუტშიც სიტუაცია კვლავ დაძაბული რჩება. ჩეჩენი მებრძოლები გაათრებულ წინააღმდეგობას უწევენ რუსებს, განსაკუთრებით, სოფლის დასავლეთის და სამხრეთის მიმართულებით. თუმცა, რუსული სამხედრო წყაროების ცნობით, ფედერალურმა ძალებმა შეძლეს დაეკავებინათ ბამუტის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც დაახლოებით 40 ჩეჩენი გაანადგურეს, ხელში ჩაიგდეს დიდი რაოდენობით საბრძოლო იარაღი და ტექნიკა. რუსეთის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის განცხადებით, ბამუტის რაიონში ხუთდღიანი ბრძოლების შედეგად, ჩეჩნებმა 400 მებრძოლი დაკარგეს. სულ კი საომარ მოქმედებებში 800 „ბოევიკი" მონაწილეობდა. გრაჩოვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩეჩნების მხარეს იბრძოდნენ დაქირავებულები, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეებიც. იტარტასის ცნობით, ფედერალური ძალების დანაკარგმა 40 მებრძოლი შეადგინა (?!). ბამუტის აღების ოპერაციის დასრულებას ფედერალური ძალები უახლოეს დღეებში ვარაუდობენ.

თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა, აგრეთვე, „დაადასტურა", რომ „ბამუტის აღების ოპერაცია თითქმის დასრულდა. ჩეჩენ მებრძოლთა ნახევარი დაღუპულია. მათგან უმრავლესობა დაქირავებული მეომრები აღმოჩნდნენ, დსთ-ს ქვეყნებიდან და შორეული საზღვარგარეთიდანაც კი. რუსეთის ჯარის დანაკარგი დაახლოებით 30 კაცია". მიუხედავად მინისტრის ოპტიმისტური განცხადებისა, სოფლის დასავლეთ და სამხრეთ მისადგომებთან კვლავ გაათრებული ბრძოლა მიმდინარეობს. ჩეჩნების ორი საყრდენი პუნქტის მისადგომები დანაღმულია და მათი აღება რუსებს უძნელდებათ.

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა კი არხანგელსკში ყოფნისას განაცხადა, რომ ანგარიშს გაუწევს ჩეჩენთა ლიდერ ზელიმხან იანდარბაევის გეგმებს. მისი თქმით, „ყინული უკვე დაიძრა და დანარჩენს მომავალი აჩვენებს". მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარების მიმართულებით მცირე პროგრესიც კი ელცინის საარჩევნო შანსებს დიდ სარგებლობას მოუტანს. მის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ იგი უკვე აღარ უწოდებს ჩეჩნებს კრიმინალებსა და ბანდიტებს.

დოკუ ზავგაევის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭო მიესალმა „სენსაციურ" შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ბორის ელცინი და ჩეჩნების ლიდერი ზელიმხან იანდარბიევი ერთმანეთს შეხვდებიან. საბჭოს განცხადებით, ეს პირველი რეალური ნაბიჯია რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომლის შედეგადაც, შეიძლება, კონფლიქტი მშვიდობიანად დარეგულირდეს.

თუმცა, თავად ჩეჩნეთის ხელმძღვანელს დოკუ ზავგაევს ეჭვი ეპარება ასეთი შეხვედრის წარმატებით დასრულებაში. მისი აზრით, იანდარბიევის უკან არავინ დგას და იგი მხოლოდ თავის თავს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ზავგაევის თქმით, ყველა კონტაქტი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარებას, აუცილებელია.

ჩეჩენ მებრძოლთა ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ლიდერმა ასლან მასხადოვმა კი უკვე ბორის ელცინისა და ზელიმხან იანდარბიევის მომავალი შეხვედრის კოორდინატებიც დაასახელა: მისი თქმით, ეს შეხვედრა 27 მაისს შედგება კრემლში.

მოამზადეს

**გივი სვანიძე**
**კირილე შაფათაძე**

# ითქვა სიმართლე?

## ისევ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში მომხდარი განხეთქილების გამო

**გუშინ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა მცირე ინფორმაცია, „ვინ იტყვის სიმართლეს?", სადაც მკითხველებს დავპირდით, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში არსებული განხეთქილების შესახებ უფრო დაწვრილებით წითელ ჯვარში გამართული პრესკონფერენციის შემდეგ, ანუ, დღეს მოგახსენებდით.**

საქართველოს წითელი ჯვრის ოფისში მისულს ფრიად არასასიამოვნო სიტუაცია დამხვდა — ფოიეში გზა გადაელობათ და წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტის, ბატონ ნოდარ ცქიტიშვილის კაბინეტში, სადაც ტარდებოდა პრესკონფერენცია, არ უშვებდნენ მის ოპონენტს, რესპუბლიკური მაშველი ცენტრის წარმომადგენელს ბატონ შალვა ლეჟავას. გაცეცხლებული „არასასიამოვნო სტუმარი," შეიძლება ითქვას, ძალით გამოუშვეს უკან. არადა, გუშინწინ, ბატონ ნოდარ ცქიტიშვილის ოპონენტთა მიერ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ჩემი თვალით ვნახე ბარათი, სადაც იმდღევანდელი პრესკონფერენციის მონაწილეებსაც და ჟურნალისტებსაც წითელი ჯვრის ოფისში გვეპატიჟებოდნენ. თანაც ცქიტიშვილის ოპონენტების მიერ გამართულ პრესკონფერენციას მისი მომხრეები ესწრებოდნენ და იქ მყოფთაგან პროტესტი არავის გამოუთქვამს.

ამ „მცირე" ინციდენტის გამო ბატონმა ნოდარ ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ ამგვარი აქტი პრესკონფერენციის ნორმალურად ჩატარებისთვის იყო საჭირო.

არ ვიცი, რამდენად შეუშლიდა და შალვა ლეჟავა საუბრის მიმდინარეობას ხელს, მაგრამ, ერთი რამ ცხადი გახდა — დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფლიქტი იმდენად გამწვავებულია, რომ ძნელად თუ ვინმე მოახერხებს მათ შორის შერიგების მანდილის ჩაგდებას.

მაინც რა მოხდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში, რატომ დაუპირისპირდა მის პრეზიდენტს, ბატონ ნოდარ ცქიტიშვილს ახალგაზრდული წითელი ჯვრის ხელმძღვანელი მაკა ქემხაძე და რესპუბლიკური მაშველი ცენტრი „სანთელი"?

### ორი „სანთელი", ორივე მაშველი და ...ერთმანეთის პირისპირ?!

**1989 წლის 27 სექტემბერს** საქართველოს სსრ წითელი ჯვრის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცდა რესპუბლიკური მაშველი ცენტრის „სანთელის" წესდება. იგი დაარსდა, როგორც საქართველოს წითელი ჯვრის შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თავისი ანგარიში და ბეჭედი.

მაშველთა ძირითადმა შემადგენლობამ ფუნქციონირება დაიწყო **1990 წლის** შემოდგომიდან. მას შემდეგ ამ სამსახურმა არაერთი სიკეთე გააკეთა ხალხისთვის, ისინი შველოდნენ აფხაზეთიდან დევნილებს, მიწისძვრით დაზარალებულებს, ზვავების დროს დაშავებულებს.

**1991-1992 წლებში** რესპუბლიკური მაშველი ცენტრი „სანთელი" ფინანსდებოდა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ხოლო **1993 წლის 18 მაისიდან** საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის **1993 წლის 18 მაისის** დადგენილება **(№364)** და ყოველწლიურად ბიუჯეტიდან გასცემდა თანხებს „სანთელის" დასაფინანსებლად.

**1995 წლის** თებერვალში, იმ მოტივით, რომ თითქოს საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოება ითხოვდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სტრუქტურულ რეორგანიზაციას, შექმნა წითელი ჯვრის საზოგადოებასთან არსებული ოპერატიულ-ანალიტიკური განყოფილება.

ეტყობა, აქედან დაიწყო უთანხმოება „სანთელსა" და წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის. რა საფუძვლები გაარა ამ კონფლიქტმა, ახლა ძნელი დასადგენია, დოკუმენტალურად კი მხოლოდ ის ჩანს, რომ ჯერ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება „სანთელის" ლიკვიდაციის შესახებ **(1995 წლის 7 ივლისი)**, შემდეგ რესპუბლიკურმა მაშველმა ცენტრმა ჩაატარა ყრილობა **(1995 წლის 18 სექტემბერი)**, რომელზეც დადგინდა „სანთელის" წითელი ჯვრის საზოგადოებიდან გასვლა და დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბება.

**1995 წლის 21 სექტემბერს** საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ხელახალ რეგისტრაციაში გაატარა რესპუბლიკური მაშველი ცენტრი „სანთელი" და გასცა სარეგისტრაციო მოწმობა.

„სანთელის" შემადგენლობის ნაწილი, რომელიც დღეს თავს ერთიანი „სანთელის" სამართალმემკვიდრედ თვლის, დარჩა წითელი ჯვრის საზოგადოებაში, ნაწილი კი, რომელიც ცალკე გამოეყო და დამოუკიდებელ იურიდიულ პირად გატარდა რეგისტრაციაში, აცხადებს, რომ სწორედ ისაა „სანთელის" სამართალმემკვიდრე და ქონება, რომელიც **1995 წლის 25 მარტის** დადგენილების საფუძველზე წითელი ჯვრის ბალანსზე ირიცხება, მას ეკუთვნის.

**ამონაწერი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმის 7 ივლისის დადგენილებიდან, „რესპუბლიკური მაშველი ცენტრის „სანთელის" ლიკვიდაციის შესახებ":** „პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების რესპუბლიკურ მაშველ ცენტრ „სანთელში" ჩატარდა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზია, რომლის შედეგადაც აღმოჩნდა სერიოზული დარღვევები: სატრანსპორტო საშუალებების, მატერიალური ფასეულობების მასიური ჩამოწერა, პრივატიზაცია, მათ შორის ბაკურიანში კაპიტალური შენობისა, რომელიც შეისყიდა სამაშველო სამსახურის უფროსმა ლ.უთარაშვილმა."

ამ ბრალდებების საპასუხოდ „სანთელი" აცხადებს, რომ ნოდარ ცქიტიშვილის გაცხარების მიზეზი ის კი არაა, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, არამედ ის, რომ მას შეექმნა წარმოდგენა, რომ „სანთელის" ავტორიტეტი სჯარბობდა მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის ავტორიტეტს და უსაფუძვლო არგუმენტების მომიზეზებით მოისურვა „სანთელის" ლიკვიდაცია, რამაც გამოიწვია მაშველთა დაპირისპირება და სამსახურის ფაქტობრივი პარალიზება, რაც საშუალებას აძლევდა მიეთვისებინა წლების განმავლობაში „სანთელის" მიერ დაგროვებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მისი სახელი.

**ამონაწერი რესპუბლიკური მაშველი ცენტრის „სანთელის" ინფორმაციიდან:** „იმის გამო, რომ 1995 წლის 25 მარტს არავითარი ყრილობა არ ჩატარებულა და ოქმი ყალბად გაფორმდა, „სანთელთან" დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება და ფინანსური ოპერაცია იურიდიულად არაკანონიერია.

„სანთელის" ოფისიდან წითელი ჯვრის საზოგადოებაში წაღებული იქნა რაციები და სხვა მატერიალური ფასეულობანი, საფინანსო და საალრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც ჯერ არ დაბრუნებულა, ხოლო დღემდე განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებზე ხელს აწერს წითელი ჯვრის საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი, რაც ასევე არაკანონიერია, რადგან „სანთელში" მომხდარი ცვლილებების შესახებ არ ყოფილა ინფორმირებული არც იუსტიციის სამინისტრო, არც ფინანსთა სამინისტრო და არც ბანკი."

როგორც „სანთელი" აცხადებს, მისი ხელახალი რეგისტრაციის შესახებ მაშინვე აცნობეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, დიდუბის რაიონის პოლიციას (სანთელის ყოფილი ბეჭდის გაუქმების შესახებ), ფინანსთა სამინისტროს (წარედგინა დოკუმენტების პაკეტი), ქართული ბანკის ჩუღურეთის განყოფილებას, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს. წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტმა კი ყალბი დოკუმენტი წარუდგინა ჩუღურეთის რაიონის ბანკის მმართველს, თითქოს წითელ ჯვარში მოხდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომლის გამოც მაშველ ცენტრს წესდება დებულებით შეეცვალა.

გართულებული ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა საქმის პროკურატურაში გადატანამ. წითელი ჯვრის პრეზიდენტმა საჩივრით მიმართა დიდუბის რაიონის პროკურატურას.

**1995 წლის 30 ოქტომბერს** „სანთელის" მიერ გაფრთხილებული იქნა ქართული ბანკის ჩუღურეთის განყოფილება, რომ პროკურატურის გადაწყვეტილების მიღებამდე არ გაეცა ოქტომბრის თვის ხელფასი.

**ამონაწერი რესპუბლიკური მაშველი ცენტრის „სანთელის" ინფორმაციიდან:** „31 ოქტომბერს, წითელი ჯვრის პრეზიდენტის ნ. ცქიტიშვილის და ვიცე-პრეზიდენტის ლ. პაპუაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, ბანკმა წითელი ჯვრის საზოგადოების ოპერატიულ-ანალიტიკური განყოფილების დებულების საფუძველზე „სანთელის" გაუქმებული ბეჭდის დამოწმებით გასცა ხელფასი, რაც კანონის აშკარა დარღვევაა."

### პრესკონფერენციაზე გამომსვლელთა სიტყვებიდან:

**ნ. ცქიტიშვილი:** „იუსტიციის სამინისტრომ სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა „სანთელი" ცალკე გაატარა რეგისტრაციაში, როგორც წითელი ჯვრიდან გამოყოფილი სამსახური. მას უნდა მოეთხოვა ჩვენი წერილობითი თანხმობა.

ჩვენთან დარჩა (ერთიანი) „სანთელის" 78 წევრი, ვინ შექმნა ახალი? იმ ხალხმა, ვინც აქედან გავუშვით მაქინატორობისათვის. თუმცა გული მწყდება, რომ შალვა ლეჟავა და კიდევ ცოტა ციხისელი მოხვდნენ ამ გაუგებრობაში. ეგინი აღყოლია ნანა ნაზაროვამ, რომელმაც აიძულა ისინი ფეხით გავეგზავნა ჟენევაში, ფედერაციის პრეზიდენტთან.

ჩვენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გვყავს სამსახურში, ვის ართმევენ ეგენი ხელფასს, ვიზე ამბობენ „სანთელის" წევრები არ არიანო, საკუთარი ზურგით ჰყავთ აფხაზეთიდან ლტოლვილები გამოყვანილნი?!

უამრავი საქმეა ახლა წითელ ჯვარში, ახალ პროგრამას ვამზადებთ, რომელიც 300 000 დოლარი ჯდება, ამის დროა ახლა, პრესკონფერენციები ვმართოთ?

მე ვიცი, სერიოზული ძალა უდგათ მათ მხარში და მოვა დრო, ვიტყვით.

აქვე ვაცხადებთ: თუ მთაწმინდის რაიონის სასამართლო სადაც შევიტანეთ სარჩელი, არ გამოიტანს სწორ გადაწყვეტილებას, ჩვენ იძულებული გავხდებით, ჩამოვიყვანოთ იურისტები ჟენევიდან."

**მამუკა ნიკოლაძე:** „წითელი ჯვრის სამაშველო სამსახურში ისევ ის ბიჭები ვმუშაობთ, ვინც ვმუშაობდით. ჩვენ თავიდან ვიწყებთ ყველა კავშირის აღდგენას. ვმუშაობთ ჩვენი საკუთარი იარაღებით და ნივთებით. არავითარ მითვისებას აქ ადგილი არ აქვს, თუმცა ჩვენც ისევე გვაქვს უფლება „სანთელის" ქონებაზე, როგორც ახლადშექმნილ „სანთელს".

**ლადო პაპუაშვილი:** „ეს გაუგებრობა გამოიწვია იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულმა არასწორმა გადაწყვეტილებამ, „სანთელის" დამოუკიდებლად რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

ამან გამოიწვია ისიც, რომ დღეს არსებობს ორი „სანთელი" — ერთი დამოუკიდებლად არსებული რესპუბლიკური მაშველი ცენტრი „სანთელი" და მეორე — საქართველოს წითელ ჯვართან არსებული რესპუბლიკური მაშველი ცენტრი „სანთელი".

ისინი აცხადებენ, რომ ფინანსთა სამინისტრომ არასწორად გასცა ხელფასები. ფინანსთა სამინისტრო იურისტებითაა სავსე და დავით იაკობიძეს არ შეეშლებოდა, მან ისევ იმას მისცა ხელფასი, ვისაც აძლევდა — წითელ ჯვართან არსებული მაშველთა ცენტრს."

**ლადო მესხი:** „როცა პრესაში ამგვარი კონფლიქტების შესახებ იწერება, სიფრთხილეა საჭირო, რადგან ამას კითხულობენ წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციაში, სადაც ყველა გამოქვეყნებული პუბლიკაციის შემდეგ, რომ საქართველოს წითელ ჯვარი განხეთქილებაა, ალმაცერად იწყებენ ცქერას."

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს წითელი ჯვრის ხელმძღვანელობა თავის უდანაშაულობას დოკუმენტალურად ამტკიცებს, საკვირველი რამ ხდება. სადაც შეიტანეს სარჩელი, თითქმის ყველა ინსტანცია „სანთელის" უპირატესობას აღიარებს. მაგალითად, მიმდინარე წლის 9 იანვარს რესპუბლიკურმა მაშველმა ცენტრმა „სანთელმა" საჩივრით მიმართა რესპუბლიკის პროკურატურას, რომელმაც საქმე განსახილველად გადასცა რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელმაც დაადგინა:

„1. დაკმაყოფილდეს რმც „სანთელის" ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის სასარჩელო მოთხოვნა.

2. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების 1995 წლის 7 ივლისის და 1995 24 ნოემბრის დადგენილებები რმც „სანთელის" ლიკვიდაციის და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან არსებული რმც „სანთელის" შემდგომი განვითარების შესახებ.

3. ცნობილი იქნას რესპუბლიკური მაშველი ცენტრი „სანთელი" საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან 1989 წლიდან 1995 წლის 18 სექტემბრამდე არსებული რმც „სანთელის" სამართალმემკვიდრედ.

4. დაევალოს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმს 10 დღის ვადაში გადასცეს რესპუბლიკურ მაშველ ცენტრ „სანთელს" საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან არსებული რმც „სანთელის" ბალანსზე 1996 წლის 30 მარტის მდგომარეობით არსებული ქონება და მატერიალური საშუალება.

5. დაევალოს რმც „სანთელის" ხელმძღვანელობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით 10 დღის ვადაში უზრუნველყოს რმც „სანთელის საფინანსო და საბანკო საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოგვარება.

6. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას, შეისწავლოს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან არსებული რმც „სანთელის" საბიუჯეტო ანგარიშიდან 1995 წლის აპრილიდან 1996 წლის 16 მაისამდე თანხების გახარჯვის კანონიერება.

7. გადახდეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ სახ. ბაჟი 18 ლარი."

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ნოდარ ცქიტიშვილის განცხადებით, საარბიტრაჟო სასამართლო არაკონსტიტუციური ორგანოა და მისი გადაწყვეტილება მაინცდამაინც არ აღელვებს, დღევანდელი სიტუაცია ასე დასრულდა.

ალბათ მომავალში კიდევ უნდა ველოდოთ მდგომარეობის გამწვავებას, რადგან ახლა სხვა ინსტანციებში შევა სარჩელი და ასე — იმის მაგიერ, რომ მაშველებმა გაჭირვებულ ხალხს უშველონ, კიდევ დიდი ხანი დასჭირდებათ გასაყოფად.

არადა, გასაყოფი არც არაფერია, სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ აფხაზეთიდან ლტოლვილებისთვის „სანთელი" ერთიანია და განუყოფელი, დღეს კი — დაიბნევიან, მაინც რომელ „სანთელს" უნდა დაეყრდნონ?

### „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ..."

„მაკა ქემხაძე წითელ ჯვარში მე მოვიყვანე, მეგონა, ახალგაზრდებს აიყოლებდა და სასიკეთო საქმეებს გააკეთებდა. მერეც, როცა ჩვენს შორის კონფლიქტი დაიწყო, არც მიცდია მისი გათავისუფლება, ვიფიქრე, ახალგაზრდაა და აჯობებს, დავუთმო, იქნებ მიხვდეს შეცდომას-მეთქი..." — განაცხადა ბატონმა ნოდარ ცქიტიშვილმა პრესკონფერენციაზე.

როგორც ჩანს „ცუდად გაუზრდია" ბატონ ნოდარს, თავის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რადგან მისი შეჩერება დღემდე ვერ შეძლო.

კონფლიქტი ამჯერად სულ სხვა კუთხით განვითარდა.

ახალგაზრდული წითელი ჯვრის ორგანიზაცია სამი წელია არსებობს, ოღონდ რა სტატუსით, ეს ვერ გაარკვიეს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტმა და ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა.

პირველი აცხადებს, რომ ეს არ არის არავითარი ახალგაზრდული ორგანიზაცია და მაკა ქემხაძე არ ითვლება მის პრეზიდენტად. მეორე კი საბუთებს იშველიებს, რომ იგი მართლ[illegible] წითელ ჯვარში და თვითონვე დანიშნა ახალგაზ[illegible] წითელი ჯვრის პრეზიდენტად.

ქემხაძე ამტკიცებს, რომ მისი და ახალგაზ[illegible] ორგანიზაციის ინიციატივით უამრავი საქმე [illegible] ნოდარ ცქიტიშვილი კი, ღიად თუ ფარულად [illegible] უშლიდა მუშაობაში, რის გამოც ქემხაძე მას ნ[illegible] ემორჩილებოდა.

აქ უნდა ვეძებოთ კონფლიქტის სათავე[illegible]

მაკა ქემხაძეს არ გამოეწერა ხელფასი, რ[illegible] ზადაც მას მიეთითა ავსტრიის ახალგაზრდული [illegible] ზაციიდან მოსული წერილზე, რომელშიც [illegible] იყო, რომ ერთ-ერთ საერთაშორისო ბანაკში [illegible] მაკა ქემხაძესთან იყო მივლინებული. იგი არ ემო[illegible] ბოდა ბანაკის განაწესს. იმ წერილში ავსტრიის [illegible] ჯვრის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მაკა მას „[illegible] ლად" მოექცა და ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს [illegible] რთველოს წითელი ჯვრის პრეზიდენტი.

საპრეზიდენტო ნაძვის ხის ზეიმის საორგან[illegible] საკითხების მოსაგვარებლად მაკა ქემხაძე პრეზ[illegible] აპარატის მიერ მივლინებული იქნა მოსკოვში. მ[illegible] ბაში წასვლაზე მას სასტიკი უარი განუცხადეს [illegible] ზით, რომ ეს საკითხი ჯერ მხელმძღვანელობასთან [illegible] შეთანხმებულიყო (ნ.ცქიტიშვილი მაშინ შვე[illegible] ყოფებოდა). ქემხაძე ადვილი სამართავი ჩიტი [illegible] იგი მაინც წავიდა. როგორც თვითონ აცხადებს, [illegible] შემდეგ ნ.ცქიტიშვილის მიერ აეკრძალა თანამშრ[illegible] ბთან ურთიერთობა.

ეტყობა, იმ სისტემატური უთანხმოებებ[illegible] რომელიც წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზ[illegible] და მაკა ქემხაძეს შორის ხდებოდა, გაბეზრდა [illegible] ნოდარი და გადაწყვიტა, ახალგაზრდული ორგა[illegible] ის ყრილობის ჩატარება.

ამ პერიოდში (1995 წლის 5 — 15 იანვარ[illegible] ქემხაძე, როგორც თვითონ ამტკიცებს, იმყოფ[illegible] ბორჯომსა და ბაკურიანში საქართველოს პრეზ[illegible] მიერ დამტკიცებული ფართომასშტაბიანი ღონ[illegible] „21-ე საუკუნის ახალი სახელები" მთავარ კურა[illegible] მას ყრილობის ჩატარების შესახებ ეცნობა (?!) [illegible] რვალს.

ყრილობა გაიმართა ქუთაისში.

მის მოწყობაში მაკა ქემხაძეს არავითარი [illegible] ლეობა არ მიუღია.

საინტერესო ისაა, რომ არც ამგვარი [illegible] მერე არ (თუ ვერ) ათავისუფლებენ მას სამსახ[illegible] ყრილობის შემდეგ დაიწყო კონსენსუსის ძიება [illegible] გორც მხარეები ამბობენ, შეთანხმება შედგა, მ[illegible]

აქ კიდევ ერთმა უთანხმოებამ იჩინა თავი. [illegible] ნახა ქუთაისის ყრილობის ოქმი, რომელიც, რო[illegible] თვითონ ამბობს, შეთანხმებისამებრ, არ უნდა [illegible] ლიყო. რატომ? ამის კომენტარს მე ვერ შემ[illegible] ზებთ, რადგან არ ვიცი, რა საუბარი მიმდინარ[illegible] დახურულ კარს მიღმა.

საბოლოოდ საქმე საქართველოს პრეზ[illegible] აპარატამდე მივიდა. 1 მარტს ქემხაძემ მიმართა [illegible] ველოს პრეზიდენტს. მიმართვაში იგი ამხელდა [illegible] ტიშვილს მმართველობის ბოროტად გამოყენ[illegible]

ვალში არც წითელი ჯვრის საზოგადოებ[illegible] ნილა, სასწრაფოდ მოიძიეს დარღვევები, რომე[illegible] ქემხაძეს გააჩნდა და მიმართეს დიდუბის რაიონ[illegible] კურატურას იმის გამო, რომ მან თვითნებურა[illegible] ყენა საქართველოს წითელი ჯვრის ბლანკი, ჩა[illegible] თავისი ორგანიზაციის დასახელება და ფირმა „კ[illegible] ლადან" გამოიტანა ოთხი ყუთი კოკა-კოლა, ამ[illegible] მიიღო 450 ამერიკული დოლარის, 2 297 ლარ[illegible] თეთრის ღირებულების მატერიალური ფასეუ[illegible] რომლის გახარჯვის თაობაზეც ქემხაძეს არანა[illegible] არ წარუდგენია.

დიდუბის რაიონის პროკურატურიდან მ[illegible] სუხი, რომ „მაკა ქემხაძის მიმართ არ აღიძრა [illegible] სამართლის საქმე, მის ქმედებაში დანაშაულის [illegible] არარსებობის გამო" და მისი ურჩობის საქმე მ[illegible] წითელი ჯვრის საზოგადოების გადასაწყვეტია.

მაკა ქემხაძე ახლა თვითონ აპირებს სასამ[illegible] ში სარჩელის აღძვრას, ბატონი ნოდარ ცქიტიშ[illegible] გაოგნებულია იმით, რომ თავისმა მოყვანილმა [illegible] არ გაუმართლა.

* *

ამდენად, წითელი ჯვრის საზოგად[illegible] ლი კონფლიქტის ორი მხარე წარმოვაჩინეთ. [illegible] შემთხვევაში, სინანულის მეტი რა დაგვრჩენია, [illegible] ში კი ერთი შეიძლება ითქვას — როგორც ჩან[illegible] ზრდელმა" კარგად ვერ გათვალა „აღსაზრდელ[illegible] საძლებლობანი, რის შედეგსაც ახლა იმკის.

„წითელ ჯვარში გამართულ პრესკონფე[illegible] ესწრებოდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევ[illegible] რის საერთაშორისო ფედერაციის საქართველ[illegible] ლეგაციის ხელმძღვანელი, ბატონი ალექს[illegible] მარინოვი, რომელმაც თავის გამოსვლაში [illegible] რომ არავითარი ორი წითელი ჯვარი არ ა[illegible] საქართველოში. ფედერაცია ცნობს მხოლო[illegible] წითელ ჯვარს, რომელსაც ზრდილს ვერ მიაყენ[illegible] ვარი მოწინააღმდეგეები, რომლებიც დღეს საქ[illegible] ლოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ჰყავს.

### ეპილოგის მაგიერ

ალბათ, არ ღირდა ამდენი დროის და ე[illegible] ხარჯვად ის საკითხი, რომელზეც ზემოთ ვისაუ[illegible]

ალბათ, ყველაფერს ისევ ერთობა და [illegible] სჯობს, რადგან ვერცერთი სასამართლო ვერ [illegible] იმაზე მაღლა, ვიდრე ადამიანობაა.

მაია ტორ[illegible]

P.S. გუშინდელ ჩვენს ინფორმაც[illegible] რომელიც ზემოაღნიშნულ კონფლი[illegible] შეეხებოდა, გაიპარა დასანანი შეცდომ[illegible] 23 მაისს პრესკონფერენცია ჩაა[illegible] არა საქართველოს წითელი ჯვ[illegible] რესპუბლიკურმა ცენტრმა „სანთელმა", [illegible] მედ მაშველთა რესპუბლიკურმა ცე[illegible] „სანთელმა".

«კავკასიონის» ლიტერატურული გაზეთი

# არილი

25 მაისი, 1996 წ.

კალენდარი



## სიმონ ჩიქოვანი

სიმონ ჩიქოვანი წერდა: „საყრმიდანე ახლო თუ შორეული გზები მიზიდავდა, ფეხით შემოვიარე თითქმის მთელი საქართველო. თემა გზისა ორგანულად შეეთვისა ჩემს პოეზიას და ჩემი ლექსებიც სწორედ ამ ჩემი სანუკვარი განცდის ლირიკული გამჟღავნებაა. ოღონდ ცნება „გზისა" ჩემთვის ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ამ სიტყვის უშუალო მნიშვნელობა გულისხმობს"-ო.

იგი 1903 წელს დაიბადა მარტვილის მახლობლად, სოფელ ნაესაკოვაოში. მალე დაობლდა, სწავლობდა ქუთაისში, თბილისის უნივერსიტეტში, იყო ფუტურისტების ლიტერატურული ჯგუფის „მემარცხენეობა" ერთ-ერთი ლიდერი, ბევრს მოგზაურობდა. 1924 წელს ახალგაზრდა სიმონ ჩიქოვანი ბედმა შეწირვია ერთ-ერთ ახეთ მოგზაურობას კახეთში. ბოლშევიკებმა ხალხურობის გასინჯვის დროს მას შალვა დადიანის ხელით დახაზული მარშრუტის სქემა აღმოუჩინეს, სადაც ის ოჯახები იყო აღნიშნული, სადაც სიმონს შალვას სახელით შეეძლო მისვლა. ახალგაზრდა პოეტი კონტრრევოლუციონერად მიიჩნიეს და, ალბათ, სიკვდილითაც დასჯიდნენ, ბედად, „მნათობის" რედაქციის თანამშრომლობის პირადობის მოწმობა რომ არ ჰქონოდა. სწორედ იმ წელს გაიცნო საზოგადოებამ პოეტი სიმონ ჩიქოვანი, დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები.

1944-51 წლებში სიმონ ჩიქოვანი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, 1954-60 წელს კი ჟურნალ „მნათობის" რედაქტორი. გარდაიცვალა 1966 წელს თბილისში.

რამდენიმე დღის წინ კი მისი გარდაცვალებიდან ოცდაათი წელი შესრულდა.

ტექსტი, რომელსაც დღევანდელ ნომერში გთავაზობთ, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა მოგვაწოდა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.

II




პოეზია

III




პროზა

VI

## გივი ალხაზიშვილი

ესეისტიკა

### საით მახედებს ხსოვნის სარკმელი...

ალბათ, იქ, ქუთაისში, გორასა და ცაცხვებში, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, ბაგრატის ტაძართან...

ჩავიწერე ეს წინადადება, რადგანაც ის, რაც ამ სიტყვებში ვიგულისხმე, ისეთი აღმოჩენა იყო ჩემთვის — ნაღველსა და სიხარულს რომ მიმთლიანებს, გულისცემას რომ მიხშირებს და რაღაცნაირ შიშს, შეუცნობელთან მიახლოების თუ აკვიატებული წინათგრძნობის უეჭველად ასრულების შიშს ბადებს.



ჩემი ცხოვრების ულამაზესმა წლებმა იქ გაიარა და ნოსტალგია, დრო, რაც უფრო გადის, კი არ მინელდება, მიმძაფრდება თანდათანობით. ამ უძველეს უბანში, ბაგრატის ტაძრის მრავალსაუკუნოვან დუმილს დროდადრო არღვევს წმინდა გიორგის ეკლესიის ზარების რეკვა. იმ ჰაერში, მზით გაბრწყინებულ სივრცეში, მესხეთის ქედის „დაბინდულ ქლიავისფერ" ფონზე, უხილავად არსებობს რაღაც ძალა, შეუცნობელი, ლოგოსისთვის მოუხელთებელი, თავს რომ მახსენებს და გამუდმებით იზიდავს სულს ჩემსას. არა, ეს არ არის მხოლოდ საკუთარი ბავშვობის მონატრება, იმ განუმეორებელი დღეების რესტავრაციის მცდელობა, ანდა მხოლოდ იმ გრძნობათა აღდგენის სურვილი, იდუმალთან ზიარების არამიწიერ სიამეს რომ თან ახლავს. მინდა გავერკვე — ვინ მიხმობს, რა ძალა მიზიდავს იქით, იმ გაბრწყინებულ სივრცეში, ჩემი ძველი სახლის და ან გასხვისებული ეზოს შემოგარენში, იმ ხეთა კენწეროების ჯერებისკენ, რომელთა მალული მზერაც შეჩვეულია გელათის მონასტრის გუმბათთა სილუეტს, ბაგრატის ტაძრის ნანგრევების დიდებულებას, წმინდა გიორგის ეკლესიის ჩაბურულ ეზოს და მოლაპლაპე რიონის დინებას — დასავლეთისაკენ — მარადიული მიმართულებით.

მეხსიერებაში ნათდება ნამით: ახლადწათლილი ფერადი ფანჯრები, ტაძრის ეზოში აყვავებული მაგნოლია, ტრიფოლიატის ღობეები და ციცინათელები, უნაბის ულამაზესი ფოთლებიდან ვარსკვლავივით გამომზირალი მწიფე ნაყოფი (მწიფე უნაბისფერი მინახავს უძველეს ფრესკებზე). ახლადწათლილი ფერადი ფანჯრები თითქოს ათვალიერებენ ოთახის სიჩუმეს და სუფთა ფურცლისკენ იხედებიან მალიმალ, ჩემში ჰოულობენ ისეთივე ფერებს და განცდებს, რომელთა შენივთება, შერწყმა, შეზავება გარდაუვალია. ამიტომ არსებობენ ისინი ერთად: ფერები და განცდები, ყვავილთა სურნელი და შთაბეჭდილებები, წარმოსახვანი და პეიზაჟები, დაფნის ბუჩქები და სიტყვები, მინაში ჩაფლული ძველი ქალაქის კედელი და სავენახე მიწის გადაბრუნებისას აღმოჩენილი ტუჩმოტეხილი დოქი. მხოლოდ ეს დოქი შემომრჩა იმ დღეების ნივთიერ სახსოვრად და ის ჯვარი, დოქიდან რომ მიმზერს, ახლაც ანათებს ხსოვნის თვალებს და კიდევ უფრო მიმძაფრებს მონატრებას.

გავიფიქრებდი: სადღაც, იქით, ზღვაა, ეს თბილი ნიავი, ალბათ, იქიდან აღწევს ჩვენამდე და ჩამავალ მზეს თვალს ვაყოლებდი. ზევიდან მთელი ქალაქი კარგად ჩანდა, ნაირნაირი სახურავები, მიხვეულ-მოხვეული თუ ლარივით სწორი ქუჩები, ერთმანეთის მიყოლებით თავაღერილი, ჩამუქებული და შეჯგუფული კვიპაროსები — სასაფლაოთა სევდიანი ორიენტირები — კვიპაროსები — ცოცხალი ობელისკები.

თითქოს დრო არც კი გადიოდა, იმდაგვარი სიმშვიდე განფენილიყო სივრცეში, სუროებშემოხვეულ ხეებში. ხავსმოდებულ ლოდებში, დაფნის სურნელოვან ბუჩქებში, საიდანაც დაფნის ნაყოფი გიშრის თვალივით მოჩანდა მუქი სიმწვანის ფონზე, არ ჩანდა მხოლოდ ზღვა, რომლის არსებობასაც მალავდა ჩამავალი მზით განათებული ჰორიზონტი, თვალსაწიერის დასასრული, მაგრამ ზღვის სუნთქვა, თითქოს, მაინც აღწევდა აქამდე და იდუმალი, აუხსნელი განცდა მეუფლებოდა.

VII

## უილიამ საროიანი 1908-1981

ახალი თარგმანები



### დღეს სწორედ ის დღე არაა?

IV V

საკვირაო საკითხავი

## მიხეილ ზოშჩენკო 1895-1958



### მაიმუნის თავგადასავალი



ქალაქის სამხრეთ ნაწილში იყო ერთი ზოოპარკი — პატარა ზოოლოგიური პარკი. ჰყავდათ ერთი ლომი, ორი ნიანგი, სამი უხსენებელი, ზებრა, ერთი სირაქლემა, ერთიც მაიმუნი, ანუ, უბრალოდ, ანთარი, ჩიტები, პანანა თევზები, ბაყაყები და ცხოველთა სამყაროს სხვა ათასგვარი წვრილმან-წვრილმანი.

ომის დასაწყისში ფაშისტებმა ქალაქი რომ დაბომბეს, ერთი ბომბი ზოოპარკს დაეცა და ისეთი ზათქითა და ხმაურით გასკდა, მთელი იქაური ცხოველები განაცვიფრა.

მოკვდა სამი უხსენებელი — სხვათაშორის, სამივე ერთდროულად, რაც, მართალი რომ ითქვას, არცთუ ისე დიდი დანაკლისი გახლდათ, მაგრამ სამწუხაროდ, მოკვდა სირაქლემაც.

სხვა ცხოველები, რომ იტყვიან, იოლად გადარჩნენ, ეგ არის, ცოტა შეშინდნენ.

ყველაზე მეტად მაინც მაიმუნი იყო შეშინებული. ჰაერის ტალღამ მისი გალია ძირს ჩამოაგდო, გვერდი შეუმტვრია და მაიმუნმა ზედ ბალის ბილიკზე მოადინა ზღართანი. თუმცა, საომარ მოქმედებას მიჩვეული ადამიანებივით, ადგილზე კი არ გაშეშებულა, პირიქით, მაშინვე ხეზე აძვრა, ხიდან მესერზე ისკუპა, მესერიდან პირდაპირ ქუჩაში ჩახტა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

მირბის მაიმუნი, მირბის და თან ფიქრობს: — აქ თუ ბომბები ასე ბათქაბუთქით სკდება, აბა რა ჩემი საქმეაო და, რაც ძალი და ღონე აქვს, მიქრის ქალაქის ქუჩებში. ისეთი გამწარებული გარბის, თითქოს უკან ძაღლების ხროვა ასდევნებია.



გადაირბინა ქალაქი, გავიდა შარაზე. მირბის შარაგზაზე, მირბის და ერთი სული აქვს, ქალაქს როდის გაეცლება. რას იზამ, მაიმუნია, ადამიანი ხომ არ არის! წარმოდგენა არა აქვს, რა უნდა, რატომ უნდა დარჩეს ამ ქალაქში.

VIII

# კალენდარი

# სიმონ ჩიქოვანი



მეუღლესთან ერთად

საქართველოს გ.ლეონიძის სახ.ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში დაცულია პოეტ სიმონ ჩიქოვანის მდიდარი არქივი: ლექსები, თარგმანები, უბის წიგნაკები, ქ-ნ მარიკას და ბ-ნ სიმონის ლეგენდადქცეული სიყვარულის ამსახველი ბარათები და დღიურები.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ არქივში დაცულ მოგონებებზე, რომელთა წერაც პოეტს თავისი ცხოვრების მწუხრზე დაუწყია, ამ დროისთვის მას თვალებშიც ბინდი ჩადგომია და ამიტომაც ძნელი გასარჩევია ფანქრით ნაწერი წვრილი ასოები, ზოგიერთი სიტყვის ამოკითხვა თითქმის შეუძლებელია და ამდენად, შეიძლება არაზუსტიც.

ბ-ნ სიმონს თავისი ახალგაზრდობის მეგობრები ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრე საჯაია, ქეთევან მაღალაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ირაკლი გამრეკელი, დავით კაკაბაძე და სხვები გაუხსენებია. მათ შორის ისეთებიც, ვისზედაც ერთი ხანობა ფიქრიც კი აკრძალული იყო.

მოგონებები ფრაგმენტულია და სხვადასხვა დროსაა ჩაწერილი. პოეტის სიცოცხლეში არც ერთი მათგანი არ გამოქვეყნებულა. მოგვიანებით ბ-ნი სიმონის მეუღლეს, დიდებულ ქალბატონს, მარიკა ელიავა-ჩიქოვანს უცდია გადაეწერა და სისტემაში მოეყვანა ისინი. ერთი მათგანი, მოგონება ტიციან ტაბიძეზე კიდევაც გამოუქვეყნებია „ლიტერატურული საქართველოს" 1968 წლის 7 ივნისის ნომერში ტიციან ტაბიძის იუბილესთან დაკავშირებით. სხვა მოგონებებისთვის, კი როგორც ჩანს ძალა აღარ ეყო, თვითონაც მძიმე ავადმყოფს.

გთავაზობთ, ერთ-ერთ ამონარიდს სიმონ ჩიქოვანის გამოუქვეყნებელი მოგონებებიდან.

მარინე ყიფიანი
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის
ხელნაწერთა განყოფილების გამგე

უწინ ლეკები, შმაგი ქისტები,
თავზე ესხმოდნენ კახეთის მდელოს,
დღეს კი ჰაბუკი ფუტირისტები
ანადგურებენ ძველ საქართველოს.
მაგრამ დგებიან კვალად კითხვები
სად არის ბრძოლის თავი და ბოლო?
პასუხი არის ბენოს სიტყვები
პოეზიაა მიმიკა მხოლოდ.
ამიტომ არ გვსურს ვწეროთ ლექსები
და ვეშურებით პიტნავას დუქანს
ამიტომ არ გვსურს ვწეროთ ლექსები
გიჟურ პაოლოს, ტიციანს მსუქანს.
არჩევანია სახელოვანი,
ჩვენ კი სიცოცხლეს კიდევ ვეცდებით
და მიხარია, რომ ჩიქოვანი
მე მანადგურებს მანიფესტებით.

პაოლო იაშვილი

# ჩანაწერები პაოლო იაშვილზე

ერთხელ თქვა, როდესაც ჩემი პირველი ლექსები დაიბეჭდა: სიმონ ჩიქოვანს ყველაფერი აქვს როგორც პოეტს, შესანიშნავი სახეები და მხატვრობა, მხოლოდ რიტმის გრძნობა აკლია და ვერ მიუკვლევიაო. მეორედ, როდესაც მწერალთა სასახლეში „თეიმურაზ პირველის" პირველი ნაწილი წავიკითხე (პოეზიის სექციის სხდომაზე დაუბეჭდავი ლექსების კითხვა იყო, თავად საბავშვო ლექსები „ნიტა კაპიტანი" და სხვა წაიკითხა) გადამეხვია და გადამკოცნა — შესანიშნავია, მაგრამ ამას არ დაგიბეჭდავენო. რატომ, მე ვუთხარი, ხანდახან ამოჩემებაც იცოდა, წყინდა. მოსკოვში ქართული პოეზიის საღამოები რომ იყო ძლიერ მებრძოდა. მაგრამ მერმე ისევ მირიგდებოდა. როდესაც ამუშავებდნენ, ბერიას გამოსვლაში ცუდად იყო მოხსენებული და ამის გამო ყველა დაესია, ვხედავდი ხარივით როგორ აბრიალებდა თვალებს და შემკრთალი იყო. ჩვენ ახალი ნაჩხუბებული ვიყავით, ერთმანეთს ცივად ვხვდებოდით, მაგრამ იმ ღამეს საოცრად შევწუხდი და პაოლოს დასაცავად გამოვედი. რაც შეიძლებოდა, იმ პირობებში, შევუმსუბუქე დანაშაული, შევაქე ძლიერ და ვთქვი, რომ ძლიერი ტალანტის კაცია, ასე ნუ შეუჩნდებით და უფრო ამხანაგურად მოეპყრათ მეთქი და სხვა. იგი თურმე არ მოელოდა ჩემს ასეთ გამოსვლას — ვალერიანს უთხრა, სიმონი ჩემი ძმა ყოფილაო. ვალერიანს საოცრად უყვარდა პაოლო და ძლიერ გახარებოდა — სიმონ, მადლობელი ვარო-ო, მითხრა.

ვინ იყვნენ დარბაზში

1. კონსტ. ლორთქიფანიძე
2. ნიკო ლორთქიფანიძე
3. გ.ბუხნიკაშვილი
4. ბესო ჟღენტი
5. დავით დემეტრაძე
6. ალ.ქუთათელი
7. ტიციან ტაბიძე
8. პ.საყვარელიძე
9. მიხ.ჯავახიშვილი
10. ვალერიან გაფრინდაშვილი
11. სერგო კლდიაშვილი
12. აკაკი ბელიაშვილი
13. ალ. (.........)
14. ალ.მაშაშვილი (?)
15. კარლო კალაძე
16. ალ.აბაშელი
17. ეული

მერმე მოვიდნენ

18. ირაკლი (აბაშიძე)
19. ირ.ქავჟარაძე

როდესაც დარბაზში პაოლო შემოვიდა სხდომა უკვე დაწყებული იყო, აკაკი ბელიაშვილის წევრობის საკითხი განიხილებოდა. დარბაზში ჩამოთვლილი ხალხი იჯდა. შემოსვლით ვესტიბიულიდან შემოვიდა. კარებში ალ.ქუთათელი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე ისხდნენ. მე კი მარჯვნივ, შუა დარბაზში მეოთხე თუ მეხუთე რიგში ვიჯექი განაპირას, მეორე თუ მესამე სკამზე. როდესაც კარი გაიღო მე შემოვბრუნდი და კარისაკენ გავიხედე. დილით პაოლო ორჯერ* შემხვდა, ჩემი მეუღლის მამის, ნიკო ელიავას ამბავი მკითხა. მე ყურადღება მივაქციე მის შემოსვლას დარბაზში. იგი ალ.ქუთათელთან დაჯდა, ერთხან მასთან საუბრობდა, შემდეგ ადგა და წამოვიდა ჩემსკენ, ჩემს უკან სკამზე დაჯდა და საუბარი დამიწყო, ჯერ მკითხა ნიკოლოზ მინიშვილის ამბავი ხომ არაფერი იციო, ამბობენ დახერიტესო, მერმე მკითხა — მარიკა ძალიან შეწუხებულია-ო. მე ვუპასუხე — ძალიან შეწუხებულია-მეთქი. ნუთუ ნიკოს შესახებ ვერაფერი გაიგეთო. სუსანას (სუსანა ელიავა — ს.ჩიქოვანის ცოლის და) არ შეუძლია რაიმე შეიტყოსო. მე ვუპასუხე — ახლა ვინ რას გეტყვის, რას გაიგებ-მეთქი. მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა ნიკოს შესახებ თითქოს რაღაც იცოდა. ვკითხე, შენ ხომ არაფერი შეგიტყვიაო. (უქამრო თეთრი ხალათი ეცვა). არაო, მითხრა, რომ ვიცოდე შენ გეტყოდიო. შენი საქმე გამოკეთებულა-მეთქი, ხო, გამოირკვაო — მითხრა. სოფელში არ ნახვედი-მეთქი, რა წამიყვანს ახლა სოფელშიო, თითქოს წყენით თქვა და მითხრა — პაპიროსი მომეციო. მაგრამ სანამ მე პაპიროსს ამოვიღებდი ჯიბიდან თავად ამოიღო და მოსწია. მითხრა — შენს მეუღლეს ჩემი გულითადი მოკითხვა გადაეცი და უთხარი, რომ მისი სევდა ჩემთვის გასაგებიაო. მე გამიკვირდა და გაკვირვებულმა შევხედე, მადლობა ვუთხარი. სიმონ — მითხრა, შეიძლება გულში წყენა გქონდეს, მაგრამ იცოდე, რომ მე კეთილშობილი, პატიოსანი, ვაჟკაცი კაცი ვარ და ამას მალე დაგიმტკიცებო. მე უფრო გამიკვირდა და გაკვირვებულმა შევხედე, ცოტათი დავიბენი კიდეც, არ ვიცოდი რა მეთქვა. მერე განმეორებით დამაბარა ჩემს ცოლთან მოკითხვა და წამოდგა. მე ვუთხარი — მოიცადე, პაოლო, შენს მეზობელს მწერალთა კავშირიდან გარიცხვას უპირებენ და დავიცვათ თქო. ვინ ჩემს მეზობელსო, მკითხა. აკაკი ბელიაშვილს-მეთქი. არ შემიძლია დარჩენაო, მობრუნდა, წავიდა. მაგრამ იმ კარებით კი არ გავიდა, რომლიდანაც შემოვიდა, არამედ უკანა, ბაღში გასასვლელი კარებისაკენ წავიდა. მე თვალი გავაყოლე და დავინახე როგორ გავიდა უკანა კარში, მაგრამ როგორ მობრუნდა მეორე სართულისაკენ არ შემიმჩნევია. კრება გაგრძელდა, ალბათ იმდენად უმნიშვნელო იყო რის შესახებაც დავით დემეტრაძე ლაპარაკობდა, რომ იგი მეორე დღესვე დავიწყებული მქონდა.

გავიდა ხუთი თუ შვიდი წუთი და საშინელი ხმით დაიჭექა თოფმა, მაგრამ ის თოფის ხმას არ გავდა, უფრო ყუმბარის გასკდომას. უცებ, წამით სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა, ქუჩისკენ დარბაზის კარები ღია იყო და ვიღაცამ წამოიძახა მინა გასკდაო. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, თოფის გავარდნა, დუმილი და ჩემი გარეთ გავარდნა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ პაოლომ თავი მოიკლა,* ე.ი. თვითმკვლელობა განიზრახა, მაგრამ დაიჭრა და არ მომკვდარა. ღმერთო შეგცოდე (ასე იტყვიან), მე არ მეგონა თუ იგი თავს გაიმეტებდა და ამიტომ ვიფიქრე, რომ იგი დაჭრილია, მაგრამ მკვდარი არ არის — თურმე საშინლად შემცდარი ვიყავი, ყველაფერი ეს ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა — ანი (ჩვენი დამლაგებელი ქალი) ჩამორბოდა კიბეზე და იძახდა — ვაიმე შვილო, ვაიმე შვილო! მე მივვარდი ანიჩკას — სულ მოკვდა? სულ მოკვდა შვილო, სულ მოკვდა. თავი გაპობილი აქვს და ტვინი დაქცეული. უკვე ამის მოსმენა ძნელი იყო, შევბრუნდი, რამდენიმე კაცი დარბაზიდან გამოსული იყო უკვე, მაგრამ უმრავლესობა ისევ დარბაზში იმყოფებოდა და თითქოს დარბაზიდან გამოსვლას ვერ ბედავდა. დარბაზში შევბრუნდი და პირველი ტიციან ტაბიძის თვალები შემომეგება, გალებული და კითხვით სავსე. მე მივუახლოვდი ტიციანს და დაბალი ხმით ვუთხარი — პაოლომ სანადირო თოფით თავი მოიკლა-მეთქი. ტიციანმა ერთი კი წამოიყვირა — ვაიმე პაოლოო და იქვე ჩაჯდა, ვაიმეო, განაგრძო უფრო დაბალი, მონოტონური ხმით. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა თითქოს საკუთარმა ხმამ პირველი დაყვირებით შეაკრთო და ახლა დაბალი ხმით გლოვობსო მეგობარს, თითქოს ერიდებოდა დარბაზში შეკრებილი ხალხის და ... ვად მწერალთა შენობის. მეორე ოთახში (დავითი) დაბნეული, გონება დაკარგული იყო, იჯდა, საწერი მაგიდის ყუთებს აღებდა და ისევ ხურავდა. შესვლისთანავე მითხრა — ვინმეს დაურეკე, სიმონ. ვისთვის უნდა დამერეკა. მაგრამ უკვე დარეკილი იყო. შინსახკომი როდის გაჩნდა მე ვერ შევამჩნიე. ამ დროს მიხეილ ჯავახიშვილი შემოვიდა და დავით დემეტრაძეს მანქანა თხოვა — გაწვიმდა და თეთრი კოსტიუმი დამისველდებაო. დავითი საშინლად გაბრაზდა და იყვირა — რა დროს კოსტიუმია, ვერ ხედავ რა ხდებაო. მაგრამ დავითი ცდებოდა, მიხეილის თხოვნა ეს იყო ერთგვარი დაბნეულობით გამოწვეული საუბარი. არავინ იცოდა რა ეთქვა. თავად დავითიც გაოგნებული და პირში ენა წართმეული იყო. ჩვენმა საყვარელმა ნიკო ლორთქიფანიძემ საკვირველი შეკითხვა მომცა სიმონ, კრება გაგრძელდება თუ არაო. ნიკოს პაოლო საოცრად უყვარდა, ეს კარგად მაგონდება, ბევრჯელ ქონია ჩემთან პაოლოს შესახებ საუბარი, მაგრამ არც მწუხარების გამოთქმა შეიძლებოდა და არც ამ საკითხზე მსჯელობა. საიდანღაც გაჩნდა ირაკლი აბაშიძე, პაოლო მისი ნათესავიც იყო და ალბათ, საყვარელი პოეტიც, პაოლო ძლიერ უყვარდა. მე არ ვიცი მან დაინახა თუ არა თავგაპობილი პაოლო, მაგრამ მე მაგონდება მისი დანითლებული თვალები. რამდენიმე ამხანაგი აღშფოთდა ირაკლის ნაცნობები, და საშინლად შეუტიეს. მე გავშორდი ... გადავწყვიტე პაოლოსთვის დამეხედა. ეს ჩემთვის ძლიერ მძიმე გადასაწყვეტი იყო. ბავშვობიდან მეშინია მიცვალებულის და საყვარელი ბებიისთვისაც არ დამიხედია. მე საერთოდ მიცვალებული არასოდეს მინახავს, მაგრამ ეს შემთხვევა იმ წუთში ისტორიული მნიშვნელობის დღედ მივიჩნიე და გადავწყვიტე ზევით, ვეფხის ტყავთან ჩაკეცილი პაოლო უშუალოდ მენახა და კიბის პირველ საფეხურზე ავიარე. ვიღაცამ საკმაოდ ღონიერად მომიჭირა, მომაბრუნა და დავინახე ჩემს წინ იდგა პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი. პაოლოს უახლოესი მეგობარი და შეიძლება ითქვას ჩემი საყვარელი მეგობარი. მე ალბათ ... ცრემლებით და წყენით შევხედე ვალერიან გაფრინდაშვილს, ხოლო ვალერიანმა ბრძანების კილოთი მითხრა რუსულად

— Я тебя не пущу, ვალერიანს ... ებორკებოდა და აღელვებულს, ... მეტეს. მცირე სიჩუმის შემდეგ დაუმატა

— Я тоже не пойду. Он в нашей памяти должен остаться каким мы его видели в жизни. მომკიდა ხელი ... მწერალთა კავშირის ბაღში გამიყვანა ... ივნისის წვიმა ცრიდა და ჩვენ ... ნამეთ ამ წვიმით. მალე თითქმის გავშორდით ყველას, ვიყავით ვალერიანი, მე და პაოლო იმ საღამოს ... ქვეყანაზე. ბევრი ვიარეთ, მე გვ... ვცხოვრობდი, მაგრამ ვალერიანის ... ჩაში მარტო დატოვება შემეშინდა ... ავყევი ქუჩამდე სადაც იგი ცხოვრობდა. შინ დავბრუნდი. ჩემი ცოლი და მისი მეგობარი ბარბარე ცქიტიშვილი შემეგებნენ. მე უკვე აღარ შემეძლო მეტი, სლუკუნი, დავიწყე და გულში მომებჯინა. როგორ დაიმსხვრა ერთ წუთში ასე ლამაზად აწყობილი ... მე მართალია არ დამინახავს ... სულს გაშორებული პაოლოს სხეული მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მქონდა თითქო დავხედე თავგატეხილს, ... კედელზე მიყრდნობილი ტანი ნათლად დავინახე.



სიმონ ჩიქოვანი და პაოლო იაშვილი მწერალთა საკავშირო პირველი ყრილობის დელეგატებს შორის. 1934 წელი.

# ლალი კეკელიძე

დაიბადა 1962 წელს.
1985 წ. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი (მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფი).
მუშაობს კინომსახიობთა თეატრში.





კაცებს იუდას თვალები,
თავის ჩამოხრჩობის შემდეგ.
ბოჰემური ცხოვრების
მიმდევარი თბილისელი
ბოჰემისტები
დარჩნენ სახტად,
მარტო და განზე
ბეჰემოტებივით დადიან
და ლამაზ ნაგვის მანქანებს
უყურებენ
მოხუც ქალთან ერთად,
მაგრამ არაფერ
შუაში არ არიან.
მე მიყვარს

იქნება ქალი,
რომელიც ქუჩებში
ყვიროდა მაწონი.
ჩვენ არ გვენახა
მანამდე ომი.
და გვამადლიდნენ
წითელ სიმშვიდეს.
ჩვენც, იმის გამო,
რომ არ გვენახა
მანამდე ომი,
ჟირაფებივით დავდიოდით
და ვლოკავდით
წითელ-ატომურ
სიმშვიდის ნაყინებს.

## ერთი თეფში მანი-ფაფის ჭამის დროს, თეკლესათვის მოყოლილი ზღაპარი, ლამაზი ნაგვის მანქანების შესახებ.



...ხუცმა. სინანულით შეხედა
...ში მოსიარულე
...ზ ნაგვის მანქანას,
...ან მოეწონა
...გაიფიქრა,
...მ ვეღარ მოესწრება.
...ლიმ არ იცის,
...მ თბილისის ქუჩებში
...ან ლამაზი
...ის მანქანები.
...ლის ლექსები
...გავს
...ქტიული კლუბის ლექსებს.
...ვანი აღარ არის,
...რც ბეგაა.
...ცხენა სანაპიროზე
...ბების ალლუმია,
...ჯვენამ კი
...ყა მიუშვირა
...მშვიდად არის.
...ცა ვინ იცის.
...მა შეიძლება გააერთიანოს
...ცხენა და მარჯვენა აფეთქებით.
...ვინ არ იცის
...გორ უნდა დაიდგას
...რდი.
... და ითამაშე.
...ებობს სქემა,
...ხიც:




...დრის აბსურდს,
...რეალობას,
...ლიც უდრის
...რდს კვადრატში,
...რომ შეიძლება
...ბეც:




...როგორ უნდა
...დგას
...რდი!
...ნა ახალი ფირმა
...ზერით:
...გორ მოვიკლათ თავი,
...როგორ მოვკლათ ის,
...ც უნდა".
... ჩემი თაობა,
...ერთ
...ურიალებთ
...ცმელებს
... თაობას,
...ლნიც შიშველნი
...ან ოფისებში.
...ებს აქვთ
...ოდიტას ძუძუები,

ჩემი თაობის
ბოჰემური სუნი.
„ბიტლების" პლაკატები,
კომუნისტურ კეტლებზე
ცარცით დახატული
ჰიპების ნიშანი →



„სუპერსტარი"
და 15 კაპიკიანი
ლაღიძის წყლები.
რუსთაველის ძეგლიდან
დაწყებული,
დამთავრებული
ყოფილი ლენინის ძეგლამდე,
იყიდება ჩემი თაობის,
ბავშვობის დროინდელი
აუხდენელი
სალეჭი რეზინები.
დირიჟორმა დრომ
დაითხოვა თავისი
ორკესტრი.
სიჩუმე დამთავრდა.
მე-20-ე მუცლით
დაატარებს 21-ეს.
დაიბადება ის
და ჩვენც წავალთ.
და ისევ,
წაიკითხავენ ბრმები
და მოისმენენ ყრუები.
სიჩუმე ამოწყდება
როგორც ვირთხები,
რომელთაც გაახვევენ
ლამაზ ქაღალდებში
და დადებენ მუზეუმებში.
და მწვანე რობოტები
გაყიდიან ნაყინს.
და ნოსტალგია

როგორც იქნა,
გამოიღვიძა მძინარე
ურჩხულმა.
დამთავრდა
ომობანას თამაში.
ისეთი კარგი ილუზია
იყო თბილისი.
არ შეიძლებოდა
არ მომხდარიყო
რაიმე ცუდი ილუზია.
თბილისი დამთავრდა,
ჩემი თაობის
ერთ-ერთი ბიჭის
მოჭრილ ფეხებთან.
ირაკლის ლექსები
არა გავს
რეაქტიული კლუბის ლექსებს.
რეაქტიული კლუბის ლექსები
არა გავს
რუსთაველისას.
ხოდა მერე რა?!
უნდა იარო ჟირაფივით,
უცხო ქალაქში
და ისევ ლოკო
უცხო გემოს
უცნობი ნაყინი.
თეთრი, ქათქათა
წინსაფრები,
რომლებსაც დაატარებენ
ფორმიანი, ფორა მიცემული
ჭკვიანი მამლუქები,
დაფარავენ
თავიანთი ცოდვებისათვის,
შეწირული ბატინკების
მიმხმარ სისხლებს.
გამარჯვებულებს

დაურიგებენ
ცხელ წვნიანებს,
დამარცხებულებს
დაურიგებენ
ცხელ წვნიანებს
და არდაბრუნებულთა
წვნიანების
დარჩენილ ნაწილს,
ხელმეორედ დაუსხამენ
დაბრუნებულებს.
კუჭივით პატარავდება
და იზრდება სურვილი,
ყოფნა არ ყოფნისა.
ბიჭები ივლიან
კაიფსა და გოგოების
ჟრუანტელის მომგვრელ
სურნელებათა შუა.
ივლიან ზღვარზე
და კაიფში
დაავიწყდებათ
მათი ალერსი.
გოგონები დარჩებიან
უალერსოდ და მარტო.
და მხოლოდ ქარი,
მკვდარი სურათებივით,
დემონსტრაციულად
ჩაატარებს მათ ქალიშვილობას.
ქალიშვილობა გაიცვითება
ამერიკული ვრანგლერებივით.
დატოვებენ ბიჭები გოგოებს
და ცხრა მთას იქით,
ჰუჭყიან კედლებზე
მიაწებებენ
თბილისის ქუჩებს,
სადაც
მარტოდ დარჩენილი,
ლესბიანკები — ამაზონკები
ისეირნებენ.
თბილისის ქუჩებს,
ექნებათ სუნი
ახალი თაობის
და ჩემი თაობის
ცალფეხა ბიჭებს,
დაესიზმრებათ
მე-2-ე მსოფლიო ომი,
რომელიც არ უნახავთ.
დილას კი
ჩართავენ ტელევიზორებს
და ნახავენ ფილმებს,
ომის შესახებ,
რომელიც ნახეს.
მარცხენა სანაპიროზე,
ლამაზ კაბებიან
ბარბების ალლუმზე
თავს დაიწვავს
თივისგან გაკეთებული
ძველი თოჯინა.
მარჯვენა სანაპირო კი
ლოყას მიუშვერს.
ქალაქი გაიცინებს,
ისე, როგორც ბარბი,
როდესაც ერთ-ერთ ქუჩაზე
ჩუმად, როგორც კუბოები
ჩაივლიან ლამაზი ნაგვის მანქანები
და ნაგავს ჩაატარებენ.

# უილიამ საროიანი



ერთი აკვიატებული აზრი შემომიჩნდება ხოლმე: დღეს ხომ სწორედ ის დღეა!

ბოლოს კი მუდამ ირკვევა: შევცდი.

თუმცა, ხშირად ისეც ხდება, რომ ეს თითქმის სწორედ ის დღეა.

დღეს მე რაღაც ნამდვილს დავწერ, დავწერ ძალდაუტანებლად, ზედმეტი თავის მტვრევისა და ფიქრის გარეშე, თავისით, — დღეს, უბრალოდ, ველარ შევძლებ რამის წახდენას. ეს დიდი დღეა, ჩემი დღეა. ეს დღეა ჩემი შეუმცდარობის.

ერთი შეკითხვა არ მასვენებს: ვინ იგონებს ანეკდოტებს?

ამის პასუხი, ჩემი აზრით, არავინ იცის. ისინი ხომ თავისთავად ვერ გაჩნდებიან, მათ ხომ თხზავს ვიღაც, მაგრამ ვინ? — ამას არავინ ჩასძიებია.

და კიდევ: სხვა მწერლებზე ვიცი ხოლმე ჩაფიქრება; რაღაცნაირი, სხვანაირი ჩაფიქრება ვიცი ხოლმე; ზოგი მათგანი ჩემი ძველი მეგობარია, ზოგი კი — მტერი.

ერთ მათგანს, აგერ, ოცდაცამეტი წელია, ვიცნობ. დიდებული მკითხველია, დიდებული, ბევრად უკეთესი, ვიდრე მწერალი. ოცდაათი წელიწადი მაინც იქნება გასული, რაც წერა მიატოვა, მაგრამ დღესაც ისე უჭირავს თავი, ვითომც არაფერი, და თვლის, რომ ამ წლების განმავლობაში მშვენიერ ფორმაში ბრძანდებოდა და ბრწყინვალე წიგნებიც შექმნა. წაიკითხავს თუ არა რაიმე ახალს, მაშინვე ავტომობილს ეცემა ხოლმე, მოკალათდება და მერე, ათეულობით მილის გავლასაც არ ერიდება, რათა ესტუმროს მეორე მწერალს და შესჩივლოს: „ამ ფოლკნერის კითხვა არ შემიძლია და რა ვქნა! წერის გაგებაში არაა ბიჭი! ნუთუ ერთხელაც არ წაუკითხავს თავისი ნაწერები? სასვენ ნიშნებს ხომ საერთოდ ვერ ხმარობს. ძლივს ვაიძულე თავი, მისი ახალი წიგნი წამეკითხა. არა, ძმაო, ამის კითხვა შეუძლებელია!“

— რაღას კითხულობდი?

— რას იზამ, ამას ისევე ვერ წაუყრუებ, როგორც კუზიანის ბლავილს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან“. სხვათა შორის, წიგნს „სავანე“ ჰქვია, სავანის გარდა ყველაფერია....

რამდენიმე წლის შემდეგ კი, იგივე მწერალმა ოთხასი მილი გადაფარა, რათა ესაუბრა მწერალზე, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს იარაღის ლულა მიიბჯინა და თავი მოიკლა.

— როგორ აზერხებენ ამის გაკეთებას?

— ვერაფერს გეტყვი.

— ან რატომ აკეთებენ?

— არ ვიცი.

კიდევ ერთი მწერალი მახსენდება, რომელმაც — წერის არცოდნას ვინლა ჩივის — კითხვაც არ იცოდა. სამაგიეროდ, იმას, რაც იცოდა, სრული რვა წელიწადი შეალია, რასაც გულმა ველარ გაუძლო და მისი მეუღლე უდროოდ დაქვრივდა, დაობლდნენ შვილები. ბარემ იმასაც მოგახსენებთ, თუ რა იცოდა: კინოსცენარებს წერდა, მაგრამ ამ საქმეს სერიოზულად უდგებოდა, წარმატების მიზეზიც, ალბათ, ეს იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი, ვინც მის სცენარებზე ფილმებს იღებდნენ, ასევე სერიოზულად ეკიდებოდნენ საქმეს. აბა წარმოიდგინეთ, რა უბედურება დაგვატყდებოდა თავს, ადამიანები (ჩემი გამოკლებით, რა თქმა უნდა) სერიოზულად რომ არ უდგებოდნენ თავიანთ საქმეს.

თუნდაც თეატრის მაგალითი რად ღირს: სპექტაკლია, მსახიობები წარმოადგენენ, პუბლიკა ტაშს უკრავს, ოვაციებს არ აკლებს, აგერ უკვე მერამდენედ გამოიხმეს დასი სცენაზე... მე კი, რა ვქნა, სერიოზულად ვერ აღვიქვამ ყოველივეს, თან დრამატურგის ცოდვით ვიწვები — ალბათ ჰგონია, ჩემი დამსახურებააო ესოდენ დიდი წარმატება; მსახიობებიც მებრალებიან — რა ღირსეულად უკრავენ თავს აღტაცებულ მაყურებელს; ამის შემყურეს თვალები მიცრემლიანდება, ყველაფერი ხომ ხუმრობას ჰგავს, და მაინც, კაცი არ მოიძებნება, ამას რომ ხვდებოდეს.

მერე შხაპი მივიღე. ჰო, მართლა, ვინმეს ცუდად ხომ არ ხვდება გულზე, რომ კაცს, რომელიც ახლა გესაუბრებათ, ორმოცდათხუთმეტი უკვე შეუსრულდა? მე, მაგალითად, ეს ამბავი სულ არ მაღელვებს. დამაცადეთ, ერთ ფინჯან ყავას გეახლებით და უფილტრო სიგარეტსაც დავაყოლებ, აი ნახავთ.

რაო, წერა? ჰმ, ძმობილო, ერთი ხელის მოსმით მთელ ბიბლიას დაგიწერ, თუ გსურს, ოღონდ ჯერ იგივე ხელის ერთი მოსმით შვიდიოდე მცირე საქმე მაქვს მოსაგვარებელი, ასე რომ, ბიბლიის შეთხზვა დღეისთვის არ მოესწრება, რას ვიზამთ, ღმერთი შეეწიოს! სახარება შემიძლია დავწერო წამში. თუ არ გჯერათ,



დავნაძლევდეთ ფინჯან ყავაზე, ანდა ორზე, სამზე თუნდაც, მთელ ცისქვეშეთზე დავნაძლევდეთ, დავნაძლევდევთ განთიადზე, ყოფაზე, ჩემზე... ოდესმე მაინც თუ გსმენიათ ასეთი მსხვილი პირობები სანაძლეოსთვის?

მაშ ასე, პირველ ფინჯან ყავას ვწრუპავ და ვხსნი „ჩესტერფილდის“ ახალ კოლოფს, სიგარეტს ვიღებ, ერთ ბოლოში ასანთის ღერს ვასობ — უფილტროა, ასანთის მეორე ღერს ასანთისავე კოლოფს თქვენთვის ცნობილ ადგილას ჩამოვკრავ, სიგარეტს ცეცხლს მივცემ, ნაფაზს შევისუნთქავ და ნელ-ნელა გამოვაბოლებ: „ძმობილო, დღეს სწორედ ის დღეა!“

# დღეს სწორედ ის დღე არაა?

ყველა ყველაფერს სერიოზული თვალით უყურებს. ერთი საპარიკმახეროშიც შეიარეთ თმის გასაკრეჭად და ნახავთ, დალაქიც რა სერიოზულად ეკიდება თავის საქმეს — რაღაც ჯერარნახულ ვარცხნილობას დაგაშენებ თავზეო, წარმოუდგენია, დიდი ვინმე ვბრძანდებიო, ასე ჰგონია. თითქოს იმ უსაქმურთაგანი არ იყოს ესეც, ოდეკოლონს „შეცდომით“ პირისაკენ რომ იკრავენ ხოლმე და, გალოთებულები, ათ წელზე მეტს რომ ველარ ძლებენ სამუშაოზე. სერიოზულად ეკიდება თმის კრეჭას, პარსვას, არასერიოზულობა ამ საქმეში არ მმართებსო, ასე ჰგონია. ორანგუტანგს რომ ორჯერ უფრო სწრაფად და ორჯერ უფრო უკეთ შეასწავლო თმის შემოკლება, დალაქი იტყვის, ნარკოზის ქვეშ არისო ბიჭი, გადაუვლის და კაპიკია მისი ფასიო.

დღეს დილით, წამოვდექი თუ არა საწოლიდან, მაშინვე შევძახე: „დღეს ხომ სწორედ ის დღეა!“ თუ პირი არ მაქვს გასაპარსი, დანარჩენზე აღარც ვფიქრობ



— ამ დროს ჩემთვის სულერთია, როგორ გამოვიყურები, მსგავსად იმ მოხეტიალე ბომჟისა, სასადილო შესვენების ჟამს ცარიელი მაღაზიის კართან რომ ატუზულა; სულერთია იმიტომ, რომ ვიცი სიმართლე: ვარ ახალგაზრდა, ვარ ლამაზი, ბოლოს და ბოლოს მწერალი ვარ და, თანაც, დღეს ხომ ჩემი დღეა! რადიოთი ჩაბი ჩეკერის სიმღერას გადმოსცემენ და მეც ავყევი: „dip . cookies in the jam, Mama“. *

რაო, იდეები? რამდენიც გინდათ! ხასიათები? ხასიათები მაქვს, არც ერთ მწერალს რომ არც დასიზმრებია, ისეთი. ჩემში კი, შიგნით, მძინარე ძაღლებს გარს ეხვევა თამბაქოს კვამლი და ისინი, მხიარული ხტუნვა-ხტუნვით გამოუდგებიან მელიას, ვერაგსა და ეშმაკეშვიანს, — დიახ, დღეს დავიჭერთ მელას, ძაღლებსაც დავიჭერთ, მწერალსაც, ვირტუოზობასაც... დავიჭერთ — ანუ — მივაღწევთ — დღეს. ვერაფერი შემაჩერებს. ყველაფერი გამომივა. ჰონორარსაც კარგს მივიღებ. და აღარ მოიძებნება ქვეყნად რედაქტორი, რომელიც, ჩემი ნაწერების წაკითხვის შემდეგ, გაბედავს და მეტყვის (მთელი სერიოზულობით, ბუნებრივია): „ჩვენ მოგვეწონა დასაწყისი, შუა ნაწილიც მოგვეწონა, თუმცა თანმიმდევრობითობა აკლია, მაგრამ როდესაც ბოლომდე ჩავიკითხეთ, მაშინღა მივხვდით, რომ გაგვაცურეს...“ და ამის ნაცვლად, ასე მეტყვიან: „კეთილი! ოღონდ ერთი პირობით: ჰონორარის საკითხს კეთილგონივრულად უნდა მიუდგეთ, სამ მილიონზე მეტს ვერ შემოგთავაზებთ, სამი მილიონი — კვირაში ორჯერ, ესეც ფულია. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ეს, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ მოთხრობაა. თუ სიმართლე გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ჩვენ მართლაც გვსურს მისი დაბეჭდვა, თუმც ვერც ერთ ჩვენგანს ვერ გაუგია — რატომ. ჰოდა, გამოიჩინეთ კეთილგონიერება ფულთან დაკავშირებით, რასაც გთავაზობთ, იმას დასჯერდით, გასაგებია?“

მთელი ორმოცდაოთხი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა ის „სწორედ ის დღე“, და არა მხოლოდ დღე იყო იგი, დღე, რომელსაც ასე ველოდი, არამედ იყო დღე, რომელსაც მოელის ყველა, და არა მხოლოდ მე, და განგების რჩეულად მიმაჩნდა თავი, თავი მიმაჩნდა სწორედ იმ

კაცად, ვისთანაც ადრე თუ გვიან
მიაღწია „სწორედ იმ დღეს“ ს
გამორჩეულობაში დარწმუნებ
„მე“-ს ატანაც კი აღარ მიჭირდა, უ
ფერში ეჭვის შემტან „მე“-საც ვუ
დი, ამ მოლუშულ, პირქუშ. დაღლ
უოვლისმცოდნე „მე“-ს, „სასოწ
თას არ მივეცეთო“, მუდამდღე ცხ
რომ ფრუტუნებს დაუღალავად.

ხომ ხედავთ, მის მიმართაც კი
ლგანწყობის სურვილი გამიჩნდა, ა
ზარი და გაქსუებული „მე“-ს მიმ
დიდსულოვნადაც კი ვუხვდებოდ
რამდენადაც ეს შესაძლებელი იყ
მის შეურაცხყოფებს, — ჩემნაირი
იყოო, რომ ჩამჩიჩინებდა, — ჩემნა
უპრეტენზიოო, — თვითონ ხომ
ლაც ასეთი იყო, — და მე ვცდილ
არ მეგრძნობინებინა მისთვის ჩემი
რატესობა: დაე, იყოს ჩემთან ერთა
ტომაც არა? რა უსაზღვრო კეთილ
ლებაა! რა უკიდეგანო სიკეთეა! ჭეშ
ტად ქრისტიანული თანადგომაა!

გათენდა, ძმობილო, არემარე
ცოცხლდა, ხადლაც თვალი გაახილა
სუმზირამ, და ფუტკარიც, თითქოს
ელოდაო, მის გარშემო დატრია
თავს გადაევლო ოქროვან ფოთ
მზეს ნეტარებით რომ უღიმოდნენ
ბრუ დახვეოდა მათრობელი სურნე
და თვალისმომჭრელი ფერადოვნ
რაო, ძმობილო, ყველაფერი ისევე
გორც ყოველთვის? სწორედ ისე,
გორც სხვა დროს, თითქოს განრიგით
სო, არა? არა! დღეს „სწორედ ის
უნდა იყოს! ან როგორი იუმორი
დება, ან როგორი ისტორიები. ხასი
ხომ ნუღარ იტყვით, ნუღარც გართ
რა სიცილები, რა გულიანი სიცილ
მოკლედ, როგორი დიდებული ნაწ
ები, რა ბრწყინვალე, რა მშვენიერ
იბადება და დაბადებს ახალ მკ
ლებს, ნუღარც იკითხავთ — რა მკ
ლებს, ძლიერ მკითხველებს, დიახ,
დებს, ან ცოცხალ-მკვდართა ტვინ
დულ არმიებს და მთქნარებისგან
ფიტულ იდიოტებს გადააქცევს
ბრწყინვალე მკითხველებად. ასე
მოდით და, ჯერ ჩემს მაგიდასთან
მომაჯინეთ, ჩემს ძველ საბეჭდ მან
თან მომაკალათეთ, და ნახავთ, რაც
დება — ჩემი ორმოცდათხუთ
წლის მიუხედავად, მიუხედავად ჩემ
ჭლობის, რომელსაც, აგერ, ამ
დროს შევეჩვიე და არ მაწუხებს,
დავად ქრონიკული კატარისა —
მისი შემამჩნეველი, — მიუხედავ
რჯვენა ყურის სმენადაქვეითებულ
რომელსაც; რატომღაც, მშვენიერ
ესმის: „მურაბაში ამომივლე ნამცხ
დედი“, მიუხედავად ჩინდაჩლუნგ
მარჯვენა თვალისა, რომელიც
უსარგებლოა — მარცხენა თვალ
შევაშველებთ დროგამოშვებით,
დავად უამრავი სხვა წვრილმანის
დით, სასწრაფოდ მომაწოდეთ
ფურცლების ძველი შეკვრა, მომაწ
და ნახავთ. თქვენი თვალით ნახავთ,
გორ დაიპყრობს ხალცრება შვ
ფურცელს.

რაო, რაო? სიუჟეტი? ეგ რაღა
ტანი იყო?! ფორმა? მთლიანობა? ს
კი მაგრამ, ვის სჭირდება ეს ყოვე
სამყაროს ხელახლა შექმნის ჟამს,
ლო, უნდა ჩათვალო, რომ ხვალ ს
ის დღე დადგება, ხოლო დღევა
დღე კი უკვე თავისთავად არის
სულ ცოტა ხნით გადადებული, ს
ლაც ორმოცდაათიოდე წლით, ვთქ
წვიმის გამო, ანდა გრიპის, ანდა ს
ან სამსახურის; ომის გამო, ფილმის
ახალი ცნობების, ბრწყინვალე ცნო
უკანასკნელი ცნობების გამო. მაგრა
რა! მეტით აღარ გადაიდება! და

---

* – „მურაბაში ამომივლე ნამცხვარი, დედი“

25 მაისი, 1996 წ.

პროზა

დღეც, როგორც იქნა, მოაღწია, ისე მოვიდა, თითქოს განრიგით ეწერაო ამ დღეს სტუმრობა, თითქოს პირობა აღასრულაო, აღასრულაო გადაუდებლად; ეს დღე — ისეთივე დროული და აუცილებელი, უდავო და ბარადიული, როგორც მეოთხე ფინჯანი ყავა; ხოლო მიზეზი ამ ყველაფრის, ძმობილო, მე ვარ. მე — უგულუბრყვილოესი კაცთაგანი და უწიგნური მწერალთაგანი. განათლებას მოკლებული დამფუძნებელი ერთი უმაგალითო ჟანრის, ძველ ფორმათა არდამრიდე, არც მოთხრობათა, არც ზღაპართა და არც რომანთა, არც ესსეთა და სასამართლო სარჩელთა ან ანდერძთა თუ იმ უფასო ბროშურათა, პენსიაზე გასულთათვის 100 დოლარად ბედნიერი ცხოვრება რომ უქადაგნიათ, და არც პრეისკურანტთა თუ ათასნაირ კატალოგთა, არანაირ ცნობათა ან, თუნდაც, ტელეფონის წიგნთა არამცნობელი, მე...

ნავთს შეიცავს ყავაო და საზიანოა ჯანმრთელობისთვისო, წყლულის თავი და თავიაო. საზიანოა თამბაქოცო, კიბოს აჩენსო. სამყარო — უსახურიაო. სიცოცხლისაკენ სწრაფვაც, თურმე, საზიანოა — სისულელეა სიცოცხლეო, თან ხანმოკლეო. და კიდევ უფრო საზიანო — რამისადმი რწმენა, — გაუმართლებელიაო. ხოლო სიკვდილის მოლოდინი დამდეგი დღისგან ასევე ...ს საზიანო — მომლოდინეს როდის ...თლებიაო. კოჭლობის და კატარის და ... დაქვეითების და თვალის ჩინის და... დავიწყებაც ზიანის მეტს სხვას არაფერს ...იტანსო, გინდ დაივიწყე, გინდ — არაო, მაი... ვერას უშველიო. და ვინ იცის, ყურადღ... ჰამოდუნებულს უდროო დროს გიმუ... ლოხო. სასაცილო ამბების და გართ...ის და მეგობარი ქალების და ამ ქალ...ან საზიარო შვილთა ხსოვნაც არას ...ებს — ღმერთმა უწყის სად არიან, რას შვრებიანო. საზიანოა ყველაფერი თუნდაც იმიტომ, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი საზიანოაო, ეს კი ისაა, რაც მწერლებმა არ იციან, რასაც ვერასოდეს შეიგრძნობენ, რის



კვებაზეც მუდამ უარს იტყვიანო. გამოთაყვანებულები, დაუღალ კად და ჭიუტად იმეორებენ: „დღეს სწო...ედ ის დღეა, დღეს სწორედ ის დღეა“-ს, და არაფერს, და არავის არ იღებენ სერიოზულად... ო, რა თქმა უნდა, იმ ერთადერთი დღის გარდა, ბუნებრივია. აღარ განვაგრძობ, მათი საქმე გარკვეულია.

მოკლედ, მწერალი კვდება. მოკლედ, მე ვკვდები. მოკლედ, ვიღაც, სადღაც, სანფრანცისკოში, თორმეტი საათის უკან, დილის ექვს საათზე დაჯდა, გარეთ კი ისევ ბინდი იდგა, და, „მურაბაში ამომივლე ნამცხვარი, დედი“, ჰო, მართლა, ორი სიტყვა იმათზეც ვთქვათ, იმ ბიჭებზე, სიმღერებს რომ თხზავენ, და ბარემ იმათზეც, ვინც ამ სიმღერებს ასრულებენ. სულ ორი სიტყვა.

წესისამებრ, ღამის პირველ საათზე ვწვები, ხოლო სამისათვის მელვიძება, ტრანზისტორს ვრთავ და — აი ისინიც, კვლავ აქ არიან, ისინი, რომელთა ატანაც აღარა აქვს კლიფტონ ფაიდმენს, ისინი, რომელთაც დასცინის მარია მანესი, აქ არიან, კვლავ აქ არიან, კვლავ დაგეშილან ჟღალ მელიაზე, ფინანსურ კრიზისს რომ არად დაგიდევენ, იმ ფინანსურ კრიზისს, „ხეთერდეი რეპოუ“ რომ აშუქებს ხოლმე, რომ არაფრად დაგიდევენ სიღარიბეს, რომელიც სულ უფრო მატულობს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შეუქცევადობა არავის ესმის; ელვის პრესლი, რეი ჩარლზი, ფეტს დომინო, ჩაბი ჩეკერი და მათთან ერთად უამრავი ახალგაზრდა ქალიშვილი, უამრავი საყვარელი ქალიშვილი, რომლებიც მღერიან იმაზე, რომ „ის არის მოხეტიალე საოცრება“ ან „ვერა, მე შენი ვერ ვიქნები, ისევ შენ თვითონ თუ მოხვალ ჩემთან“, — აი, ვის არ ესმის სიღარიბის შეუქცევადობა, რის გამოც მატულობს სიღარიბე.

არც ერთი ოდნავრამისმცოდნეთაგანი არ ამაყობს ამ მომღერლებით, მაგრამ, რა დასამალია და, ისინი რაღაცას მაინც გვიმტკიცებენ, რაღაცას მოგვითხრობენ, რაღაცას მაინც, ჩვენ კი, მწერლები, — არაფერს. ჩვენ ხელოვნების ნიმუშებს ვქმნით, უპირატესობის გრძნობასაც განვიცდით, სტენდალი გვაქვს წაკითხული, ხომ არ ვცრუობ, ხომ მართლა გვაქვს წაკითხული? ყველაფერში ვერკვევით, ხომ ასეა? ვწერთ მოთხრობებს, რომანებს, პიესებს, ლექსებს, მეწინავე სტატიებს, მეთანხმებით? სერიოზულ სკოლებში ვსწავლობდით და ყველაფერს მუდამ აღვიქვამდით სერიოზულად.

აი, მე კი ვამაყობ ამ მომღერლებით! და იმ გოგონებითაც — თქვენ წარმოიდგინეთ — ჭგუფ-ჭგუფად რომ ჭყივიან და გონებასაც რომ კარგავენ კონცერტებზე, როცა სცენაზე ოთხი უცნაური ლაწირაკულელი — ბითლზი — მღერის, ანუ ის ბიჭები, რომელთაც გამოიგონეს გენიალური ხერხი — თუ როგორ არ უნდა იარო ღალაქთან, და საერთოდ, არ იფიქრო ასეთ წვრილმანებზე, და თან, ალბათ, ვერც კი ხვდებიან საკუთარ ბედნიერებას. ჯონ კეშით ვამაყობ, ფერლი ჰაქსით, მერვინ რუთსფორდით და პიტ სიგერით. „წიკ-წიკ“, მღერის პატი დღის სამ საათზე და ყველანი, ყველანი გამოდიან ამ „წიკ-წიკ“-იდან, ყველანი, მთელი ეს მშვენიერი კომპანია, დალაქებთან მისვლისთანავე თვითონვე რომ იქცევიან დალაქებად, და სერიოზულად რომ იღებენ ამას. მოკლედ, ყველანი. და მე ვამაყობ მსუქანი და ჯანიანი ყმაწვილით — ჩემი მეგობრით — ახლა სახელს ვეღარ ვიხსენებ, — რომელმაც ერთხელ სამართლოდ მიიჩნია, ჩემთან გადმოერეკა და მითხრა: „რა ვქნა, ძმობილო, რით გიშველო?“ უფრო სწორად — კი არ მითხრა, ჩაიღიღინა (სიმღერების ციტირება უყვარდა) — თვალს ცრემლი ჩამომდენიაო, ხოლო ერთხელაც, მე მოვისმინე, თუ როგორ მღეროდა ის ამ სიმღერას რადიოში, მე და ჩემი შვილებიც ავყევით, — ტაქსში ვისხედით, ჩიკაგოს ქუჩებში მივდიოდით, — და რომ ვმღეროდით, ზანგი მძღოლი მოგვიბრუნდა, გვიყურა, გვიყურა და გაიცინა, სერ, ეს ჩემი საყვარელი სიმღერააო. მაგრამ ბერლ ივრზე უკეთ ვერავინ მღერის, ბობ უილსიც კი, ვერც „ჩიკაგოელი უდარდელები“ — „ვარდი ნიუ-სან-ანტონიოდან“-ს რომ მღერიან, და ვერც „პირველმოსახლეთა შთამომავლები“, ავტორები სიმღერისა „ხელოვნებავ, მშვენიერი ხარ“. დიახ, მომღერლები ყველაფერს ახერხებენ, ყველაფერი გამოსდით, — ხუმრობაც, კომედიანტობაც, — ხოლო სხვებს კი, დანარჩენებს, არაფერიც არ გამოსდით, სულ არაფერი.

და იყო ის დღე, სწორედ ის დღე, და მე მივიღე გადაწყვეტილება, თუმცა იმასაც კარგად ვხვდებოდი, თუ რა უაზრო, უიმედო და არაფრის მომცემი იყო იგი, ვხვდებოდი, ვიცოდი, სწორედ ისევე, როგორც იმ ფინელმა — ტელევიზორში ნანახმა — ინსბრუკის მეცხრე ოლიმპიურ თამაშებზე — იცოდა თავისი მიზნის უაზრობა, როდესაც ტრამპლინის სტარტზე იდგა და, დაშვებამდე რამდენიმე წამით ადრე თავდახრილი გაქვავებულიყო, კომენტატორმა კი იკითხა: „ხომ არ ლოცულობსო?“, და მეც ვგრძნობდი, მასთან ერთად, თუ რა უაზრო, უიმედო, უადგილო, სულელური და სასაცილოა სხვების მაგივრად, და არა მათზე უკეთესად გადახტომა, როცა შეიძლება ნებისმიერი მეტოქეთაგანი წამოგეწიოს, როგორც იმ ჟღალბეწვიან მელას. და ასწია ფინელმა თავი, გაიმართა და ჰეე!.. მახსოვს, როგორ მოწყდა ადგილს, როგორ გაიჭრა; მთელი არსებით გადაეშვა ამ საუკეთესო და უბადლო ნახტომში, და სწორედ მაშინ, მასთან ერთად შევნიშნე, რომ ეს შესაძლებელია, და რომ ღირს ვცადო, თუნდაც მარცხი ვიწვნიო, დავიმტვრე თუნდაც, ამაშიაც იქნება აზრი, რადგან ასეთ რამეს ვერასდროს ჩაიდენ, თუ ასეთი რამის ჩადენას არ ცდი, სანამ მართლა არ გადმოხტები, ეშმაკმა დალახვროს!

და დღეს, როგორც კი საწოლიდან გადმოვხტი, პირუკუ თვლას მივყავი ხელი — თითქმის მილიონიდან ჩამოვუყევი და თითქმის მიზნამდეც მივაღწიე: რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი, წავიდა!

რა ხდება?

არაფერი. ხელახლა ვცადოთ. სამი, ორი, ერთი, წავიდა! არაფერი.

რატომ?

ნუთუ დღეს სწორედ ის დღე არა რის? რა დაემართა „იმ დღეს“?

ერთხელ, ფირფიტიდან ხრინწიანი ხმა შემომესმა: „ვხედავდი, როგორ კარგავდნენ გონს ჩემი დროის უჭკვიანესი ადამიანები“, მაგრამ მაშინაც კი, როცა ეს სიტყვები პირველად მოვისმინე, და უკანასკნელადაც, ვერ დავიჯერე მათი სიმართლე: დიდი რამეც ესაა, ხმოვანი არგუმენტი, თუმცა კი, საკმაოდ ხატოვანი: ბოლოს და ბოლოს ყველა გიჟდება, ან თავს იკლავს, ან თავისით კვდება. ანდა ხვდება საპატიმროში, და ეს ყოველივე არის... მაინც ვისი ბრალი არის ეს ყოველივე? სულ მათი ბრალია, ძაღლიშვილების მედისონ-ავენიუდან, თითქოს ისინი არ გიჟდებიან, არ კვდებიან ან თავს არ იკლავენ, არ ხვდებიან საპატიმროში. მათაც ხომ მოსდით ასეთი რამ. ერთადერთი, რაც არც მათ და არც სხვებს არ მოუვათ, ეს არის აზრი, აზრი — თავში, ის აზრი, რომ ყველაფერი პოეტების ბრალია მხოლოდ, იმ პოეტების, საკუთარ ლექსებს ფირფიტებზე რომ წერენ მსმენელთათვის.

მოდით, კიდევ ერთხელ ვცადოთ: სამი, ორი, ერთი; წავიდა!

და კვლავ არაფერი. იქნებ ისევ მილიონიდან დაწყება სჯობდეს? ანუ იმ რაოდენობიდან, რომლის გამომუშავებაზეც ოცნებობს ყველა გონიერი ახალგაზრდა იმ ორი-სამი წლის განმავლობაში, რომელიც პრეზიდენტად არჩევამდე დარჩენია. მთელი საათი გამეპარა მილიონიდან პირუკუ თვლაში, ასეულებსაც კი ვტოვებდი შიგადაშიგ, მაგრამ მაინც გამეპარა მთელი საათი, თუმცა, რად გინდა — ბოლოს მაინც არაფერი, და მომეჩვენა, თითქოს დრო მიხვდა, თუ ვინ იყო დამნაშავე. წამის სამოცდაექვს მეასედში მიხვდა: დიახ, ეს ჩემი ბრალი იყო. მე ხომ თვითონ ავირჩიე სულელური პროფესია: არაფერი არ მივიღო სერიოზულად. ამერჩია რომელიმე სარფიანი, პრაქტიკული სამუშაო, ვინ მიშლიდა, მაგრამ არა, ეს ავირჩიე. ის არ გამოდგა მწერლის ხელობა, რაც მე მჭირდებოდა, ეს ისეთივე საზიანოა ჯანმრთელობისთვის, როგორც თამბაქო, და თრგუნავს ცხოვრებასა და ცხოვრებისაგან რაიმეს მოლოდინის ჟინს.

მითხარით, რა დაემართა ამ დღეს? ან ანეკდოტებს რა დაემართათ? რა მოუვიდათ მწერლებს, რომლებიც ასე ხშირად მაგონდებიან? „წავიდნენ“, — როგორც ფერლინ ჰაქსი, პოეტი.

მოკლედ, რაც უკვე წასულია, ვერ დავაბრუნებ, ისევ ჯობია, სხვა ადგილას ვეძებო ის დღე. მაშ ასე, ვტოვებ მაგიდას და საბეჭდ მანქანას, სუფთა ქაღალდების შეკვრას ვტოვებ და მივდივარ ზღვისკენ. აი, უკვე მივაბიჯებ სანაპიროზე, კაცის ჭაჭანება არაა ირგვლივ, იაპონელი მეთევზეებიც კი არსად მოჩანან; ვხეტიალობ. ვიმზირები. ვაყურადებ. ლამაზ ქვებს ვაგროვებ. არც არაფერი. ფეხისგულები ამატკივა სანაპიროს ბლანტმა ქვიშამ, ცალ ყურში სმენა სულ მთლად დამეხში, მარჯვენა თვალიც დამებინდა; თავს თოლიები დამტრიალებენ, დაბალზე ფრენენ, ისე, თითქოს ჩემს გარშემო ფრენა ჰქონდეთ ნაბრძანები —



რჩეულის გარშემო ფრენა, რათა ყველა მიხვდეს, ვინცა ვარ.

მთელი დღე ლუკმა არ მიგემნია, თამბაქოს მწარე გემო მედგა მთელი დღე პირში. თმაგაჩეჩილი დავდიოდი, როგორც ერთ-ერთი ბითლზთაგანი, და ვიგონებდი მკვდრებს,რომლებიც მუდამ ცოცხლობენ ჩემს გახსენებებში, ისევ და ისევ ვუბრუნდებოდი 1928, 32, 34 წლებს, როცა ჯერ შორს იყო ომი, როცა არ გრგვინავდნენ ჰურვები და ქვემეხები, როცა არ იყო სიკვდილი, და თუკი ვინმე მაინც კვდებოდა, იგი თითქოს არც კვდებოდა, და დაკრძალვაზე მისული ახლობლები ასე ფიქრობდნენ: „შენ იქ მშვენივრად იქნები, ჯო“. მზე დაეშვა ზღვის ჰორიზონტზე, უკან გავბრუნდი — წავედი ჩემი ყავისაკენ, თამბაქოსაკენ, საწერი მაგიდისაკენ, საბეჭდი მანქანისაკენ, სუფთა ქაღალდებისაკენ.

წავედი.

და რას ვერჩი, ღმერთო ჩემო, ეს ხომ მშვენიერი დღეა, თუმც „სწორედ ის დღე“ არაა, და მაინც. მეც რა ბრწყინვალე გუნებაზე ვარ. ვეღარაფერი გამამართლებს — თავად ვიყავი დამნაშავე. მაგრამ ამ დღემ უკვე განვლო, ჩაიარა, გაქრა. არაფერია, მოვა ახალიც.

რა გაეწყობა: სიმღერა, მაგალითად, არ მეხერხება, არადა მინდა. ჩემი ნამღერის მოწონება შეუძლებელია, მაგრამ მე ხომ არც ვაპირებ ფირფიტების გამოშვებას? მე ხომ მათ თავის ნებაზე ვუშვებ, მათ, ჩემს სიმღერებს. არც კითხვა ვიცი, სხვათა შორის, მწერალი კი ვარ; ჩემი ხელობა წერაა, მაგრამ მე ხომ არც ეს ვიცი, უფრო სწორად — წერა კი ვიცი, მაგრამ აი, წერა არ ვიცი, ძმობილო, გესმის? არადა, ეს მაინც ხომ ყველამ იცის, წერას ვგულისხმობ, ხომ წერს ყველა, მაგრამ მე — ვერა; იმ წლების შემდეგ, იმ განვლილი წლების შემდეგ წერაც აღარ შემიძლია, გადამავიწყდა; არა, ასე არა, — კი არ გადამავიწყდა, კი მახსოვს, როგორც უნდა, მაგრამ იმას ვეღარ ვიხსენებ, თუ როგორ უნდა წერა... ხომ გესმის? ვიფიქრე, რომ არაფერი დაშავდებოდა, თუ ამ ყველაფერზე თქვენთან ვისაუბრებდი. მოკლედ, ...ზეა ყველაფერი, და არა მხოლოდ იმის გ... რომ ხვალ კიდევ ერთი დღე დადგება. ...ლ სხვა დღე, ახალი, — არა, პირიქით — ...დღე, რომელიც ხვალ დადგება, სწორე... ც რომ არ იქნება ახალი, ისევ ეს დღე იქნ...ა, ეს, დღევანდელი, ანდა გუშინდელი, მ...რამ როცა კაცი ორმოცდათხუთმეტს გადააბიჯებ, ალბათ ერთადერთი, რაც კარგად გხდის, არის ის, რომ გაგაჩნია გუშინ, ის უცნაური და ამოუხსნელი გუშინ; დაფიქრდი, ძმობილო, რა შეიძლება იყოს გუშინდელ დღეზე დიდებული? ჰოდა, მოდი, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, თუნდაც გასული ზაფხული გავიხსენოთ და ისევ ისე ავლაპარაკდეთ, „მურაბაში ამომივლე ნამცხვარი, დედი“.

ინგლისურიდან თარგმნა
ზვიად რატიანმა



# გოჩა ჭორჭოლიანი

# გისოსები

## ავტობუსის გაჩერება

შეიძლებოდა დიდხანს გეყურებინა ზღვისთვის, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ გაგეგო, გარდა ხმაურისა. მე გეძახოდი სხვა ნაპირიდან და უსაშველოდ განელილ მოგონებებიდან უაზროდ შემომრჩი უნიათო და უსუსური, თითქოს ეს კაცი მეათე სართულიდან არ გადმომხტარიყოს და სანამდე ცას ახედავდა, მანამდე არ მიებარებინოს სული ღმერთისთვის. მერე ალბათ, ქუჩაში შემომხვდება თავგაპობილი და თვალებატრიალებული, ნეტა როგორ გამოიყურებოდა სიკვდილამდე, ალბათ, ამასაც უხაროდა შვილი რომ გაუჩნდა და ამასაც გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ყველამ იცოდა ამის სიხარულის ამბავი.

გზა აუტანელი ხდებოდა, აღარ თავდებოდა მაგისტრალი, ყველას სადღაც ეჩქარებოდა და მაინც ყველას აგვიანდებოდა. ვიცოდი სახლში მისვლა უთუოდ გამომისწორებდა ხასიათს. ამ დღემაც ჩვეულებრივად ჩაიარა; ჯერ ბევრი ვილაპარაკე, მერე თანამშრომელს უაზროდ ვეკამათე; ღირდა თუ არა ქალაქიდან შორს საწყობის დაქირავება; ბოლოს მაინც მოვუგე და ნაწყენი დავრჩი, რომ ჩემი წინადადება გავიდა შეკრებაზე.

იქ, მდინარე მთებიდან ჩამოდიოდა, ყველა მდინარე მთებიდან ჩამოდის, მაგრამ იქ, ყველაფერი სხვანაირად იყო; მთელი დღეები აივანზე ვიჯექი და ვკითხულობდი. დედაჩემს ჟეთრი ხელები ჰქონდა, ყოველთვის ცხელ საჭმელს მაჭმევდა და ჩაის მურაბით მალევინებდა. უცებ დაბერდა, ხშირად გაღიზიანებული იყო, და სულ ცუდ ამბებს იხსენებდა; მე აღარ მიელოდა, ჩემს ცოლს კი — აღარ ეხნუბებოდა.

ხოფლელები დიდად აღფრთოვანებულები არ იყვნენ ჩემით; წიგნებს დასანახად ვერ იტანდნენ და ჩემს ხელში წიგნი სულ უკეირდათ, შეიძლება წყინდათ კიდეც, რას გაიგებდი... მამაჩემი ცოცხალი რომ ყოფილიყო, კაკლის ხეებს დარგავდა ჩვენს ეზოში; მას დიდი ხელები ჰქონია და ისეთი მოუხერხებელი ყოფილა, ჩაქუჩით ლურსმანს ვერ აჭედებდა კედელში, სახლი დედაჩემის დაკიდებული სურათებითაა სავსე, მამაჩემის ფოტოც კი, ცოცხალი და გაცინებული რომ ჩანს, დედამ დაკიდა.

მოკვდე არც ისე საშიშია, მაშინ როცა, იცი, შენ მერე არაფერი არ დარჩება, სამყაროს ჩაიტან და ჩაიყოლიებ, ოღონდ სიცარიელისა და სიმსუბუქის მეტს ვერაფერს ვერ იგრძნობ და ისევ უნდა დაბრუნდე; თავიდან უნდა დაარქვა ყველაფერს თავისი სახელი და გაიხსენო, და გეშინოდეს, და გეჩქარებოდეს საკუთარ სახლში მისვლა.

ყოველდღიურობები არ იცვლებოდნენ; ჩვენ გვესმოდა სხვადასხვანაირად გათენება, ძილი, ვალდებულება, კომფორტი... სამაგიეროდ, იმაში ვუგებდით ერთმანეთს, პრობლემები არ გვქონია, მაგრამ ბოლოს, ეგეც აღარ გამოგვდიოდა კარგად, მე მას ვაბრალებდი, თვითონაც არ უარობდა, ამბობდა, რომ გაფანტულია და გადაღლილი, და პატიებას მთხოვდა, მე ვეხუტებოდი და ვგრძნობდი, რომ ვკარგავდი... აპრილში, საღამოს ყველაფერი დამთავრდა; მე თვითონ გამიკვირდა; ადვილად დავშორდი; გადავკოცნე და წამოვედი; მადლობელი ვარ, მუცელი არ გამოებერა; რაღაცეებს სვამდა...

გაბმული სიგნალი მომესმა, ვიღაცას ჩემზე უფრო ეჩქარებოდა, მარჯვნივ გადავიწიე და იმანაც გამასწრო; არასდროს არ ყოფილა ასეთი გრძელი გზა სახლამდე. ისევ იმ კაცზე ვფიქრობდი, აუცილებლად უნდა მომეყოლა ცოლისთვის ეს ამბავი; მივიდოდი სახლში, ყველა ნავახშმევი დამხვდებოდა, განმარტოებით შევჭამდი საჭმელს, ერთ ღერს მოვწევდი და ტელევიზორთან ვიპოვიდი ოჯახს; ჯერ ბავშვები დაიძინებდნენ, მერე მე, ხვალ დილიდან კი, — იგივე; ხვალ თუ გადმოხტება ვინმე მეათე სართულიდან, ხვალ სახლში მოსაყოლიც კი არ მექნება არაფერი; უბრალოდ, მივალ, შევჭამ, ვუყურებ ტელევიზორს და დავიძინებ.

## უბრალო ისტორია

ასე დაუმთავრებლად; ჯერ სახურავებიდან, მერე მილებიდან, ციდან, წვიმდა უსაშველოდ, რკინის დიდი ბაკი წყლით ივსებოდა. ესენი, ვინც დარჩნენ ქუჩის მეორე მხარეს ერთ დიდ, ჩაშავებულ ოთახში ისხდნენ;

მოხდა ისე, როგორც არავინ არ ელოდა, მაგრამ ყველა შეეგუა იმას, რაც მოხდა და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო; დიდი ხნის წინათ;

ერთ გაზაფხულზე, წვიმიანი დღეების მერე, როცა არავის არ ესაქმება შენამდის, მოუსვენარმა და გაუგებარმა თავის მოკვლას ისევ სხვისი სიკვდილი ამჯობინა; მაგრამ ვინაიდან სხვა არავინ ეგულებოდა გვერდზე, გარდა თავისი ერთადერთასი, ადგა და ყელზე ისე დაუსვა დანა, კაცი იფიქრებდა, ეცოდებაო, ალბათ ეგრეც იყო, რომ არა გაღიზიანებული პროკურორი, რომელმაც ყველა დაარწმუნა, რომ საქმე მკვლელთან ჰქონდათ, მაგრამ როგორ გადაურჩა მოუსვენარი დახერგვას, ეგ ალბათ მარტო მოსამართლემ იცის; დილით ცოლთან იხნუბა, და სახლიდან ისე გამოვიდა;

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, თავისას მაინც მიაღწია. ყველა კმაყოფილი დარჩა, პროცესი დამთავრდა. ჯერ სახურავებიდან, მერე მილებიდან...



## მოძრაობის წესები

უძვირფასესი სიტყვების მერე, ქალი მიხვდა; კაცი არ იტყუებოდა; რამდენადაც ქალი შეიძლება მიმხვდარიყო და რამდენადაც შეეძლო წარმოედგინა ეშმაკისეული და არაადამიანური ტყუილი როგორ აჩენდა თავის თავს ისეთ წვრილმანებში, როგორიცაა; თასმის კვანძი გაუწმენდავ ფეხსაცმელზე, თმის ვარცხნილობა ქარიან ამინდში და ფრჩხილებში ჩარჩენილი ჭუჭყი მანქანის შეკეთების შემდეგ. ქალური ალღო, ანუ ის, რასაც ქალი არაამქვეყნიურ მადლად თვლიდა მხოლოდ მასში, ქალთა სქესის საუკეთესო წარმომადგენელში, არასდროს არ ღალატობდა, მაშინაც, როცა კაცი აშკარად ცრუობდა.

ვინც, მადლობა ღმერთს, იცის, როგორ აანთოს გაზის ქურა და ესკავატორზე სწორედ როგორ შედგას ფეხი, იმან იცის, თუ რა არის ერთს საათიან რიგში დგომა და მოლოდინი ახალი არჩევნებისა.

უძვირფასესი სიტყვების მერეც, ეს იმდენად ადვილი მისახვედრია, როგორც წითელ შუქზე გაჩერება.




## გამარჯვებული

გამარჯვებულები ასე იქცევიან; ჯერ უხარიათ, იცლებიან, მოსახლეობას შეძახილებით ფრთხილ ძილს ურღვევენ, მერე ეშინიათ.

ჩვენმა გუნდმა პირველი გამარჯვება რომ გამოტაცა მეტოქეს, მწვრთნელმა მითხრა; ეგ გამარჯვება არ არისო, გამარჯვებამდე ჯერ კიდევ ბევრი უნდა იშრომოთო; ზუსტად ამიხსნა, რა უნდა გამეკეთებინა, სად უნდა ვმდგარიყავი და როგორ უნდა შემეშალა მოწინააღმდეგისთვის ხელი. რა ჩემი ბრალია, გუნდს ვერ შევეგუე; დაღლილი და დაძაბული ხალხის იყო ჩვენი გუნდი; კი, ვთამაშობდით პირველ ლიგაში, უმაღლესს ვუმიზნებდით, მაგრამ ხასიათებით ვერ შევეწყვეთ; მწვრთნელი თავისას გაიძახოდა, პატრონები — თავისას, კაპიტანს კი, — თამაში ეზარებოდა; ასე, რომ გამარჯვებული მაგათთან ერთად არასდროს არ ვყოფილვარ.

დაბლებმა იცოდნენ ღმერთებთან ლაპარაკი.

მერე, მე თვითონ მივხვდი; სპორტი ერთადერთი სწორი არჩევანი რომ იყო ჩემს ცხოვრებაში; თუ არ ჩავთვლით ჩემს მშობლებს, რომელნიც მე არ ამირჩევია, ასევე, ჩემს მეგობრებს, უსაქმურობითა და ნარკოტიკების სიყვარულით რომ დავუახლოვდი...

ჩვენი სოფლის, უფრო კი ჩვენი ქალაქის დამსახურებაა, ცოტა ხალხში რომ გამოვედი, მეძავებთან წასასვლელი ფული რომ გამიჩნდა; მაგათმა, და კიდევ პატივმოყვარეობამ ისეთი რამეები გამაკეთებინა, რასაც, ალბათ, ქალაქელი თუ იზამს;

გამარჯვებულები ასე იქცევიან; ჯერ უხარიათ, იცლებიან, ყვირიან, მერე ეშინიათ.

## განურჩევლად

ყველა სახლს უნდა; სანვიმარი მილები, მეხამრიდი, სახანძრო კიბე, რკინის კარები, პირველი სართულის ფანჯრებზე გისოსები... ის ეგეთ სახლში ცხოვრობს, მეზობელი კი ან გაფუჭებული ქალია, ანდა მოდური; ვიწრო კაბები მთელ ტანს უჩენს; ყოველ დილით ხვდება ნიკოს და თვალს ვერ აშორებს, დიდხანს ლაპარაკობს ისიც და ესეც.

არა, თუ საჭიროა რამე შეიკავო შეიკავებ, მაგრამ ამ ქალს უყურო და არ სცოდო არ გამოდის;

უპატრონო მონწყენილი დღე იყო, ნიკოს მანქანების ყურების არავითარი სურვილი არ გააჩნდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, რამდენჯერ მიფიქრია დღეის იქით ყველაფერი შეიცვლება-თქო, მაგრამ არაფერი არ შეიცვალა, დღეები მთავრდებიან, მეც აზრიანი სახით უაზროდ მივერეკები ჩემს გაურკვევლობაში, რაღაცა არ მყოფნის ხვალინდელის დანახვაში, ყოველთვის ვცდები მომავალთან მიმართებაში, ხან ვჩქარობ, ხან ვეშვები... რა საჭიროა ამდენი ფიქრი გაფუჭებულ ტელეფონზე, ნუთუ მეტის ღირსი არ არის თქვენი ფიქრები საჭიროებაზე, ურთიერთ გამოყენებაზე, გავლენაზე, მჯეროდა შენი მაშინაც როცა, მარტო არ იყავი გზის გასაყართან.

მოკლედ, ყველას ყველაფერი ეპატიება, იმათ გარდა, ვისაც არაფერი არ უქნია საპატიებელი, ჩემი ფიქრების დარად, დარჩა გახალისებული ახალი თაობა...

ყველა სახლს უნდა...

## ხიდან ჩამოვარდნილი

ცოტა ფილოსოფოსობა იმის მერე დამჩემდა, რაც ხიდან ჩამოვარდი. ზაფხულში, ვაშლის ხეზე ამძვრალს ტოტი ჩამომიტყდა და ვაშლებთან ერთად მინაც თავში დამეცა, უფრო კი, — მე დავეცი თავით მიწაზე. ერთი ლუკმაც არ მქონდა გასინჯული, არც ცოლი მყავდა რო შემჩენოდა ვაშლი გამასინჯეო, არც გრავიტაციაზე ვფიქრობდი და არც მომნანიე სამყაროზე; დაცემულმა კი მიზეზ-შედეგობრიობაზე გავიფიქრე და, აუტანელი ტკივილი რომ არა, იქვე, ხესთან მიგდებულს, შეიძლება ბევრისთვის ერთი პრობლემა მაინც გადამეწყვიტა; ჩემით ავდექი, წინა ეზოში ბარბაცით გავედი და საშველად დაძახების მაგიერ, ჩემს თავს



მე თვითონ მივხედე; არ მახსოვს, რამდენად ფილოსოფიურად გამომივიდა ცხვირსახოცის დასველება და თავზე დადება, მაგრამ, უნდა ითქვას, ბევრი, ძირითადად მეზობლობა, ფრიად აღფრთოვანებული იყო ჩემი ვაჟკაცობით;

მამაჩემი სოფლისათვის გამოსადეგარ ხელსაქმეს მასწავლიდა, ხშირად სკოლასაც მაცდენინებდა, მას მერე კი, თვითონ დავყავდი სკოლაში, სიგარეტსაც ის მყიდულობდა და იმ, ვაშლის ხის მოვლაში იყო ზამთარ-ზაფხულ...

ამბობენ, შენთვის ცოლის მოყვანა არ შეიძლებაო, შენნაირი ჩუმი და ჩაფიქრებული ბავშვები გეყოლებაო; მაგრამ მე არ მჯერა, შეძლებით კი შემიძლია, მე ფილოსოფოსობა დავიწყე, თორემ კაცობა კი არ დამიკარგავს...

## ბუზებზე ნადირობა

ხელები;

ერთი მელოდია მქონდა აჩემებული; დილიდან ტრა-ტრა-ტრა; ნაგავთან ერთად ეყარა ძველი ნივთები, ისიც ნაგავი; ყვითელი მანქანებით გაჰქონდათ ნაგავი უნიფორმიანებს, თავზე კეპები ეხურათ, ხელებზე თათმანები ეცვათ.

მთელი ზაფხული ბუზებთან ბრძოლაა, სანიმუშო წესრიგისა და სანიტარული სისუფთავის გამო, მოსვენება არა აქვს ათი ათას მენაგვეს, ორი ათას მეეზოვეს და თითქმის ამდენივე დამლაგებელს.

ყველაფერს თავისი ნაგავი რჩება; საგანთა უმეტესობა მუყაოს ან ხის ყუთშია მოთავსებული, არის ქაღალდის შეფუთვაში, ანდა საფირმო პარკებში; ჩვენც მერე, ერთ, ხის ყუთად უნდა ვიქცეთ და ბუზებს უნდა ებრძოლოს დამწუხრებული ნათესაობა.

დილიდან ქარებს დავყავარ; გზაში ახალ გზებზე ვფიქრობ და, რომ გამაჩერო და მკითხო საიდან ჩნდებიან ბუზები?, ვერ გიპასუხებ...

ხელები. არაერთხელ მოვფერებივარ ამ ხელებით ძაღლებს, ერთია ცუდი, — კბენა იციან, თუკი შენ ან რომელიმე თავნება მწერმა თავი მოაბეზრე და საჭმელში შეეცილე;

სოფლად კი, მშვიდი და ზანტი ძროხები, ამდენი სიკეთე რომ მოაქვთ ჩვენთვის, ისინიც კი, ბუზებზე ნადირობენ.

— დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, ა იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?





პირველი გვერდიდან

ბოლო ექვსი წლის ბატალიებით გადაღლილი, აპათიის ტყვეობაში ჩავარდნილი, ცრუპოლიტიკოსების ლაყბობით, ჩვენი უნიათობითა და უმწეობით გაბეზრებულები, ერთმანეთის კვლისა და განადგურების დაუოკებელი ჟინით შეძრწუნებული, ვაღებ ფანჯარას და უნებლიედ ვხედები, რომ იმ ფანჯრიდან კი არ ვიყურები ახლა რომ გამოვაღე, არამედ, იმ პატარა, ბავშვობისდროინდელი სახლის ფანჯრიდან, რომელიც იმდენი კილომეტრითაა დაშორებული აქაურობას, რა მანძილიც გაწოლილა — გადაქანცული, სახეშეცვლილი და ნახევრადმშიერი, ლამის ერთ დიდ ბაზრად ქცეული დედაქალაქიდან — ქუთაისამდე.

აღზევებულმა ნიჰილიზმმა და ფსევდოევროპეიზმმა (იქნებ, უფრო ფსევდოამერიკანიზაციამ) ერთბაშად მოიცვა ჩვენი ქვეყანა — პრესა და ტელევიზია, მაღაზიის ვიტრინები, შინდისფერპიჯაკიანი თუ გრძელპალტოიანი პროვინციელი საქმოსნები, კარიკატურული თვითკმაყოფილებით რომ დააბიჯებენ ქალაქის ქუჩებში. ბაზრობები — თურქული საქონლის ვეება ხანაგვეებს უფრო წააგვანან, რომელთაც მოლას გამყინავი მოძახილი აკლია მხოლოდ; ისე კი, ერთმანეთში აზელილა: რეპი, ბაიათი, მოფრების საყვარელი, პრიმიტიული დუეტები, ქურდული სოლოსიმღერები — მუსიკაც ისეთივე ხარისხისაა, როგორც დახლებზე შემოწყობილი „ხლამი".

სადღაა საქართველო, ჩვენ სადღა ვართ, ვართ კი საერთოდ?! ალბათ, ეკონომიკური სიდუხჭირე ოდესმე დაიძლევა, მაგრამ სულის კრიზისი?! — ეს დაუძლეველი ავადმყოფობა, სამშობლოში უსამშობლოობის შეგრძნება — ძნელად განსაკურნი და საშიში სენია. არავის და არაფერს ვინდობთ, როცა ფულის შოვნაზე მიდგება საქმე, ჩაკვდა თანაგრძნობა, ღიმილისმომგვრელ სიტყვად იქცა პატრიოტიზმი, გაგვიშინაურდა სიკვდილი, ქალაქის სასაფლაო უფრო სწრაფად იზრდება და შენდება, ვიდრე ქალაქი.

დაიშალა ადამიანი, დაქუცმაცდა; ლუკმაპურისმძებნელი, გასავათებული და ნახევრადმშიერი — თავისუფლებას აბრალებს ყოველივეს, რადგან მობეზრდა ასეთი თავისუფლება, მაგრამ იმას კი ველარ ფიქრობს, რომ სამწუხაროდ, რაც ჩვენში ხდება, უფრო ქაოსია, ვიდრე თავისუფლება, ქაოსიდან თავდაღწევის ცდაა და ამ ცდას ეწირებიან ათასები. უკვე ნათელია, რომ უდიდესი დანაკარგების ფასად თუ გადავარჩენთ ქვეყანას, უკვე შევეგუეთ, რომ ამ გზაზე მრავალი უნდა დაეცეს. ეს დაუნდობელი კანონი მართავს ჩვენს ყოველდღიურობას და მაინც იმედით, რწმენით შევყურებ მომავალს — მომავალში კი გამარჯვებაც და მარცხიც, დაბადებაც და სიკვდილიც ერთ, ბუნდოვან სილუეტებად წამომართულა.

მეც ჩემი ხალხის ნამცეცი ვარ — ყველა სატკივარითა და გაჭირვებით დაღდასმული, გადაღლილი, მაგრამ არა უიმედო, შეცბუნებული, მაგრამ არა ყურებჩამოყრილი. მეც ჩემი თავის ნანგრევი ვარ და თავიდან მიწევს საკუთარი „ეგოს" შეგროვება, შეკოწიწება, აშენება, გამთლიანება.

იქ, ქუთაისში, ცაცხვებში, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, აღდგომა ღამეს ხელისცეცებით ვიკვლევდი გზას, ჩუმად მივიპარებოდი, რომ ვინმეს არ დავენახე: პიონერთა ხელმძღვანელს, დირექტორს, დამრიგებელს, კომკავშირის მდივანს, ვშიშობდი, მილიციელებს არ შევენიშნე, ეკლესიის ეზოდან არ გავეგდებინე, შავ სიაში არ მოვხვედრილიყავი. შემკრთალი, ჩამალული, ჩაყუჟული, მოკუნტული ვიდექი ასწლოვან ხესთან, მის უძლიერეს, ვეება მერქანს ამოფარებული და აუხსნელი ცნობისწადილით ვათვალიერებდი ყველაფერს — რისი დანახვაც შემეძლო ეკლესიის ეზოში და ეკლესიის ღია კარში, საიდანაც გაბრდღვიალებული კელაპტრები, სანთლები იყურებოდნენ და მოისმოდა გალობა... მაშინ პირჯვრის გადასახვა იყო სულის ნება — ხელის უნებლიე მოძრაობით გამოხატული.

სად არიან ისინი?!
თუმც რა საკვირველია,
მას შემდეგ ხომ მრისხანე
ორმოცდარვა წელია.

„სად არიან ისინი" — ვინც ამ ორმოციოდე წლის წინ აღდგომა ღამეს ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე გვისაფრდებოდნენ, ვინც ცნობისმოყვარე ბავშვებს მუქარით ერეკებოდნენ სახლებში, „სად არიან ისინი"?! ვინ იცის, სად არიან?! მეხსიერებაში კი ისევ არიან, გაორებული, საწყალი ადამიანები, პარტიულ დავალებებს რომ უხალისოდ ასრულებდნენ, უხალისოდ, მაგრამ ასრულებდნენ. წადი, ბიჭო, სახლში, სხვამ არ დაგინახოს, თორემ მე ველარ გიშველიო! მეც, ვითომ, სახლისკენ გავწევდი, იქვე, გალავანთან დავიმალებოდი, მერე გალავანზე ავძვრებოდი და ახლა იქიდან ვუთვალთვალებდი გაჩირაღდნებულ კარს ეკლესიისას.

ჩვენმა ცნობიერებამ, და, რა თქმა უნდა, სულმა ჩვენმა, უდიდესი დეგრადაცია განიცადა. ჩვენ ისე ვერ განვვითარდით, როგორც უნდა განვვითარებულიყავით, რაღაც გვარიანად დაგვაკლდა. ერთეულებმა შეძლეს რწმენის გადარჩენა, სარწმუნოებისაკენ შემობრუნება, ერთეულებმა, რომელთაც ტოტალური აკრძალვა უფრო მეტად ულევებდა ცნობისწადილს. უარყოფილი და დაწუნებული წიგნები უფრო მეტად იზიდავდნენ მათ სულსა და გონებას. აბსურდი იყო ბაგრატის ტაძრის მრავალსაუკუნოვან, დიდებულ მდუმარებაში მოგვეხერხებინა ათეისტების აღზრდა; მაგრამ მაინც მოახერხეს, როგორც ვხედავთ, და შეამზადეს კიდეც ნიადაგი მომავალი აბსურდული ყოფისათვის.

# საით მახედებს ხსოვნის სარკმელი...



მაშინ, ბაგრატის ტაძარი, წმინდა გიორგის ეკლესია და შორიდან, ზურმუხტისფერი ფერდობიდან გამომზირალი გელათის მონასტრის ლურჯი გუმბათები, თავიანთი მრავალსაუკუნოვანი არსებობით, არქიტექტურული სიდიადით, თითქოს თვითონ კისრულობდნენ ჩემს აღზრდას, უსიტყვოდ, უღრმესი მდუმარებით, სასწაულებრივი მიმზიდველობით, თურმე იმხელა ზეგავლენას ახდენდნენ ჩემზე, რომ ახლაღა ვაცნობიერებ მათი მასწავლებლობის მნიშვნელობას. სიტყვა — მასწავლებელი, მაინც ვერ გამოხატავს სრულად ყოველდღიურ, თითქოსდა უწყვეტლივ ძალდაუტანებელი ზემოქმედების მასშტაბს და სიდიადეს, რასაც ახლა, შორიდან უფრო ვგრძნობ, ვიდრე ჩემს ძველ უბანში, ბავშვობაში განვიცდიდი.

რამდენიმე წელია სული ველარ მოვითქვი, არსობის პურის ძებნას გადაყოლილი მექანიკურად ვეხეტები სახლსა და სამსახურს შორის და ერთადერთი ნუგეში ისევ ლიტერატურაა ჩემთვის, თუმცა, ზოგჯერ, აქაც ვერ ვახერხებ სულის მოთქმას, თვალი მუდამ იქით გამირბის, იმ სიმაღლეებისაკენ, საიდანაც გელათი მოჩანს, სადაც ბაგრატის ტაძარი წამომართულა და დროდადრო ჩამესმის წმინდა გიორგის ეკლესიის ზარების რეკვა, ჩემში მეორდება მათი ექო, ჯონ დონის სტრიქონს რომ მახსენებს ("ვის უხმობს ზარი") და ახალი იმპულსებით აღმავსებს, კვლავ დაბადების ბედნიერებას მაზიარებს.

აპრილი მიიწურა და დიდი დილმის ველზე ისევ ქარი გუგუნებს, ისე გავიდა გაზაფხულის ორი თვე, როგორც ზამთრის გაგრძელება. თითო-ოროლა წამოჩიტული, აყვავებული ხე საცოდავად ირწევა ქარის მკლავებში და აპრილშიც ზამთარი გრძელდება — უსიამოვნო, წვიმიანი, მოქუფრული, ცივი.

მალე მაისი დადგება. ახალი წიგნის სიხარული თანდათან გამინელდა და ისე ვგრძნობ თავს, როგორც გაქურდული, არასმქონე და უსახლკარო. თითქოს ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო, ისევ თავიდან, როგორც სიზიფემ. უცნაურია, მაგრამ ჩემი ცხოვრების ნანგრევებზე შემდგარს ის იდუმალი ძალა მიბრუნდება და ბავშვური სილაღით, რწმენით და ერთადერთი დაუნგრეველი თვისებით — მოთმინებით, არამიწიერი აღმაფრენით შევყურებ სამყაროს და საკუთარ სულშიც უფრო შორს ვიხედები, იმ დაუშრეტელ სიღრმისკენ, სადაც არსებობს რაღაც ძალა, უხილავი და შეუცნობელი, ლოგოსისთვის მოუხელთებელი, თავს რომ მახსენებს და მიზიდავს.

არ ვაიდიალებ ბავშვობის წლებს მხოლოდ უზრუნველობისა და სილაღის გამო. არა, მე ის დრო მენატრება, როცა ბუნების გაგრძელებად, ბუნების ნაწილად აღვიქვამდი საკუთარ თავს, როცა ჩემში გროვდებოდა ყოველი ჩქამი, ფერი, ბგერა, არსებული მშვენიერება, როცა ჰარმონიული და სრული ვიყავი, რის მიღწევასაც ვესწრაფვი ლიტერატურაში.

ყველაფერი, რაც წარსულში აღმოაჩინეს მარადიული დროის საკუთრებაა, მარადიული დროის სულის ნაყოფია და ამიტომაც არ ჩაითვლება რომელიმე კონკრეტული დროის მიღწევად და უნდა ვაღიაროთ: რომ არა უფლის ნება, ის აღმოჩენები — ჭეშმარიტების ნამცეცები — დაფარული იქნებოდა ჩვენთვის.

მე ხშირად თავს ვიქცევ აღმოჩენილის ხელახალი აღმოჩენით, ისე რომ ეჭვიც არ მეპარება, რომ აღმოჩენის ავტორი მე ვარ. მოგვიანებით, როცა მივხვდები, რომ სხვის მიკვლეულს მივაკვლიე, ათასი თუ ხუთასი წლის დაგვიანებით, სევდანარევი სიხარული მეუფლება: მწყინს იმის შეტყობა, რომ რაც მე ამჟამად აღმოვაჩინე, დიდი ხნის წინ ყოფილა ცნობილი, მაგრამ მახარებს ის, რომ დამოუკიდებელი ძიებით მივედი იმავე დასკვნამდე, როგორ დასკვნამდეც მივიდა რომელიღაც პიროვნება — რომელიღაც საუკუნეში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს დროის სულის მარადიულობას და ჩვენს წარმავალ ყოფაში მარადიულობის ნამცეცების არსებობას და უწყვეტელი განვითარების პროცესში ჩემი სულის თანამონაწილეობას.

ასევე ხშირად თავს ვიქცევთ ჭეშმარიტების მიჩქმალვით და ყოფიერების წარმავალ ზედაპირზე ვტივტივებთ უაზროდ, და ეს მაშინ, როცა დაფარული, იდუმალი, შეუცნობელი — ნებისმიერ აწმყოში უფრო მეტია, ვიდრე აღმოჩენილი და მიკვლეული. ან, რა ძალა ასაზრდოებს პოეზიას, საერთოდ, ხელოვნებას. ამიტომაც, არსებობს მსოფლიო გამოცდილებისა და სიახლის თავისთავში მომცველი ჭეშმარიტი ლიტერატურა და მხოლოდ გამოცდილების უარმყოფელი, ფსევდოსიახლის ამღიარებელი ლიტერატურული მოდა (არა მხოლოდ ლიტერატურული). რადგან, ჩემთვის, პოეზია უფრო სულის ცხოვრებაა, ვიდრე ცხოვრება, უფრო სულის დინამიკაა, ვიდრე ყოველდღიური ორომტრიალის, თუნდაც, ოსტატურად ასახვა, მე მხოლოდ იქ ვახერხებ საკუთარი თავის პოვნას.

თუ მიხსნის ისევ ის იდუმალი ძალა — სამყაროშიც და ჩემშიც ერთდროულად რომ ფეთქავდა, მუდამ ჩემზე მაღლა და ამასთანავე, ჩემშიც რომ არსებობდა, — ეს ის ძალაა, რომელიც მაგრძნობინებდა, რომ მე უსასრულო სამყაროს ნაწილი და გაგრძელება ვარ, რომ მორჩილი ვარ მარადიული ჰარმონიისა და ამიტომაც მისი ნამცეცი, რომელსაც ცალკე არსებობა არ ძალუძს, რომ ამბოხი და ეგოცენტრიზმი დაამხობს, დაშლის, დაანაწევრებს და გააბოროტებს სულს; ეს ის ძალაა, საბჭოთა ჯარის ჯოჯოხეთს რომ გადამარჩინა, სტეპებსა და უდაბნოებში რომ თან მდევდა, აქოთებული ყაზარმებიდან რომ გამომაღწევინა, პაუპტვახტის კარცერში, რკინის გისოსზე ჩამოკონწიალებული „პარტიანკებით" განასკვული ყულფიდან რომ თავი გამომაყოფინა, მკერდზე მიშვერილი ავტომატის ლულა რომ დაბლა დამაშვებინა. და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ ჭირს ამაცილა. უკვალოდ არაფერს ჩაუვლია.

რატომღაც, ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა იმ რუსი ჯარისკაცის ჭორფლიანი სიფათი, თავი რომ მოიგიჟიანა

## ესეისტიკა

და ერთი მაღალი შენობის სახურავიდან გადმოხტომით იმუქრებოდა. გაოგნებულები შევყურებდით ქვემოდან — ოციოცდაორი წლის ბიჭები, დაბნეულები მოსალოდნელი საშინელებით, ნირწამხდარნი, შემკრთალნი. მოვიდა შტაბის უფროსი, ბატარეის მეთაური, მოვიდა ასმეთაურიც — ჩასუქებული, ცისფერთვალება კაპიტანი, მშვიდად გაერკვა ვითარებაში, მერე შეჯგუფებულ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს გამოეყო და მთელი ხმით ასჭყივლა:

— Прыгай, твою мать...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ჩვენს იდიოტ ზემდეგსაც კი სახე შეეცვალა, თვალებში შიში ჩაუდგა, მაღალი ჩინის ოფიცრებიც შეკრთნენ. ცოტა ხნის შემდეგ კაპიტანმა უფრო თამამად გაიმეორა:

— Прыгай, твою мать...

სემინიხინს, თუ არ ვცდები, გვარად სემინიხინი იყო ის ჯარისკაცი, სახურავიდან გადმოხტომას რომ აპირებდა, დიდხანს აღარ უყოყმანია, მოშორდა სახურავის კიდეს და გაუჩინარდა, აღარ გადმოხტა. ორჯერ ნაცინარმა სემინიხინმა ვერ მოახერხა გიჟის საბუთის აღება და ნაადრევი დემობილიზაცია. ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ და დავიშალეთ. ზოგიერთი აზარტში შესული ჯარისკაცი უკმაყოფილო იყო და ქირქილებდა: მშიშარა, თუ თავი არ ჰქონდა, რაღას მიძვრებოდაო. მე მაშინ მივხვდი, რომ სეირისმაყურებელთა ერთ ნაწილს, ყველას არა, მაგრამ ერთ ნაწილს, შეიძლება მნიშვნელოვანსაც კი, იმედი გაუცრუვდა. სემინიხინის „გმირული" სიკვდილი ერჩივნათ მის სიცოცხლეს.

ჩვენც, ბოლო ექვსი წელია, უაზრობის უძირო უფსკრულთან ვდგავართ. უნდა შევძლოთ და გავცილდეთ ამ უფსკრულს, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მსურველი ჩვენი თვითმკვლელობისა მრავალია, შემძახებელიც — გადახტიო — არაერთია.

საკუთარი მოთმინებიდან უნდა აღმოვცენდე, აღვდგე, გავიმართო. სასწაულია ყოველი დღე ჩვენთვის რომ თენდება, სასწაულია მხოლოდ მაშინ, როცა გწამს, როცა მცირედი „კმა არს".

ბედუინმა იცის, როგორ მიაღწიოს ოაზისამდე, სიცოცხლის დაუშრეტელ და უძირო ჭამდე, იცის, რომ იქ მოითქვამს სულს, იქ გადარჩება, იქ აღიდგენს ძალას და მთელი მისი გზა ცხელ უდაბნოში, გავარვარებულ მზის მცხუნვარებაში, მუალაკების თანხლებით თუ უმუალაკებოდ, სიცოცხლისკენ მიმავალი გზაა.

ჩემი გზაც სიცოცხლისკენ შემობრუნდა, იქამდე უნდა მივაღწიო, წმინდა გიორგის ეკლესიამდე, კიდევ ერთხელ გავმართო მუხლი და ფეხდაფეხ შემოვიარო ყოველი სახლი, ყოველი ეზო, კიდევ ერთხელ შევავლო თვალი განუმეორებელ ბაგრატის ტაძარს, იმ ბილიკს, გვირაბთან რომ დაკიდულა, სადაც, ოდესღაც, ლამის სირბილით ჩავდიოდი რიონისკენ, მოგვიანებით, იქიდან გადახედვისაც კი შემეშინდა.

ახლა, იქ, ქუთაისში, გორაზე, ცაცხვებში, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში რამდენიმე წუთით ჩამოჯდომა და გარინდება ყველაფერს მირჩევნია. ეს ის ადგილია, სადაც საკუთარ თავს ისევ ვიპოვნი, სულს მოვითქვამ და ახალი სიცოცხლისათვის შევემზადები, იქ დაიწყება ჩემი ნანგრევების აღდგენა. ხელის გულებით შევეხები ასწლოვანი ხეების წვერებს, მთელი სხეულით შევისრუტავ მარადიული დროის უღრმეს სიმშვიდეს, ცალკე, თავისთვის რომ არსებობს დასაბამიდან დღემდე და არად აგდებს ყოველდღიური, წარმავალი ფუსფუსით და უაზრო პრობლემებით შეწუხებულ ადამიანებს, იმათ, ვინც დიდი ხანია გადაივიწყეს მშვენიერება, მარადიული ფასეულობანი და მხოლოდ პრაგმატულ არსებობაში ჰპოვებენ ბედნიერებას.

ვიცი, სული რომ გადავირჩინო, შეწირულივით უნდა ვიცხოვრო, სამსხვერპლოზე უნდა მივიტანო ყველაფერი, რისი მიტანაც შესაძლებელია და მხოლოდ მაშინ დაბრუნდება ის ნათება, სინანულის უფაქიზესი შუქი, ჩემში რომ ჩაბჟუტულა, ლამის გამქრალა კიდეც, რის გადარჩენასაც ვლამობ ყოველდღიურად.

გივი ალხაზიშვილი

# მაიმუნის თავგადასავალი

პირველი გვერდიდან

მოკლედ, ირბინა, ირბინა, ძალიან. დაიღალა, ერთ ხეზე აძვრა, ძალ-ღონის მოსაკრებად ერთი ბუზი დაიჭირა, გადაყლაპა, მერე მატლიც მიაყოლა და ხის ტოტზე დაიძინა. ამ დროს გზაზე სამხედრო მანქანამ ჩაიარა. აიხედა შოფერმა, ხედავს, ხეზე მაიმუნი ზის. გაოცდა შოფერი, მაიმუნს მიეპარა, ფარაჯა წააფარა — ამ ომსა და უქონლობაში აქ სიცივითა და შიმშილით სიკვდილს, არ გირჩევნია, რომელიმე ჩემს ნაცნობს მიგგვაროო, — დაიჭირა, მანქანაში ჩასვა და გზა განაგრძო.

ქალაქ ბორისოვოში რომ ჩავიდა, მაიმუნი მანქანაში დატოვა, თვითონ სამსახურის საქმეებზე წავიდა და წასვლის წინ დაუბარა:

— შენ აქ დამიცადე, საყვარელო, მეც ახლავე დავბრუნდები.

მაგრამ, აბა მაიმუნს ერთ ადგილზე რა გააჩერებდა! მანქანის ჩამტვრეულ მინაში გადაძვრა და ქალაქის ქუჩებში სეირნობას მოჰყვა.

დააბიჯებს ქუჩაში თავისთვის არხეინად, დადის, დასეირნობს კუდაპრეხილი, რა თქმა უნდა, ხალხიც გაოცებულია, დასდევენ, უნდათ როგორმე დაიჭირონ, მაგრამ ისეთი მარჯვეა, ისე სწრაფად დარბის, მისი დაჭერა არც ისე იოლი საქმე გახლავთ.

დაიღალა, დაიქანცა და ამასობაში, ცხადია, მოშივდა კიდეც.

მაგრამ აბა ქალაქში სად რა უნდა ჭამოს! საჭმელად რომ ვარგოდეს, ქუჩაში ისეთი არაფერია, ამ თავისი კუდით კი ვერც სასადილოში შევა, ვერც კოოპერატივში, თან არც ფული აქვს, არც სასურსათო ბარათი.

მოკლედ, ნამდვილი კომშარია!

ბოლოს დაადო თავი და კოოპერატივში შეეიდა, ეტყობა, გუმანით მიხვდა, აქ ნამდვილად რაღაცას ვიშოვიო. მართლაც, ხედავს, ხალხს ბოსტნეულს ურიგებენ — სტაფილოს, მიწამხალს, კიტრს... თან უშველებელი რიგია. რა ქნას, რიგში ხომ არ ჩადგება! ცხადია, არ ჩამდგარა, არც ხალხი მიუწმოუწევია მუჯლუგუნით — მყიდველებს თავზე გადაურბინა, დახლზე შეხტა და გამყიდველ ქალთან მივიდა. ისიც არ უკითხავს, ერთი კილო სტაფილო რა ღირდა, დაავლო კონას ხელი და პაიდა! ვითომც არ ყოფილა... აბა, რა უნდა მოჰკითხო, მაიმუნია, ადამიანი ხომ არ არის! წარმოდგენა არა აქვს, რატომ უნდა დარჩეს უსურსათოდ!

ხალხი აყვირდა, აქოთქოთდა, ერთი ხმაური და აურზაური ატყდა, გამყიდველ ქალს კი, რომელიც ამ დროს თალგამს წონიდა, შიშისაგან ლამის გული წაუვიდა — კაცმა რომ თქვას, გული წაგივა, აბა რა მოგივა, ჩვეულებრივი, ნორმალური მყიდველის მაგივრად, ერთიც ენახოთ, დახლზე რაღაც კუდიანი, ბანჯგვლიანი არსება შემოგიხტება, თან არც სასურსათო ბარათი აქვს, არც ფულს იხდის!

გამოცვივდა ხალხი მაღაზიიდან და გაეკიდა ქუჩაში მაიმუნს, მაიმუნი კი მირბის თავისთვის არხეინად, სტაფილოს ახრამუნებს და ამ საქმის ბაიბურშიაც არ არის.

წინ პატარა ბიჭები მირბიან, უკან დიდები მისდევენ, ბოლოს მილიციონერი მიჩაქჩაქებს და სასტვენს უბერავს.

უცებ, სად იყო და სად არა, საიდანღაც ძლიერი ძაღლი გამოვარდა და ისიც მაიმუნს გაეკიდა. თან ისეთი თავხედი და უტიფარია, მარტო კი არ ყეფს და წკავწკავებს, პირდაპირ საკბენად ეტანება.

მაგრამ მაიმუნმაც უმატა და უმატა სირბილს. მირბის და გუნებაში ფიქრობს, ნეტავი რა მინდოდა, იმ ჩემი ზოოპარკიდან რა მომარბენინებდა, გალიაში ხომ გაცილებით თავისუფლად ვიყავი, დროს ვიხელთებ თუ არა, ავდგები და მაშინვე უკან დავბრუნდებიო.

თან რაც ძალი და ღონე აქვს, მირბის, მირბის, მაგრამ, ძაღლიც ფეხდაფეხ მისდევს და პა და პა, საცაა კბილებითაც სწვდება.

მაშინ პკრა მაიმუნმა ფეხი და ერთ რაღაც მესერზე ისკუპა. როცა ძაღლიც შეხტა, იქნებ პირი ფეხში მაინც ვტაცოო, მაიმუნმა სტაფილო მოიქნია და ძაღლს შიგ ცხვირ-პირში სძრუზა. თან ისე მწარედ ჩაარტყა, პირუტყვი საცოდავად აწკავწკავდა და კუდამოძუებულმა შინისაკენ მოუსვა, ალბათ გაიფიქრა, არა, მოქალაქენო, მირჩევნია შინ ჩემთვის არხეინად ვიწვე, ვიდრე ამ თქვენს მაიმუნს დასაჭერად ვსდიო და ასეთ უსიამოვნებაში ჩავვარდეო.

ძაღლი შინ გაიქცა, იმ ჩვენმა მაიმუნმა კი მესერიდან ახლა ეზოში ისკუპა.

ეზოში სწორედ ამ დროს ერთი პატარა ბიჭი — ალიოშა პოპოვი შეშას ჩეხდა.

ჭრის შეშას თავისთვის, არხეინად, რომ ხედავს — მაიმუნი გამოეცხადა! ალიოშას კი, რომ იტყვიან, მზე და მთვარე ამოსდის მაიმუნებზე! მთელი თავისი სიცოცხლე სულ იმაზე ოცნებობს, რა იქნება, ერთი პატარა მაიმუნი მყავდესო. ოცნებობს და აგერ, აუცხადდა კიდეც!

ალიოშამ პიჯაკი გაიძრო, კიბის კუთხეში მიყუჟულ მაიმუნს წააფარა, დაიჭირა და შინ წაიყვანა. აჭამა, ასვა, ჩაი დაალევინა, ცხადია, მაიმუნიც დიდად კმაყოფილი დაურჩა, მაგრამ არც თუ ისე კმაყოფილი, ვინაიდან ალიოშას ბებიამ დაინახა თუ არა, მაშინვე აითვალწუნა, უყვირა, უყვირა, ის კი არა, ლამის თათშიაც ჩაარტყა. რატომ? რატომა და, ჩაის სმისას ბებიამ თავისი ნაჭამი კანფეტი ლამბაქზე რომ დადო, მაიმუნმა სტაცა კანფეტს ხელი და პირში იკრა. აბა რა უნდა მოჰკითხო, მაიმუნია, ადამიანი ხომ არ არის! ადამიანს რომც აელო, ბებიას თანდასწრებით და დასანახად მაინც არ



იზამდა, ამან კი აინუნშიაც არ ჩააგდო.

— ეს არის საქმე, სახლში რაღაც კუდიანი მაკაკა რომ გეყოლება! მაგისი მაიმუნური სიფათის შეხედვაზე სულ ფეთებასა და გულის ხეთქვაში უნდა იყო. დაგახტება უცებ სიბნელეში და შიშით გულს გადაგიტრიალებს, რაც კანფეტია, შეგიჭამს. არა, გეთაყვა, მე ამ სახლში მაიმუნთან ერთად ვერ ვიცხოვრებ, ან ეგ უნდა წავიდეს ზოოპარკში, ან მე... ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ მაინცა და მაინც მე წავიდე ზოოპარკში, გაუშვი, ისევ ეგ წავიდეს, ამ ჩემს სახლში კი ისევ მე დავრჩებიო, — განაცხადა ბებიამ.

— არა, ბები, ზოოპარკში რა გინდათ, — უთხრა ალიოშამ ბებიას, — გარწმუნებთ, ამის შემდეგ მაიმუნი აღარაფერს შეგიჭამთ. ისე გავწვრთნი, ყველაფერს ისე ვასწავლი, როგორც ადამიანს, საჭმელს კოვზით ვაჭმევ, ჩაის ჭიქით დავალევინებ... ერთია, ჭერში ჩამოკიდებულ ლამპაზე ძვრომას ვერ დავუშლი, იქიდან შეიძლება თავზეც დაგახტეთ, მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, მთავარია, არ შეშინდეთ, ეს ერთი უწყინარი მაიმუნია, აფრიკაში თავისუფლად ხტუნვას და სირბილს მიჩვეული.

მეორე დღეს, სკოლაში წასვლის წინ ალიოშამ ბებიას სთხოვა, მაიმუნისათვის მიეხედა, მაგრამ — გადავყვები ახლა ამ რაღაც საფრთხობელასო, — ზედაც არ შეხედა ბებიამ, ის კი არა, ჩაჯდა თავის სავარძელში და მაიმუნის ჯიბრზე ერთი კარგი ძილი გამოაცხო.

მაშინ ადგა ეს ჩვენი მაიმუნი, ღია სარკმლიდან ქუჩაში გადაძვრა და მზით განათებულ მხარეს გაუყვა.

ვინ იცის, შეიძლება გასეირნება მოუნდა, ანდა, უბრალოდ, ისევ იმ მაღაზიაში შესვლა და რაღაცის ყიდვა გადაწყვიტა, ოღონდ ფულით კი არა, ისე, უფულოდ.

სწორედ ამ დროს ქუჩაში ვიღაც მოხუცი, ვინმე ხეიბარი გავრილიჩი, აბანოსაკენ მიდიოდა, ხელში მოზრდილი კალათი ეჭირა, კალათში საცვლები და საპონი ეწყო.

მაიმუნი რომ დაინახა, ჯერ თვალს არ დაუჯერა — წამოსვლის წინ ერთი დიდი ტოლჩა ლუდი პქონდა დალეული, იფიქრა, ალბათ მომეჩვენაო. დგას გავრილიჩი და გაოცებული უყურებს მაიმუნს, მაიმუნიც ეგრევე მისჩერებია, თვალს არ აცილებს, იქნებ იმასაც კი ფიქრობს, ნეტავი ეს საფრთხობელა ვიღაა, ასე რომ დაყუდებულა და ხელში კალათი უჭირავსო.

ბოლოს და ბოლოს გავრილიჩი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ეს მოჩვენება კი არა, ნამდვილი მაიმუნი იყო და გუნებაში გადაწყვიტა: მოდი, ამას ხვალ ბაზარში წავიყვან, მეტად თუ არა, ას მანეთად მაინც გავყიდი, იმ ფულით თერთმეტ ტოლჩა ლუდს ვიყიდიო. დასდევს გავრილიჩი მაიმუნს დასაჭერად, დასდევს და თან ეძახის: ფიისო, ფიისო... მოოდი, ფისო, მოოდი...

არა, იცის, როგორ არ იცის, კატა კი არა, მაიმუნია, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს, რა ენაზე დაელაპარაკოს. ბოლოს, როგორც იქნა, მოისაზრა, მაიმუნი ხომ ცხოველთა სამყაროს უმაღლესი არსებააო, ჯიბიდან ერთი ნაჭერი შაქარი ამოიღო, მაიმუნს გაუწოდა და დიდი მორიდებითა და მოწიწებით მიმართა:

— ჩემო მშვენიერო მაიმუნო, ერთ ნაჭერ შაქარს ხომ არ მიირთმევდი?

— მივირთმევდი, როგორ არ შევირთმევდი, უთხრა მაიმუნმა, უფრო სწორად, სულაც არაფერი არ უთქვამს — აბა, რა უნდა ეთქვა, ლაპარაკი არ იცის! — შაქარი ხელიდან წაგლიჯა და აახრამუნა. ამასობაში, გავრილიჩმა მაიმუნი აიყვანა და კალათში ჩასვა. კალათში სითბო და სიმყუდროვე იყო, ისე რომ, ამ ჩვენს მაიმუნს კალათიდან ამოხტომა არც უცდია: გაუშვი, მატაროს ამ ბებერმა, რა მენაღვლება, ჩემთვის ეს სასიამოვნოც კიაო.

გავრილიჩმა ჯერ სახლში წაყვანა მოუნდომა, მაგრამ უკან მიბრუნება დაეზარა და იმ თავის მაიმუნიანად ისევ აბანოსაკენ გასწია: „არ ჯობია, აბანოში წავიყვან, დავბან, გავაკრიალებ, ყელზე ერთ კარგ ბაფთასაც შევაბამ და ხვალ ბაზარზე კიდევ უფრო სარფიანად გავყიდი“.

მართლაც, მივიდა აბანოში და მაიმუნთან ერთად ბანაობას შეუდგა.

აბანოში კი ისეთი ბული იდგა, აფრიკა ეგონებოდა. მაიმუნი ამ სითბოთი, ცხადია, დიდად კმაყოფილი დარჩა, თუმცა, არც ისე კმაყოფილი, ვინაიდან გავრილიჩმა გასაპნა რომ დაუწყო, საპონი პირში



ჩაუვიდა, რაც, რა თქმა უნდა, უგემური კი იყო, მაგრამ არც იმდენად უგემური, კანვრა და წივილ-კივილი აეტეხა, თან დაბანვაზეც უარი ეთქვა. მოკლედ, იყო ერთ ფურთხვასა და პურჭყვაში, რომ საპონმა ახლა თვალები ასწვა. აი, მაშინ კი გადაირია მაიმუნი, გავრილიჩს თითში უკბინა, ხელიდან დაუსხლტა, აბანოდან თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა, პირდაპირ გასახდელში ეცა და ყველას გულები დაუხეთქა — აბა, ვინ რა იცოდა, მაიმუნი იყო თუ რა იყო, შემოვარდა რაღაცა გორგალივით დახვეული, თეთრად გაქაფული, ჯერ დივანზე შეხტა, დივნიდან ლუმელზე ისკუპა, ლუმლიდან ჟუთზე, ჟუთიდან ვიღაცას თავზე დაახტა და ისევ ლუმელს ეცა.

ხალხი აყვირდა, აჩოჩქოლდა, ვიღაც-ვიღაცეები აბანოდან წივილ-კივილით გამოცვივდნენ, უკან მაიმუნიც მოჰყვათ და ისიც კიბეზე გადარეულივით დაეშვა.

დაბლა ერთი პატარა სარკმლიანი სალარო იყო. მაიმუნმა იფიქრა, იქნებ სული აქ მაინც მოვითქვა, რაც მთავარია, აქ ალბათ ისეთი ჭყლეტა და ჯგლეთა არ იქნებაო და პირდაპირ სალაროს სარკმელში შეხტა. სალაროში ვიღაც ფაშფაშა მოლარე იჯდა. მაიმუნის დანახვაზე ერთი ვიშვიში და წივილ-კივილი ატეხა:

— ყარაულ, ყარაულ! ჩემ სალაროში ბომბი ჩამოვარდა!.. ვალერიანი, ჩქარა, ვალერიანი ჩამიწვეთეთ!

მობეზრდა მაიმუნს ეს ყვირილი და ალიაქოთი, სალაროდანაც გამოვარდა და ახლა პირდაპირ ქუჩაში პკრა თავი.

მირბის ქუჩაში თავით ფეხამდე წყალში ამოზუნზლულ-გასაპნული, უკან ისევ ხალხი მოსდევს — წინ ბიჭები მორბიან, ბიჭებს დიდები მოჰყვებიან, დიდებს მილიციონერი მოსდევთ, მილიციონერს უკან ჩვენი ბებერი, ხანახევროდ ჩაცმული გავრილიჩი მოჩანჩალებს, ხელში ჩექმები უჭირავს.

სად იყო და სად არა, უცებ საიდანღაც ისევ ის უცნობი ძაღლი გამოხტა. ძაღლმა ხტუნვა-ხტუნვით მიმავალ მაიმუნს შეხედა, ნატკენი ცხვირი გაახსენდა და ნაცვლად იმისა, უკან გაჰკიდებოდა, მიბრუნდა და ზურგი აქცია.

ამასობაში ის ჩვენი ალიოშა პოპოვიც უკვე სკოლიდან დაბრუნდა, მაგრამ თავისი საყვარელი მაიმუნი შინ რომ არ დახვდა, ძალიან შეწუხდა, ის კი არა, ჩემს დიდებულ, სათაყვანებელ მაიმუნს ალბათ ვეღარასოდეს ვიხილავო, თვალებიდან ცრემლებიც კი წამოსცვივდა.

და აი, ხევდის განსაქარვებლად ალიოშა ქუჩაში გამოვიდა, მიდის თავისთვის გაჩუმებული და ისეთი მელანქოლიურია, ისეთი მელანქოლიური... უცებ ხედავს, ქუჩაში ხალხი მორბის. არა, მაიმუნი თავიდან აზრადაც არ მოსვლია, ეგონა, საჰაერო განგაშიაო. მაგრამ, აი, ქუჩაში თეთრად გაქაფულ-გასაპნული, წყალში ამოზუნზლული მაიმუნი თავქუდმოგლეჯილი მორბის და მთელი ის ხალხიც უკან მოჰყვება. ალიოშამ მაიმუნთან მიირბინა, ხელში აიყვანა და, ვაითუ ვინმემ წამართვასო, გულში მაგრად ჩაიხუტა.

ამის დანახვაზე სირბილისაგან აქოშინებული ხალხი შეჩერდა და ალიოშას შემოეხვია.

უცებ ჩვენი ბებერი გავრილიჩი ბრბოს გამოეყო:

— მოქალაქენო, ამ ბიჭს უთხარით, ჩემს მაიმუნს თავი გაანებოს, — თქვა და ხალხს თავისი ნაკბენი თითი აჩვენა, — ხვალ ბაზარში გასაყიდად უნდა წავიყვანო. სხვისი კი არ გეგონოთ, ჩემია! აბა, ერთი ამ გახიებულ თითზე შემომხედეთ! აი, მაგ მაიმუნმა მიკბინა. ეს კი იმის დასტური გახლავთ, რომ რასაც ახლა ვამბობ, სრული სიმართლეა.

— მაგისი კი არა, ეს მაიმუნი ჩემია, — თქვა ახლა ალიოშა პოპოვმა, — ვერ ხედავთ, რა ხალისით შემომახტა ხელებზე! პოდა, ესეც იმის დასტურია, რომ რასაც ახლა ვამბობ, სრული სიმართლეა.

ამ დროს ხალხიდან კიდევ ერთი კაცი გამოვიდა — ეს ის შოფერი იყო, ამ ქალაქში მაიმუნი თავისი მანქანით რომ ჩამოიყვანა.

— არა, პატივცემულებო, — ამბობს შოფერი, — მაიმუნი არც ერთისაა და არც მეორის, მაიმუნი მე ჩამოვიყვანე ქალაქიდან, მაგრამ დღეს მე ისევ სამხედრო ნაწილში უნდა დავბრუნდე, ამიტომაც, მაიმუნს მხოლოდ იმას ვაჩუქებ, ვისაც ასეთი სიყვარულით ჰყავს გულში ჩახუტებული და არა იმას, ვინც ხვალ ბაზარში უნდა წაიყვანოს, ლუდის ფასად ჭერაგულად გაყიდოს... მოკლედ, მაიმუნი ბიჭისაა...

ამ სიტყვებზე მთელმა ხალხმა ტაში დასცხო, სიხარულისაგან გაბრწყინებულმა ალიოშა პოპოვმა კი მაიმუნი კიდევ უფრო მაგრად ჩაიკრა და დიდის ზარზეიმით შინისაკენ წაიყვანა.

მას შემდეგ მაიმუნი იმ ჩვენს ნაცნობ პატარა ბიჭუნასთან — ალიოშა პოპოვთან ცხოვრობს.

ამას წინათ ქალაქ ბორისოვოში ვიყავი, ალიოშასთან საგანგებოდ შევიარე — მოდი, ვნახავ, მაიმუნი როგორაა-მეთქი. .. რომ იცოდეთ, შესანიშნავად არის, აღარც არსად გარბის, არც არაფერს აშავებს და ალიოშასაც ყველაფერს უჯერებს — ცხვირს ცხვირსახოცით იხოცავს, სხვის კანფეტებს ხელსაც არ აკარებს, ისე რომ, ბებია ახლა ძალიან კმაყოფილია, აღარც მაიმუნს უბრაზდება და აღარც ზოოპარკში გადასახლებას აპირებს.

ალიოშასთან ოთახში რომ შევედი, მაიმუნი მაგიდასთან ისე ამაყად და თავმომწონედ იჯდა, როგორც კინოს მოლარე სალაროში და ბრინჯის ფაფას ჩაის კოვზით არხეინად მიირთმევდა.

— ხედავთ, როგორ ალვზარდე, ნამდვილი ადამიანივითაა, ბავშვსაც და ზოგიერთ უფროსსაც შეუძლიათ მაგალითი აიღონ მისგანო, — მითხრა ალიოშა პოპოვმა.

თარგმნა

ლილი მჭედლიშვილმა


## სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)

თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,

ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია

თამაზ ნხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურება)

ლიდერები

## კოლმა და კლინტონმა ელცინზე „იჭორავეს“

ამერიკის შეერთებული შტატების ვისკონსინის შტატში გაიმართა აშშ პრეზიდენტის ბილ კლინტონისა და გერმანიის კანცლერ ჰელმუტ კოლის შეხვედრა. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მათ მხარი დაუჭირეს ბორის ელცინის კანდიდატურას 16 ივნისის არჩევნებში. „ჩვენ მხარს ვუჭერთ ადამიანს, რომელიც რეფორმების კურსს ატარებს და ცდილობს, რუსეთი მსოფლიოსთვის „გახსნას“. იმედი გვაქვს, რომ ბორის ელცინი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს“, — განაცხადა კოლმა. კლინტონმა კი, თავის მხრივ, დაუმატა: „ელცინი მომავალს განასახიერებს. იმედი მაქვს, რომ რუსი ხალხიც მომავალს დაუჭერს მხარს“.





ორმა ლიდერმა განიხილა, აგრეთვე, ელცინის ჩეჩენთა ერთ-ერთ ლიდერ ზელიმხან იანდარბიევთან შესაძლო მოლაპარაკების მომზადების ორგანიზაციული საკითხი. მათ მაღალი შეფასება მისცეს ამ მოვლენას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს სამომავლოდ დიდი დაბრკოლებები აქვს გადასალახი ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებით.

ელცინის სურვილი, დაამყაროს მშვიდობა რეგიონში, სადაც უკვე 17 თვეა გრძელდება ომი, კოლმა და კლინტონმა სწორ პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნიეს.

## ახალი პრემიერი — ახალი პროგრამით

იტალიის ახალმა პრემიერმინისტრმა რომანო პროდიმ ქვეყნის პარლამენტის ზედა პალატაში გამოსვლისას თავისი კაბინეტის სამუშაო პროგრამა წარმოადგინა. საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად პროდი გამოყოფს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შემდგომ ინტეგრაციას, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის ამერიკასთან უფრო ეფექტური ურთიერთობები ჩამოყალიბდეს. ამასთან იტალიის პრემიერმა მხარი დაუჭირა ევროპაში ამერიკის სამხედრო ნაწილების ყოფნას. მემარცხენე შეხედულებების მქონე პროდიმ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა რუსეთთან ურთიერთობების გაფართოების საკითხსაც.

პროგრამის წარდგენისას, იტალიის პრემიერი, ბუნებრივია, შიდა პოლიტიკასაც შეეხო და აღნიშნა, რომ მისი კაბინეტის მუშაობა მიმართული იქნება ინფლაციის, უმუშევრობისა და ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემათა გადასაჭრელად.

## ტონი ბლეარი „მეტოქეს“ მხარს უჭერს

ინგლისი ბრიტანული ხორცის ექსპორტზე დადებული აკრძალვის გამო ევროკავშირთან ხანგრძლივი ბრძოლებისთვის ემზადება. ხუთშაბათს პრემიერმინისტრმა ჯონ მეიჯორმა რამდენიმე სხვა მინისტრთან ერთად მოაწყო შეკრება, რათა განეხილა ევროპის ბიზნესწრიდან გამოსვლის სტრატეგია და ტაქტიკა. ე.წ. „ომის კაბინეტის“ წევრებმა განაცხადეს, რომ ეს კამპანია, შესაძლოა, რამდენიმე თვის მანძილზე გაგრძელდეს.



ამავე დროს, ბრიუსელში წარგზავნილმა ბრიტანელმა დიპლომატებმა დაიწყეს აქტიური ბრძოლა მათი ევროპელი პარტნიორების დასარწმუნებლად, რომ აკრძალვა ხორცის ექსპორტზე, ნაწილობრივ მაინც, უნდა მოიხსნას.

ბრიტანეთის ოფიციალური ოპოზიციის ლიდერმა, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ ტონი ბლეარმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ მხარს უჭერს ჯონ მეიჯორის მთავრობას ხორცის საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირთან ბრძოლაში.

„ჩვენი ეროვნული ინტერესები ექსპორტის აკრძალვის მოხსნას მოითხოვს და, თანაც, რაც შეიძლება მოკლე დროში“, — განაცხადა ბლეარმა.

## «არ შეიძლება ადამიანი მოკლა ღმერთის სახელით...»



საფრანგეთი შეძრა შვიდი ფრანგი მღვდლის მკვლელობის ფაქტმა. ისინი 2 თვის წინ გაიტაცეს მუსლიმანური ექსტრემისტული დაჯგუფების წევრებმა. ტერორისტებმა მკვლელობის ფაქტი იმით ახსნეს, რომ საფრანგეთი არ დათანხმდა, ენარმოებინა მოლაპარაკებები, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ფრანგი ტყვეებისა და საფრანგეთის ციხეებში მყოფი მუსლიმანი ტერორისტების გაცვლის საკითხი.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში პარიზის არქიეპისკოპოსმა შვიდი სანთელი დაანთო და ყველა მუსლიმანს მიმართა: „არ შეიძლება ადამიანის მოკვლა ღმერთის სახელით, რადგან ღმერთს არ სურს სისხლი და ძალადობა. ღმერთის გულისთვის უნდა დაუფასო სიცოცხლე და უნდა იყო შემნდობი“.

ახლო აღმოსავლეთი

## ისრაელში არჩევნები მოახლოვდა

ისრაელის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღეღა დარჩა. 29 მაისს ქვეყნის მოსახლეობამ ხმა უნდა მისცეს ან „შრომის პარტიის“ ლიდერს ქვეყნის დღევანდელ პრემიერ შიმონ პერესს ან ბენიამინ ნათანიაჰუს, რომელიც „ლიკუდის“ ოპოზიციურ პარტიას წარმოადგენს. ისრაელში მცხოვრებ ებრაელების, არაბების, პალესტინელების და რეგიონში განმტკიცების მსურველი ქვეყნების ინტერესები ძალიან ჩახლართულია ერთმანეთში. თუმცა, თითოეულ მხარეს კარგად ესმის, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების გარეშე, არჩევნებში მონაწილე ნებისმიერი მხარე მარცხისთვისაა განწირული.

## პალესტინელი „თეთრი ყვავი“

წელს უკვე მეორედ ღაზის სექტორში პალესტინის პოლიციამ დააპატიმრა ადამიანის უფლებების დამცველი აქტივისტი დოქტორი იად სარაჯი. იგი უკვე მეორე კვირაა დაკავებულია და ბრალად ედება მოვლენათა ასახვის დამახინჯება და ცილისწამება. პოლიციის მტკიცებით, ბრალდებულმა დაამახინჯა ფაქტები, როდესაც მან „ნიუ-იორკ ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პალესტინის ადმინისტრაციის რეჟიმი კორუმპირებული, დიქტატორული და დესპოტურია.

სარაჯის კოლეგები მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ. პალესტინელი აქტივისტის დაპატიმრებამ აღშფოთება გამოიწვია ისრაელის ადამიანის უფლებათა დამცველთა შორისაც. მათ მიერ პალესტინის პრეზიდენტ იასირ არაფატისთვის გაგზავნილ წერილში პალესტინელ ხელისუფალთა ქმედება და მომხდარი ფაქტი შეფასებულია, როგორც საპირისპირო და კრიტიკული აზრის გამოთქმის აკრძალვა. დოქტორი სარაჯი პალესტინელია, თუმცა მას ბრიტანეთის მოქალაქეობაც აქვს. იგი ფსიქიატრია და მის ნაშრომს „ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბავშვებისადმი მიდგომა“ წილად ხვდა საერთაშორისო აღიარება. აქტივისტის სამართლიანმა კომენტარებმა, რომლებიც „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნდა, პალესტინელი ხელისუფლების გულისწყრომა გამოიწვია. მის გათავისუფლებას, მიუხედავად კოლეგების მიერ ატეხილი დიდი აჟიოტაჟისა, ჯერჯერობით არავინ აპირებს.

ახალი საზღვარგარეთი

## „ჯაშუში“ სახელმწიფო სათათბიროში

„საინტერესო“ ინციდენტი მოხდა გუშინ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში: ერთ-ერთი ჟურნალისტი სხდომათა დარბაზში კომუნისტების საპარლამენტო ფრაქციის მაგიდის ქვეშ ამაგრებდა მოსასმენ აპარატურას, რის გამოც იგი კომენდატურაში მიაბრძანეს. საპარლამენტო ფრაქციის წევრებმა პროტესტი გამოთქვეს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და იგი პოლიტიკური ბრძოლის „პარტიზანულ მეთოდს“ შეადარეს.

## ტრაგედიის ახალი ვერსია

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ქალაქ სვეტოგორსკში აფეთქდა საცხოვრებელი სახლი, რამაც 19 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ადრე ვარაუდობდნენ, რომ ტრაგედიის მიზეზი იყო გაზის ბალონის აფეთქება. გუშინ კი წარმოიშვა ახალი ვერსია, თითქოს შენობის დანგრევა გამოიწვია ასაფეთქებელმა მოწყობილობამ.

ამ შემთხვევის გამო, რომლის ჭეშმარიტ მიზეზებს, ალბათ, გამოძიება დაადგენს, გუშინდელი დღე სვეტოგორსკში გლოვის დღედ გამოცხადდა.

## ბორის ელცინი არხანგელსკში

• გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა განაცხადა, რომ აპირებს, ვეტო დაადოს სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ მიწის კოდექსს. მან აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტში არ ფიგურირებს მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხი. „მე ასეთ კოდექსს მხარს არ ვუჭერ“, განაცხადა ბორის ელცინმა არხანგელსკში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

სამაგიეროდ, უშუალოდ ამ შეხვედრის დროს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ორ განკარგულებას, რომლებიც მცირე ქალაქების განვითარების პროექტისთვის საპრეზიდენტო სტატუსის მინიჭებასა და თავად არხანგელსკის ოლქის მეურნეობის განვითარების საკითხებს ეხება.

## პირველად ვენესუელაში

•რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა დაასრულა ვიზიტი კუბაში და ვენესუელას ეწვია. ამ ქვეყნის დედაქალაქ კარაკასში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი პირველია ამ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის მანძილზე.

კრიმინალი

## ჩამორთმეულია კონტრაბანდული იარაღი

აშშ-ს პოლიციისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლების მიერ სან-ფრანცისკოს შემოგარენში ჩატარებული ოპერაციის შედეგად, აღმოჩენილ იქნა იარაღის მსხვილი პარტია. დაკავებულია რვა ადამიანი (ამერიკელები და ჩინელები), რომელთაც კონტრაბანდული იარაღით ვაჭრობის ფართო ქსელი შექმნეს. ამოღებულია ორი ათასამდე ავტომატი AK-47, რომლის ღირებულებაც 4 მილიონ დოლარს უდრის. სამართალდამცავი ორგანოები აღნიშნავენ, რომ ეს იარაღის უდიდესი პარტიაა, რომელიც ოდესმე ჩამოურთმევიათ კონტრაბანდისტებისთვის.

## პრიბკე აღიარებს, მაგრამ...

იტალიაში გრძელდება ყოფილი ესესელი კაპიტნის ერიკ პრიბკეს სასამართლო პროცესი. მიმდინარეობს მოწმეთა დაკითხვები. როგორც ვიუწყებოდით, კაპიტანს მეორე მსოფლიო ომის დროს 335 იტალიელის მკვლელობა ედება ბრალად. ერთ-ერთმა მოწმემ სასამართლოს მოუთხრო მამამისისა და ოჯახის კიდევ ექვსი წევრის საზარელი მკვლელობის შესახებ, რომელიც 1944 წელს მოხდა. პრიბკე აღიარებს დანაშაულს, მაგრამ დაჟინებით აცხადებს, რომ იგი მხოლოდ ბრძანებებს ასრულებდა.

მისი საქმე, როგორც მიიჩნევენ, ივნისის შუა რიცხვებისთვის დასრულდება.

შორეული აღმოსავლეთი

## 30 წელი «კულტურული რევოლუციის» შემდეგ

30 წლის წინ ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ მაო ძე დუნის მითითებით შექმნა „კულტურული რევოლუციის“ საქმეების სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფის მუშაობამ ჩინეთს მრავალი უბედურება დაატეხა თავს.

დღეს მაო ძე დუნის სურათებს ჩინეთის ანტიკვარულ ბაზრობებზე თუ შეხვდებით. 30 წლის წინ კი ბელადის ნებისმიერი აზრისადმი უგულისყურო დამოკიდებულება დანაშაულის ტოლფასი იყო. მაოს „წითელი აზრების კრებული“ კულტურული რევოლუციის სიმბოლოდ იქცა. წლების შემდეგ გაირკვა, რომ „დიდმა ბელადმა“ ეს კრებული საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების ისტორიული მატერიალიზმის სახელმძღვანელოებისა და 30-იან წლებში გამოცემული „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ სტატიების საფუძველზე შეადგინა. მაგრამ საკითხი მან შემოქმედებითად, ჩინელისთვის დამახასიათებელი სიღრმით შეისისხლხორცა. მთელ ქვეყანაში დაიხურა სკოლები და ინსტიტუტები. „წითელ დამცველთა“ რიგებში გაერთიანებული ახალგაზრდობა „კონტრევოლუციონერებს“ — მეცნიერებს, მწერლებს, მასწავლებლებს — „კუდით ქვას ასროლინებდა“. რეპრესიები არც უმაღლეს ხელმძღვანელობას, ჩინეთის რეფორმების ნათლიმამის — დენ სიაო პინის — ჩათვლით, ასცდათ. ერის „კულტურიზაციას“ არც ეკონომიკური განვითარებისთვის ჩაუვლია უკვალოდ. მხოლოდ დოგმების უარყოფამ გამოიყვანა ქვეყანა კრიზისიდან.

ამჟამად აღიარებენ, რომ მაშინ, თურმე, „ზოგჯერ“, შეცდომებსაც უშვებდნენ. მოვლენების ახალი თვალთახედვით შეფასებაც კომუნისტური პარტიის ავტორიტეტს დაუკავშირდა. ის კი, ჩინეთში, ჯერჯერობით, ხელშეუხებელი და ტაბუდადებულია.

## კორეის ინციდენტმა იაპონიაც შეაშფოთა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კორეის სამხედრო-საჰაერო ძალების საბჭოური წარმოების თვითმფრინავმა დაარღვია საჰაერო სივრცე და სამხრეთ კორეის დედაქალაქის მახლობელ აეროპორტში დაჯდა. ამასთან დაკავშირებით, გუშინ, იაპონიის პარლამენტში გამართული ცხარე დებატების დროს, ქვეყნის ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსმა განაცხადა, რომ თავდაცვის ძალები ატარებენ ღონისძიებებს კორეის ნახევარკუნძულზე სიტუაციის გასაკონტროლებლად. იაპონიის პრემიერმინისტრმა ხასიმოტომაც აღნიშნა, რომ შეწუხებულია ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლის მოქმედებით.

გახსენება

# ზოგადი შტრიხები პორტრეტისთვის



მამია ხარაზი — მეშედიკო — ასე ეძახდნენ ახლობლები. აჭარაში „თამბაქოს მეფე“ შეარქვეს. მრავალი წლის განმავლობაში იყო ბათუმის თამბაქოს ქარხნის გენერალური დირექტორი. ამოუწურავია ამ პიროვნების ღირსებები. მრავალმხრივ განათლებული, კეთილსინდისიერი, მაღალი ზნეობისა და ინტელექტის მქონემ, უმწიკვლო კაცის სახელი დატოვა ქვეყნად. დიდია მისი ღვაწლი ერისა და სამშობლოს წინაშე.

პოეტი მამია ვარშანიძე თავის წიგნში „ჩემი საუნჯე“ მოკლედ გვაცნობს მამია ხარაზის წინაპრებს: „მამათქვენი სერგო ჩვენს ქალაქში ავტორიტეტული ინჟინერი იყო. იგი საქართველოში გაზიფიკაციის ფუძემდებელია. დედა — ქევსერი, ჰასან თხილაიშვილის ასულია; ვინ იყო ჰასანი? — ხალხური პოეტი, აჭარაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეზნებარე, ბობოქარი მონაწილე, რომელმაც საქართველოსთვის კრიტიკულ მომენტში საგმირო ნაბიჯი გადადგა და ბედად გადაურჩა სიკვდილით დასჯას ოსმალო მესვეურთაგან. ცნობილი პატრიოტი გულოალა კაკაციშვილი დედის მხრიდან შენი ბაბუაა. ცხონებული თქვენი მამის, სერგოს დედის — ხაჭერ დადიანის ძმას, იუსუფ დადიანს, ცოლად ჰყავდა ცნობილი მწერლის, ჰოლა ლომთათიძის და, ქალბატონი სიდონია. შენი დედის, ქევსერის დედა ფადიმე ართმელაძე უკანასკნელი ხინოწმინდელის, იოანე ართმელაძის შთამომავალი ყოფილა. რა კარგი წინაპრები გყოლია!“ მართლაც და, ასეთი შესანიშნავი წინაპრების შთამომავალი განა შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო?!

„ყოველ გაჭირვებულ ადამიანში ჩემს შვილებს ვხედავ და მათი დახმარებით სულიერად ვშვიდდები“ — ამბობდა იგი. ასეც იყო. ნებისმიერი ადამიანის გასაჭირს გაითავისებდა და ყოველ ღონეს იხმარდა მის დასაძლევად: ვის ეკონომიურად დაეხმარებოდა, ვის სამუშაოზე მოაწყობდა, ზოგს რჩევა-დარიგებას მისცემდა, ზოგს წიგნისა თუ გაზეთის გამოცემაში ეხმარებოდა. ნიჭის უბადლო შემფასებელი გახლდათ მამია ხარაზი. კელაპტრად ანთებული გზას გაუნათებდა ხოლმე ახალგაზრდა ნიჭიერ კაცს და თავად ბავშვივით ხარობდა, როცა მის მიერ დაკვალიანებული პიროვნება მეცნიერებისა თუ ხელოვნების მწვერვალს დაიპყრობდა.

რამდენი სამეცნიერო შრომა შეიქმნა მის უნიკალურ ბიბლიოთეკაში, სადაც 40 ათასზე მეტი წიგნაა თავმოყრილი. მამია ხარაზმა ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში დაიწყო წიგნების შეგროვება. სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. „სტუდენტობის წლებში, როცა საერთო გასაჭირი იყო, ბევრი უნიკალური წიგნი გამოჩნდებოდა გასაყიდად და მათ შესაძენად არანაირ ფიზიკურ შრომას არ ვთაკილობდი“ — მითხრა ერთხელ.

ბიბლიოთეკა მისი უდიდესი სიამაყე იყო, წიგნი — მისი სიყვარული. შვილივით ელოლიავებოდა, ეფერებოდა თითოეულ მათგანს. სწრაფად კითხულობდა — დღეში 500-600 გვერდს კითხულობდა დიაგონალური კითხვის წესით. ადგენდა კატალოგებს, რათა მაძიებლებს გაადვილებოდათ სამეცნიერო თუ შემეცნებითი მუშაობა. თავადაც წერდა ლექსებს, სონეტებს. მის ბიბლიოთეკაში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. ვის არ ნახავდით აქ? გამოჩენილ მწერლებსა თუ პოეტებს, საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეცნიერებს, მსახიობებს, ქართველებს თუ უცხოელებს. „სიყვარულისა და მეგობრობისთვის გამაჩინაო ღმერთმა“ — იტყოდა და სიამაყით ჩამოთვლიდა ურიცხვ მეგობრების სიას. მათ შორის ერთი მოკრძალებული ადგილი მეც მიკავია და ძლიერ ვამაყობ ამით. წელს, 25 მაისს 60 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღეს იგი უახლოესი მეგობრების შეკრებას აპირებდა განახლებული ბიბლიოთეკის გახსნაზე.

მტრები არ მყავსო — ღიმილით იტყოდა, თავად ყველაში სიკეთის მაძიებელი; მაგრამ ცხოვრების მწარე სინამდვილემ უკვე რამდენჯერ დაგვანახა ვაჟა-ფშაველას სიტყვების — „კუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“-ს რეალობა. შურსა და მტრობას ვერც მეშედიკო ასცდა. ვერ გაუძლო მისმა სათნო და მოყვარულმა გულმა უმისამართოდ მოსულ ტკივილებს.

უკანასკნელ წლებში მან ღრმად შეისწავლა ყველა რელიგია და მათი მიმდინარეობები. უფალს ეძებდა. სულით ქრისტიანი კაცი იყო, მართლმადიდებელი. ბათუმის მართლმადიდებლურ ეკლესიებს რამდენიმე ათასი უნიკალური რელიგიური წიგნი აჩუქა. ოცნებობდა თავის ნათლობაზე, აწყობდა გეგმებს. ვერ მოასწრო. ცხოვრების ყველაზე სულიერ ეტაპზე წამოეწია მას სიკვდილი.

რამდენი დარჩა დაუწერელი, დაუმთავრებელი. რამდენი კაცი დარჩა მისი სიკეთისა და დახმარების მომლოდინე.

1992 წელს თბილისში გამოიცა მამია ხარაზის პირველი წიგნი „სული დევნილი“ — ანა ახმატოვას შესახებ. გამოსაცემად მზად არის „ესენინის ბათუმური ზამთარი“. დღის შუქი იხილეს მისმა ლექსებმაც, კრებულს „მეშედიკო“ ჰქვია. ახლო მომავალში გამოიცემა მისი სონეტების კრებული. ვინც გაეცნობა მის წიგნებს, უსათუოდ მიხვდება, რომ მამია ხარაზი ლიტერატურის ნიჭიერი მკვლევარი და არანაკლებ ნიჭიერი პოეტი იყო.

ხატის წინ ანთებული სანთელივით ჩაიფერფლა მამია ხარაზის სიცოცხლე, მისგან დატოვებული სინათლე კი მარადისობას შეუერთდა.

მისი მდიდარი სულიერი მემკვიდრეობა კიდევ მრავალ პატრიოტს აღზრდის. მჯერა, მის მიერ დატოვებული ნათელი საქმეები გადმოგვეცემა ჩვენ და მის შთამომავლობას.

ლანა სიხარულიძე

გახსენება

# აბესალომ ვაჩეიშვილი



„შეხეთ, შეხეთ, გაზაფხულდა,
მშვენიერი დარია,
ყაყაჩოსებრ მოხატულა
ჰია-ჰია-მარია“.

აი, 60-ე გაზაფხულიც შეგისრულდა. ამ სტრიქონების ავტორი კი ისევ 17 წლისაა, შენი ოთხმოცსვადაცილებული, თალხით მოსილი დედა კი, ისე იმ 17 წლის ბიჭს სტირის, ისევ ისეთივე გულისტკივილით. რამდენჯერაც კარგ ლექსს მოისმენს, იმდენჯერ სიამოვნებით გაიღიმება და იმ წუთში იმას იტყვის, ჩემი აბესაც ისეთი ნიჭიერი იყო, ალბათ, ის უფრო დიდი პოეტი იქნებოდაო, და აუცილებლად ზეპირად მიაყოლებს რომელიმე სტროფსა თუ სტრიქონს იმ 17 წლის ბიჭის თუნდაც გულუბრყვილო, მაგრამ მართლაც ალალი და ნიჭიერი ლექსებიდან.

ნამდვილმა სიყვარულმა და ნამდვილმა მწუხარებამ დრო არ იცისო, — ნათქვამია, და თურმე მართალი ყოფილა. ისევ ისე გვიყვარხარ და ისევ ისე გვ[...]ტრები. იძინე მშვიდად, მსუბუქი იყოს შენთვის შენი სამშობლოს მიწა, მარად 17 წლის ნათელო ბიჭო!

მარად შენი მოსიყვარულე დაიკო

26 მაისი

# I მსოფლიო საეკლესიო კრება ნიკეას (325)

აღდგომის მეშვიდე კვირას მართლმადიდებელ ეკლესიას დაწესებული აქვს ხსენება 318 წმიდათა მამათა, ნიკეას შეკრებილთა. ეს არის ნიკეას მსოფლიო კრება, რომელიც შედგა 325 წლის მაის-აგვისტოს დღეებში. მსგავსი შეკრება ამ დღემდე არც სახელმწიფოთა, არც მეცნიერების, არც სარწმუნოებათა ისტორიაში არ მომხდარა. და არც არავის მოუვიდოდა აზრად, რომ შეკრებილიყვნენ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ფილოსოფოსნი, სწავლულნი, ან თუნდაც ერთი აღმსარებლობის წარმომადგენელნი (ესენი მხოლოდ ადგილადგილ დღესასწაულებზე იკრიბებოდნენ). პლატონი შეხვდებოდა ვინმე ფილოსოფოსს ან მცირე ჯგუფს ფილოსოფოსთა (როგორც მის დიალოგებში ვხედავთ), მაგრამ ეს ინდივიდუალური შეხვედრები იქნებოდა. შეკრებილა ოდესმე სოკრატემდელი ელადის შვიდი ბრძენი? ისტორია დუმს ამაზე (მათი შეკრების მისია იკისრა იმ ოქროს თასმა, რომელმაც, როგორც ყველაზე ბრძენის წილხვედრმა, შვიდივე შემოიარა და ბოლოს აპოლონს ერგუნა, როგორც უბრძნესს ბრძენთა შორის). კრება ნიკეაში ნამდვილად არნახული მოვლენა იყო. ქრისტიანობის ისტორია შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებას ითვლის, მაგრამ პირველი კრება — დასაბამი ამ შვიდთა ნამდვილად სასწაულებრივი იყო. ეს კრება კიდევ იმით განსხვავდება სხვა შესაძლო მსოფლიო კრებებისგან, რომ შეკრებილნი არ ეძიებდნენ ჭეშმარიტებას — თავად ჭეშმარიტებამ შეჰყარა ისინი. თუმცა მისი იდეა იმპერატორ კონსტანტინეს ფიქრში ჩაისახა, — მას სურდა, იმპერიის როგორც სხეული, ასევე სული ერთიანი და გაუბზარავი ყოფილიყო, რომ ყველა ზიარებოდა ერთ ჭეშმარიტებას, — მაგრამ მის ნებას ღვთიური განგების ხელი წარმართავდა.

პირველად მსოფლიო ისტორიაში ადამიანები შეიკრიბნენ არა ეთნიური ან ეროვნული ნიშნით, არა სისხლის ნათესაობის ნიშნით, არა საერთო წარმოშობის ნიშნით — მსოფლიო კრებამ გაარღვია ვიწრო ეროვნული საზღვრები. აღარ იყო ელინი, არც იუდაელი, არც სკვითი, არც კოლხი, არამედ იყვნენ ერთი ეკლესიის შვილნი. „აქ შეიკრიბნენ კაცნი, — წერს ევსებიოს კესარიელი, კრების ერთ-ერთი მონაწილე და მესვეური, — დიდად განსხვავებულნი ერთმანეთისაგან არა მხოლოდ სულით, არამედ სხეულითაც, ქვეყნითაც და ადგილითაც, ენითაც. ყველა ისინი შეიწყნარა ერთმა ქალაქმა და ამ ქალაქში ყველა ერთად შეადგენდა თითქოს ერთ წარმტაც ყვავილთაგან დაწნულ გვირგვინს სამღვდელოებისა...“ როცა ავტორი, თვითმხილველი, ჩამოთვლის ქვეყნებს, საიდანაც იყვნენ მოსული მონაწილენი ამ კრებაზე, მას ახსენდება სულთმოფენობის დღე, როცა იერუსალიმში ამოსულ ხალხთა იმ სიჭრელეში ქრისტეს ეკლესია დაიბადა. აქაც, ნიკეაში, მოხდა ისეთი რამ, რამაც ქრისტიანობის ახალი პერიოდი მოასწავა.

ნიკეის კრებამ გამოავლინა პროვიდენციული მნიშვნელობა იმპერიისა, რომლის შენება ალექსანდრე დიდის ხანიდან დაიწყო და მისი საზღვრები საუკუნიდან საუკუნემდე ფართოვდებოდა. ამიერიდან ამ საზღვრებში პირველი ქრისტიანული იმპერია უნდა აღმოცენებულიყო. თუმცა ეკლესიის საზღვრები იმპერიის საზღვრებზე ფართო აღმოჩნდა.

ბასილევსმა, რომელიც ჯერ კიდევ კათაკმეველი იყო, აქ შეიკრიბა ერთი სხეული, თითქოს დაქუცმაცებული, დევნილი, ამ სხეულის ნატანჯი, ნაწამები ნაწილები. აქ იყო პავლე ნეოკესარიელი დამწვარი ხელებით (და ის ამ დამწვარ ხელს აღმართავდა თანხმობის ნიშნად), აქ იყვნენ პაფნუტი თებაიდელი და პოტამონ ჰერაკლიელი — თვალებდათხრილნი. იმპერატორი კრების დაწყებამდე, სანამ დაბრძანდებოდა მისთვის განკუთვნილ ოქროს ტახტზე და მისასალმებელ სიტყვას წარმოთქვამდა, ხელის შეხებით ესალმებოდა თითოეულ მათგანს, ეხვეოდა და დაშრეტილ თვალის უპეებს უკოცნიდა. ბევრი მათგანი არ იყო ღვთისმეტყველებაში განსწავლული, მათ შორის ერია მწყემსიც: სპირიდონ ტრიმიფუნტელი, რომელიც განაგრძობდა მწყემსობას ეპისკოპოსობაშიც, — მაგრამ თავად ამ ნაწამებ აღმსარებელთა შესახედაობა ამოწმებდა ჭეშმარიტებას. განათლებულ ღვთისმეტყველთა ცოდნა და უბრალოთა ღვთიური ინტუიცია ნიკეაში თანხვდებოდა ერთმანეთს.

კრება უფლებამოსილი იყო გადაეწყვიტა ისეთი გადაუდებელი ამოცანა, როგორიც იყო აღდგომის დღესასწაულის დროის განსაზღვრა, რათა იმპერიის საზღვრებში, და მის მიღმაც, დასავლეთ-აღმოსავლეთში, ეს უდიდესი დღესასწაული მთელ საქრისტიანოს ერთ დღეს ეზეიმა. კრებამ დაადგინა, რომ ეს პრობლემა ალექსანდრიის ეკლესიას გადაეწყვიტა და რომის ეპისკოპატს გამოეცხადებინა. ასეთი იყო თავად ბასილევსის ნება.

კრება, თავისი მსოფლიოობის მიზეზით, უფლებამოსილი იყო გამოეტანა მსჯავრი იმ ქრისტიანთა მიმართ, რომელნიც დევნილების ხანაში, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მომხდარიყო ეს, რაიმე იძულების გარეშე განუდგნენ ქრისტეს რჯულს. კანონში ჩაიწერა, რომ, თუმცა ისინი ღირსნი არ არიან კაცთმოყვარებისა, მაინც ხამს „სიტკბოებისაი ჩვენება მათდა მიმართ“. ისინი კვლავ მიიღეს ეკლესიის წიაღში თორმეტწლიანი ეპიტიმიით.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რისთვისაც ეკლესიის მამები შეიკრიბნენ ნიკეას, დოგმატური პრობლემა იყო. საეკლესიო მამები ფლობდნენ ჭეშმარიტებას, მაგრამ დოგმატები ჯერ კიდევ არ იყო სიტყვიერად მკაფიოდ ჩამოქნილი. არასრულყოფილი სიტყვიერი „ჭურჭელი“ ხშირად მცდარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. ამით სარგებლობდნენ თავისუფლად მოაზროვნენი, რომლებიც ცდილობდნენ საკუთარი შეხედულებები, თავიანთი კერძო „რწმენები“ მოეხვიათ თავზე ეკლესიისთვის. ასეთი იყო არიოზი, ალექსანდრიელი მღვდელი, რომელმაც ძე ღვთისა, [...] მეორე პირი, ქმნილებად [...] აცხადა. მან დაუშვა „არსებობ[...] იმ დროისა, როცა ძე ჯერ [...] არ არსებობდა, რითაც [...]ბრივად უარყო მისი ღვთაებ[...]რიობა. არიოზი თავისი [...]ლებლური თეზისით ეჭვის [...] აყენებდა ეკლესიის მოძღვრებ[...] ძირითად ჭეშმარიტებას [...] მოსყიდვის საიდუმლოსა, რომე[...]ლიც მხოლოდ და მხოლოდ განკაცებული ღმერთის [...] ღვთის ძის მეშვეობით [...] განხორციელებულიყო. მაგრამ მისი მეცადინეობით გავრცელებული სენი, როგორც [...] თანადროულ დოკუმენტებში უწოდებენ, იმის ნიშანი [...] რომ დოგმატის გამომხატველ სიტყვას ბზარი ჰქონდა. [...]ლებელი თავისას ცდილობ[...] ღვთიური განგება კი [...] მცდელობას კვლავ ეკლესიის სასიკეთოდ ამსახურებს. [...] ასე ხდებოდა მომდევნო [...]ბზე. ყოველი მწვალებლობ[...]ძლევის შემდეგ ახალი [...]სმეტყველო სიღრმეები [...]და.

არ იყო საკმარისი [...] ღვთის ძეზე, რომ ის „ღვთისგან არის“ (ეკ ტუ თეუ). არიანელები ამას არ უარყოფდნენ [...] ყველაფერი, ყოველი ქმნილება ხომ ღვთისგან არის და, [...] ძეც ღვთისგანაა, ისიც ქმნილებაა. ქმნილება კი არის ის, რაც არარაობიდან არის გაჩენილი. მაგრამ ის, ვინც ღვთის [...] შექმნილად აცხადებს, როგორ აუვლის გვერდს ამ სიტყვებს „დასაბამად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა..?“ სიტყვა-ძე შეუქმნელია.

სად არის შეუქმნელი [...] საიდუმლო? რა სიტყვით [...] შესიტყვებამ უნდა იტვირთოს მისი გამოხატვა? [...] ღვთისმეტყველური გონი [...] ენობრივი ალღო. არიანელთა მარცხი გადაწყვიტა ორმა [...]ტყვამ, რომლებიც თავად [...]სილევსის დაჟინებული [...]ვნით ჩაიწერა მრწამსის [...] ბოლოში: ძე არის „არსისაგან მამისა“ (ეკ ტეს [...] ტუ პატროს) და „[...] მამისა“ (ჰომოუსიოს ტო პა[...]რი), ანუ: ერთია არსება [...] და მამისა. ეს ის სიტყვები, რომლებმაც ჩაბერეს სული კრებაზე შემოთავაზებულ [...] ბოლოს (არიანელთაგან შეუ[...]დებული პირველი წარ[...] თანავე დახიეს) და საბოლოოდ შეუღწევადი გახადეს იგი [...]ანული „მინარევებისგან“. [...]აში ხელმოწერილი მრწამსი დაედო საფუძვლად კონსტანტინოპოლში II მსოფლიო კრებაზე (381 წ.) საბოლოოდ მიღებულ სიმბოლოს, რომელიც როგორც გაუბზარავი ჭურჭელი, დღემდე ინახავს ქრისტიანული სარწმუნოების არსს.

ნიკეის კრებამ დაადასტურა, რომ არსებობს ერთი საყოველთაო, კათოლიკე ეკლესია. ეს კრება ის კარიბჭე იყო, საიდანაც ქრისტიანობა ისტორიაში შემოვიდა... ქალაქს, სადაც მთელ იმპერიაში გაფანტული ეკლესიების მწყემსმთავარნი შეიკრიბნენ, მქუხარე სახელი ნიკეია — „ძლევა“ ერქვა. ქალაქმა გაამართლა თავისი სახელი. აქ ნამდვილად მოხდა ძლევა.

ზურაბ კიკნაძე

# 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

78 წელი გვაშორებს ამ ღირსსახსოვარ დღეს. გადავხედოთ მაშინდელ პრესას; გაზეთების გაყვითლებული ფურცლებიდან შევიტყობთ, რა ვნებათაღელვა იყო დედაქალაქში. უკვე ყველამ იცოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადებულიყო. მთავრობის სასახლის კარშემო მიმდებარე ყველა ქუჩა, მაშინდელი ერევნის (ახლა თავისუფლების) მოედანი გაჭედილი იყო ხალხით.

1918 წლის 26 მაისის ნაშუადღევის 5 საათი შესრულდა, ნოე ჟორდანია ადის ეროვნული საბჭოს სხდომის ტრიბუნაზე და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს აცხადებს. ყველა სიხარულით ტირის, ერთმანეთს კოცნის, ულოცავს. სასახლის მეორე სართულიდან, დამოუკიდებლობის აქტი შეკრებილ ხალხსაც წაუკითხეს. ტაშისცემა და საზეიმო შეძახილები არ ცხრება, საზოგადოება მოითხოვს ირაკლი წერეთლის გამოსვლას. ასახელებენ სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებსაც: კარლო ჩხეიძეს, ევგენი გეგეჭკორს, აკაკი ჩხენკელს.

საქართველოს, უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკის, ეროვნული საბჭო სასწრაფოდ ქმნის რესპუბლიკის კოალიციურ მთავრობას. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო ლიდერს — ნოე ბესარიონის ძე რამიშვილს, რომელმაც, ამავე დროს, მინისტრობაც (შინაგან საქმეთა) ითავა, საგარეო საქმეთა მინისტრად აირჩიეს აკაკი ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატი), სამხედრო მინისტრად — გრიგოლ გიორგაძე (სოციალ-დემოკრატი), სახალხო განათლების მინისტრად — გიორგი ლასხიშვილი (სოციალ-ფედერალისტი), იუსტიციის მინისტრად — შალვა მესხიშვილი (სოციალ-ფედერალისტი).

რთული საერთაშორისო ვითარებაა: ჯერ კიდევ მძვინვარებს პირველი მსოფლიო ომი; რუსეთში, რომელმაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავით აღიარა გერმანიასთან დამარცხება, სამოქალაქო ომია. ამ ზავით საბჭოთა რუსეთმა ართვინის, არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები თურქეთს მიაკუთვნა, მაგრამ თურქეთი მიცემულით არ კმაყოფილდება. მან ფრონტი გაუხსნა საქართველოს რესპუბლიკას, რის შედეგადაც თურქეთის ჯარების ხელში აღმოჩნდა, გარდა ზემოთ ხსენებული ტერიტორიებისა, ოზურგეთის მაზრის (მათ შორის — ოზურგეთის) დიდი ნაწილი, ახალციხის მაზრა მთლიანად და ახალქალაქის მაზრის დიდი ნაწილი. თურქი ასკერები თბილისისკენ მიისწრაფოდნენ. კრიტიკული ვითარება იყო აფხაზეთში. აფხაზმა ექსტრემისტებმა, ალექსანდრე შერვაშიძის მეთაურობით, შიდა ფრონტი გახსნეს. ასეთივე შიდა ფრონტი გახსნეს ოსმა სეპარატისტებმაც შიდა ქართლში. გარდა ამისა, ქართველი კომუნისტები ზოგიერთ პროვინციაში აწყობდნენ პროვოცირებულ „აჯანყებებს" (რაჭა-ლეჩხუმი, დუშეთის მაზრა და სამეგრელოს ზოგიერთი ნაწილი). მათ მიაჩნდათ, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, როგორც „ბურჟუაზიის აგენტურამ", საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციას ჩამოაშორა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება „სოციალისტური რევოლუციის" ღალატი იყო, რადგან ამით საქართველო საბჭოთა რუსეთს ჩამოაშორეს.

საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, შინ და გარეთ, ცეცხლის ალში იყო გახვეული. ახლადშექმნილ კოალიციურ მთავრობას ნოე რამიშვილის მეთაურობით, უამრავი თავსატეხი პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი. ნოე რამიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, როგორც მთავრობის მეთაურმა, ყველაზე კრიტიკულ მომენტში (1918 წლის მაის-ივნისი), წარმატებით გაართვა თავი ამ რთულ ვითარებას. იგი სასწრაფოდ გაემგზავრა ფოთში (თან იახლა თბილისში მცხოვრები გერმანელი მწერალი, საქართველოს დიდი მეგობარი არტურ ლაისტი), შეხვდა კაიზერის მიერ კავკასიაში გერმანიის ჯარების ახლადდანიშნულ სარდალს გენერალ ფონ ლოსოვს. დრო არ ითმენდა, ამიტომ ფონ ლოსოვმა საკუთარი პასუხისმგებლობით სასწრაფო ღონისძიებები ჩაატარა: საქართველოში განლაგებული ყოფილი გერმანელი ტყვეებისგან (2000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი) შექმნილი სამხედრო შენაერთით, გააძლიერა ქართველთა ახლადშექმნილი შეიარაღებული რაზმები. ქართულ ჯარში მოხალისეებად ჩაეწერნენ საქართველოში მცხოვრები (ეკატერინფელდში) გერმანელი ახალგაზრდებიც. ქართულ-გერმანულმა შენაერთებმა ეკატერინფელდის ფრონტზე (ბოლნისის მიდამოებში) უკუაგდეს თურქი ასკერები. გარდა ამისა, ქართულმა სამხედრო ნაწილებმა, ვაშნართან და ოჩხამურთან (გურია), გმირული და თავდადებული ბრძოლით სასტიკი დამარცხება აგემეს თურქებს.

გენერალ ფონ ლოსოვისა და ნოე რამიშვილის შეთანხმება, საქართველო-გერმანიის მეგობრობის შესახებ, კაიზერ ვილჰელმ მეორემ, არა მხოლოდ მოიწონა, არამედ საბჭოთა რუსეთი აიძულა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისთვის დამატებით ოქმზე მოეწერა ხელი. ამ ოქმით, გერმანიამ დე ფაქტოდ და დე იურედ სცნო საქართველო და საბჭოთა რუსეთიც აიძულა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ეს იყო ქართული დიპლომატიის ბრწყინვალე გამარჯვება: დიდმა გერმანიამ პატარა საქართველოს მხარე დაიკავა თავისი სამხედრო მოკავშირის, თურქეთის წინააღმდეგ, რაც კონკრეტულად იმაში გამოიხატა, რომ გერმანიამ აიძულა თავისი მოკავშირე თურქეთი, დაეცალა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციები. მიუხედავად ამისა, საქართველო არ დალოდებია თურქეთის ნებაყოფლობით გასვლას (ისინი ფეხს ითრევდნენ), ქართული ჯარი და ახლადშექმნილი სახალხო გვარდია დაძრა მათ წინააღმდეგ. მაშინდელი პრესა სავსეა ქართული ჯარის გმირული ბრძოლების ეპიზოდების აღწერით.

განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი იყო ვაშნარ-ოჩხამურისა და ეკატერინფელდის ფრონტებზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და ქართულმა საზოგადოებრიობამ დაღუპულ გერმანელ და ქართველ ჯარისკაცთა საძმო სასაფლაოები მოაწყო ეკატერინფელდში, ხოლო ქართველი მეომრების საძმო სასაფლაო ვაშნარსა და ოჩხამურში. გასაბჭოების შემდეგ ეს მემორიალები კომუნისტებმა გაანადგურეს. დღეს ნოე რამიშვილის ფონდს (პრეზიდენტი გოლა ხვედელიძე) გადაწყვეტილი აქვს ამ საფლავების მოძიება და მათი კეთილმოწყობა.

საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ დადებითად გადაწყვიტა ზაქათალის ოლქის (საინგილოს) საკითხი. ნოე რამიშვილის კაბინეტმა და საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სპეციალური სხდომა მიუძღვნა საინგილოს საკითხს, რომელზედაც ანგარიშით გამოვიდა ნოე რამიშვილი. 1918 წლის 17 ივნისს ქართულმა ჯარმა და გვარდიამ რუსი საბჭოთა დივერსანტებისგან გაწმინდა დუშეთის მაზრა.

რაჭა-ლეჩხუმშიც მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა: რუსი საბჭოთა დივერსანტებისა და ქართველი კომუნისტების ბანდას მეთაურობდა ალექსანდრე გეგეჭკორი, მაგრამ ეს ავანტიურაც ჩაიფუშა. ქართულ ჯარს მეთაურობდნენ გენერალი სუმბათაშვილი და პოლკოვნიკი ინწკირველი. მათი ცნობით, ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ აფხაზებიც.

მაშინ საქართველოს საკუთარი სამხედრო ორდენები არ გააჩნდა. ნოე რამიშვილის მოთხოვნით, ფრონტზე განსაკუთრებული გმირობისთვის, დაანესეს წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვება. აღსანიშნავია, რომ პარტიულმა გაზეთმა „ერთობამ" ამის გამო გააკრიტიკა ნოე რამიშვილი (აქაოდა წმინდა გიორგის ჯვარი — მეფის რუსეთის სიმბოლიკა არისო, მაგრამ ნოე რამიშვილმა უპასუხა: წმინდა გიორგი ქართველების საყვარელი გმირია და იგი მის გერბზეც არის გამოხატულიო).

1918 წლის ივლისში ქართულმა ჯარმა და გვარდიამ ბრძოლით აიღო სოჭი და ადლერის რეგიონი, სადაც ქართული ჯარის შესვლის შემდეგ, სოჭი-ადლერის რუსული მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა ჩატარდა, რომელმაც დაადგინა: „სანამ რუსეთში დემოკრატიული წყობილება არ გაიმარჯვებს, ისინი დარჩებიან საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში".

ჩვენ, სპეციალურად შევჩერდით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ პერიოდზე, რომელიც საქართველოს ისტორიაში აღიქმება, როგორც უმძიმესი პერიოდი. მაშინდელმა საქართველოს ახალგაზრდა, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ღირსეულად გაართვა თავი ცხოვრებისეულ გამოცდას.

მომდევნო პერიოდშიც, 1921 წლის თებერვალ-მარტის ტრაგიკულ დღეებამდე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, უკვე ნოე ჟორდანიას მეთაურობით, ბრწყინვალე წარმატებებს აღწევდა, მიუხედავად შინაური (ქართველი კომუნისტები) და გარეშე (გენერალ დენიკინის არმია, საბჭოთა რუსეთი, დაშნაკური სომხეთი) მტრების ზეწოლისა.

ასეთია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და მისი შემდგომი პერიოდის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

ზურაბ კოტრიკაძე

სატირა

## სული და სუნი



...ლაც ხალხის ბოღმა და დარდი
...ლუციად ამოქუხდება;
...ლაც აზრებს სტიქია ჩანთქავს,
...ება და ათუხთუხდება;
...ის ფსკერიდან მარგალიტს გარდა,
...ხიბლწეც ამოდუღდება.

...რე ვითარებაში,
...ნაგავში მასა იხნევა,
...ძნელად გადასაგდები,
... „ხატების" გულზე მიბნევა,
...„მძიმგდები" კანონის ძალით,
...ლმა დასვრილმა იშოვნა „საშვი",
... „ძღაბიი" ახტა, გაჭენდა
... ლორმა გაივსო ფაშვი.
...ებს არ გააჩნიათ,
...ტიკო ნიჭიერება
...ებენ ჯერ ზედაპირზე,
...ცნობილი ნივთიერება.
...ლე მანამ იქნება,
...ნოდ ვიზამთ „არჩევანს",
...კლა არ მივეჩვევით,
...ის და სუნის გარჩევას.

რუსლან მიქაბერიძე

## განცხადება

1996 წლის 29 მაისს 15 საათზე მოწვეულია პრესის გავრცელების
სააქციო საზოგადოება „მაცნე"-ს აქციონერთა კრება.
აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.
კრება ჩატარდება სს „მაცნე"-ს შენობაში.
ქ. გამსახურდიას გამზ. 42. ტელ.: 93-43-97.

სს „მაცნე"-ს დირექცია

გუდაგ

შენს ჯიბეში ცივი ბოთლის კოკა-კოლა

რადიო 106 - პირველი რადიო

"Coca-Cola Planet Live!"

## OASIS – რადიო 106-ის ეთერში!

როგორც კი „ოაზისის" წევრებმა დაიწყეს ერთად მოღვაწეობა, მათ პირობა დადეს, რომ საუკეთესონი იქნებოდნენ. იქედან მოყოლებული სწორედ ამ დევიზით მუშაობენ. Oasis ხუთი წევრისგან შედგება — Liam Gallagher (მომღერალი), მისი ძმა Noel (სიმღერების ავტორი და გიტარისტი), Paul Arthurs (გიტარა), Paul McGuigan (ბასისტი) და Alan White (დასარტყამი ინსტრუმენტები). მათ მოღვაწეობა შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში დაიწყეს, ერთ-ერთ კლუბში. სწორედ აქ მოუსმინა მათ პირველად Creation Records-ის პრეზიდენტმა Alan McGee-მ, რომელიც აღფრთოვანდა მათი შესრულებით და სასწრაფოდ იქვე მოაწერა ხელი Oasis-თან კონტრაქტზე.

ამის შემდეგ დაიწყო გამოსვლები სხვადასხვა შოუზე, რომელთაგან პირველი მანჩესტერში გამართული მუსიკალური ინდუსტრიის სემინარი იყო, სახელწოდებით „In the City". „ოაზისის" პირველი ჰიტი იყო „Supersonic", რომელსაც შემდგომ კიდევ უფრო პოპულარული „Shakemaker", „Live Forever" და „Cigarettes and Alcohol" მოჰყვა.

პირველ ალბომსაც სწორედ პირველი ჰიტის სახელი ეწოდა „Supersonic", რომელიც სულ რაღაც რვა საათში ჩაიწერა! როგორც კი ეს მაკგიმ გაიგონა, თავზე Jack Daniels-ის მარკის ვისკი გადაისხა და აღგზნებულმა განაცხადა: ვიდრე ყველა ჯგუფი, რომელიც ჩემს სტუდიაში იწერს სიმღერებს, ამ დონეზე არ ავა, მათი ფეხი არ იქნება ჩემს ხმის ჩამწერ სტუდიაშიო.

„ოაზისის" შემდგომი ჩანაწერი — „Definitely Maybe" ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე სწრაფად გაყიდული ალბომი აღმოჩნდა და ნომერი პირველი ადგილიც დაიმსახურა. 1994 წელს კი ჯგუფის ჩანაწერთა რაოდენობამ წალეკა მუსიკალური პროდუქციით დატვირთული დახლები. 1995 წელს „ოაზისმა" რამდენიმე ძალიან პრესტიჟული ჯილდო მიიღო. ამ დიდ წარმატებას კვლავ ახალი ალბომი მოჰყვა — „(Whats The Story) Morning Glory", რომელიც გასულ შემოდგომაზე ჩაიწერა.

ბოლო ხანებში „ოაზისი" ამერიკის „დაპყრობით" არის დაკავებული. ჯგუფი აგიჟებს მასზე ისედაც შეყვარებულ მუსიკის „Fan"-ებს, ნოელ გელეგერი სახლშიც კი ეპატიჟება მათ ფინჯან ჩაიზე.

თუმცა, ჯგუფი ლაიამმა ჩამოაყალიბა, მასში ამჟამად მმართველი როლი მის ძმას, ნოელს უჭირავს. გარდა იმისა, რომ იგი ჯგუფის გიტარისტია, სწორედ მისი დაწერილია „ოაზისის" ყველა სიმღერა.

„ოაზისმა" ახლახანს დაასრულა გასტროლები შეერთებულ შტატებში, კანადასა და ევროპაში და ამჟამად ზაფხულის სამი თვის გატარებასაც სწორედ საზღვარგარეთ მოგზაურობაში აპირებს.

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

იყიდება სასწრაფოდ „მერსედეს ბენცი-123“ „102“ ძრავით, ბენზინზე. ავტომატიკა. საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-48-05, იკითხეთ კარლო.



## იყიდება

■ ოთხოთახიანი ბინა ვაკეში, ორი დიდი აივნით, ორადგილიანი ავტოფარეხით, სარდაფით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-33-23.

სასწრაფოდ ოროთახიანი სუფთა ბინა საბურთალოზე. ჭერი 1.75 სმ. რვასართულიანი სახლის მე-6 სართულზე. ტელ.: 38-06-32. იკითხეთ ნანული.

■ ხუთოთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა, სამსართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ოთახების ფართი 105 კვ.მ., ლოჯი 20 კვ.მ., სამზარეულოთი და საშხაპე ოთახით. ჭერის სიმაღლე 4,25 მ. მისაღებ ოთახში არის უნიკალური ბუხარი, გვაქვს მანქანის სადგომი და ნახევრადსარდაფი 32 კვ.მ., მისამართი: წინამძღვრიშვილის (ყოფილი კლარა ცეტკინის) 79. მეტრო მარჯანიშვილის უკან. ფასი 65000 დოლარი. ტელ.: 95-26-51.

■ ბინა ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალში, 21-ე კორპუსი, მესამე სართულზე კუთხის სამოთახიანი, ტიპიური ბინა, 21 კვ.მ. ლოჯით, ლოჯის გასწვრივ აივნით, რკინის კარით, სარდაფით, ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. ბინა სუფთა და ნათელია. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 31-12-32, 39-39-45, იზა, მედიკო.

■ ოთახნახევრიანი ბინა ქალაქის ცენტრში, საერთო ფართი 60 კვადრატული მეტრი. ოთახების ფართი: 28, 10 კვ.მ., სამზარეულო 10 კვ.მ., ჭერის სიმაღლე 4 მ., მაღალ ბელეტაჟზე, ცალკე შესასვლელით. ტელეფონით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, სარდაფით, უზნაძის (ყოფილი კამოს ქ.) ქუჩაზე, მარჯანიშვილის თეატრთან ახლოს. ფასი 17000 ლარი. ტელ.: 30-00-47, 95-11-15.

ხარისხიანად, ნახევარ საათში!

სავიზიტო ბარათები

გაზეთ „კავკასიონის“ კომპიუტერული ცენტ-რი თქვენი მეზობელია

მობრძანდით.

პეტრიაშვილის 7,

ტელ.: 29-48-05

„ზოოვეტმომარაგების“ რესპუბლიკურ ბაზას და მის ვეტერინარულ აფთიაქებს გააჩნიათ ყველა სახის მაღალეფექტური პრეპარატები. ჩვენთან ვეტპრეპარატები ყველაზე ხელმისაწვდომ ფასებშია, გარანტირებულია ხარისხი. მოგვმართეთ რაიონების ვეტერინარულ აფთიაქებში და „ზოოვეტმომარაგების“ რესპუბლიკურ ბაზაში.

მისამართი: ნავთლუღი, მატროსოვის 15, მეტრო „სამგორი“.

ტელეფონი: 74-36-62, 74-12-16, 74-02-00

## ვაქირავებ

■ ოროთახიან კერძო სახლს ვაკის პარკთან ახლოს, ტელეფონით. ფასი 200 ლარი. ტელ.: 34-31-28.

■ დიღმის მასივში, ხიდთან, პირველი თოთხმეტსართულიანი სახლის ბოლო სართულზე სამოთახიანი ბინა ტელეფონით, ბუხრით. ფასი 120 ლარი. ტელ.: 98-25-63.

■ 24 კვ.მ. სათავსოს ისნის ბაზრობასთან. მისამართი: შორისის 34. ტელ.: 74-58-40, ფასი შეთანხმებით.

■ სამოთახიან ბინას დიღმის მასივში დიდუბის ხიდთან პირველი 14-სართულიანი სახლის ბოლო სართულზე, ტელეფონით, ბუხრით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-25-63.

■ ჯიხურს ისნის ბაზრობის ტერიტორიაზე. მოგვაკითხეთ № 51 ჯიხურში.

■ იჯარით ორსართულიან კერძო სახლს 500 კვ.მ. ეზოთი. დიდი გარაჟით. საბურთალოზე ტაშკენტის ქუჩაზე, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.

■ ერთოთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით, გარემონტებული, რკინის კარებით. გაგარინის მოედანთან საბურთალოს ბაზრის ახლოს. კერძო და იურიდიულ პირებზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-31-54, ლამარა.

■ ოთახნახევრიან ბინას სამტრედიის ქუჩაზე ჩეხური პროექტის 9-სართულიანი სახლის პირველ სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-48-15.

■ ოთახნახევრიან იზოლირებულ ბინას რკინის კარით, მცირე ავეჯით. ვაზისუბანში (16-სართულიანი სახლის მე-12 სართულზე). ფასი 60 ლარი. ტელ.: 38-64-69, 51-53-29.

■ ერთოთახიან იზოლირებულ ბინას, ავეჯით, ტელეფონით. ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-72-60.

■ ზედა წყნეთში ორსართულიან სახლს ორი ოთახით. გარემონტებული. 400 კვ.მ. ხეხილის ბაღით. ტელ.: დილით 93-66-63, საღამოს 37-26-33.

## სხვადასხვა

■ ვყიდი სამკერვალოს და ტრიკოტაჟის საქსოვ ტექნოლოგიურ დანადგარებს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 93-23-82, იკითხონ გუგა (საღამოს საათებში).

■ იყიდება ახალი ფინური უნიტაზი თეთრი ფერის, ფასი შეთანხმებით. ტელ: 66-45-97

■ საესტრადო სიმღერის და ფორტეპიანოზე სმენით დაკვრის სწავლის მსურველებმა დარეკონ: 22-03-48.

■ ვყიდი ოთხკილოვატიან დენის გენერატორს, სამფაზიანი, ბენზინზე, ფაზებს შორის 205 ვოლტი, კარგ მდგომარეობაში. ფასი 450 ლარი. ტელ.: 66-68-08, მამუკა.

■ ვყიდი კონდიციონერს БК-2000. ფასი 120 ლარი. ტელ.: 98-25-63.

■ ვყიდი ხე-ტყის დასამუშავებელ დაზგებს, 3 სახის, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-43-87, 36-25-21, იკითხეთ კობა.

■ ვყიდი გერმანულ კობალტის სერვისს 28 ნაჭრით. ფასი 450 ლარი; სერვისს „რომეო და ჯულიეტა“, 27 ნაჭრით, 12-კაციანი. ფასი 350 ლარი; საძინებელი ოთახის ვენეციურ ანტიკვარულ ფანარს, ფასი 300 ლარი; ანტიკვარულ სურათს ბრინჯაოთი, ფასი 300 ლარი. ტელ.: 96-96-46.

■ ვყიდი მსუბუქ მანქანაზე დასადგამ საბარგულს, კარავს. რბილი ლეიბებით — ორ კაცზე. ფასი 150 დოლარი. ტელ.: 30-08-40, იკითხეთ დალი.

■ ვყიდი ქარხნული წესით დამზადებულ ნახევარ ლიტრიანებში დაფასოებულ ტომატ-პასტას. მინიმალური პარტია 100 ლარი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-44-61, 22-56-31, ჯულიეტა.

■ ვყიდი გერმანულ კედელს, 7 ნაჭერი. ტელ.: 68-89-18. ფასი 800 დოლარი.

■ ვყიდი მოტოკულტივატორს „გნომი“ МКН1. ტელ.: 35-05-46.

■ ვყიდი მუსიკალურ ინსტრუმენტს, ჩეხური წარმოების საყვირი „სუპერ არიოზო“, ფასი 60 ლარი. ტელ.: 99-02-73.

■ ვყიდი სხვადასხვა ფორმისა და ფერის გემოვნებით გაფორმებულ აბაჟურებს, ტორშერზე, ლამპაზე და ჭერზე ჩამოსაკიდს, ტელ.: 99-02-73.

■ ვყიდი ეპილაციის მანქანას, რუსეთის გამოშვება. ხარისხის გარანტიით. ფასი 150 ლარი. ტელ.: 95-88-42.

■ ვასწავლი სასაუბრო გერმანულ ენას ორ თვეში. გადასახადი თვეში — 20 ლარი. ტელ.: 37-19-64, 34-66-02, იკითხეთ ირაკლი.

■ ვასწავლი სასაუბრო ინგლისურ ენას გრამატიკული საფუძვლით ორ თვეში. ფასი თვეში — 20 ლარი. ტელ.: 23-24-79.



## ნუგზარ მაზმიშვილი

უკვე მესამე წელია უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, ჩვენო ნუგზარ. დრო ყველაფრის მკურნალიაო არ უთქვამთ სწორედ ბრძენებს. ვერავითარი წლები ვერ გაახუნებს იმ სიყვარულს, რაც შენდამი გვაკავშირებს. ვერავითარი დრო ვერ დაგვავიწყებს შენს სამაგალითო კაცურ ქცევას, მეგობრებთან გვერდით დგომის გასაოცარ ნიჭსა და უნარს. არ გვახსოვს ერთხელ მაინც გეღალატოს შენი კაცური რწმენისთვის, ერთხელ მაინც გადაგეხვიოს იმ მართალი გზისთვის, რომელზეც სიკვდილის ბოლო წუთამდე იარე.

შემთხვევით ამ ქვეყანაზე არაფერი არ ხდება, არც ის იყო გასაოცარი, ხსოვნის დღეს ვერის სასაფლაოზე ყველაზე მეტი თავჩაღუნული ვაჟკაცი შენს საფლავთან რომ იდგა. არავის დავიწყებიხარ იმ დღეს, ჩვენო ნუგზ. არც არასოდეს დაგვავიწყდები. შენნაირი გულის კაცები ხომ იშვიათად ევლინებიან ქვეყანას.

შენი საძმო კი იმითღა ვინუგეშებთ თავს — ლამაზი შვილები გეზრდება, ეთიკო და ლევანი, ყოველი ნახვის დროს გაფაციცებით გვისმენენ, რაიმე ახალი შეიტყონ შენი წარსული ცხოვრების შესახებ. საბედნიეროდ მოსაყოლი საკმაოდ ბევრი გვაქვს.

დღეს კიდევ ერთხელ მოვალთ შენს საფლავთან კიდევ ერთ დაბადების დღეს შევხვდებით უშენოდ. ჰიჰა ლეინოსთან ერთად კაცური ცრემლებით დავასველებთ შენს ლამაზ საფლავს, გვენატრები და გვიყვარხარ ისე, როგორც არასდროს.

მეგობრები



## გია ლობჟანიძე

შვილო გია! დაბადების დღეს გილოცავთ! ვაი, რომ უკვე ოთხი წელია უშენოდ ვარსებობთ.

უფალო, უფალო რა დავაშავეთ?!

გია შვილო, როგორ გავუძლოთ უშენოდ დაგდებულ, გამწარებულ წუთისოფელს?! — ეს მაინც შეგვატყობინე დიდ, უსაზღვრო სულეთში ნაადრევად გაფრენილო შვილო გია.

შვილო, გვტანჯავს უშენობა. ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა შენი სიცოცხლე. 34 წლისა იყავი, სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეული. სადაც კი გივლია, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე — ყველას დააკლდი, ყველაზე მეტად კი შენს უბედურ მშობლებს, მეუღლესა და შვილებს.

გვტანჯავს მოჩვენებები, თითქოს მოხვედი შენებური ხმაურით, მანქანის საყვირით, მაგრამ სად არის ჩვენი ლამაზი გია — მოჩვენებები ქრება და კვლავ უიმედობა გვიბრუნდება.

მეტი რაღა დაგვრჩენია, შვილო გია; ახლა ჩვენთვის ყველაზე წმინდა ადგილი, შენი ადგილსამყოფელის ლაგოდეხში. არ გვემეტები მიწისთვის ჩვენო ჭკვიანო და ერთგულო შვილო.

მშობლები

## ღიმილვორდი

თარაზულად: 5. როგორი ცვლილებები უყვარს კარდინალს? 6. ჰაჰის ინგლისელი ნათესავი; 7. „ვინც სიმართლეს ელტვის, უყვარს მოწევა...“; 11. დაპირისპირებულ მხარეთა გამყოფი „ნაგვის“ გროვა; 12. ლექსის ცხიმიანი ნაწილი; 13. „ჩიტაა“ — ძველქართულად, ანუ სახელმწიფო აზიაში; 17. თითქმის მარათონელი; 18. საჭირო ზედმეტი ტვირთი; 19. ყველა კომკავშირელისთვის ახლობელი მორგი; 20. მიმართვა მკვლელისადმი; 22 სათვალემდე იყო; 25. სანამ „თბილი“ გაზდებოდა; 29. დიდი თანამედროვე კოლეგების იოჰანისა და რიჰარდის გვარი ავხაზურად (მუსიკ.); 30. კაცია მუნჩაძესავით მოკვდა (ლიტ.); 31. ვინ მოღვაწეობდა შტირლიცის ფსევდონიმით? 32. რა იყო მთავარი კლოსისთვის ცხოვრებაში; 33. ვინ თქვა ესე? (ფილოს.).

შვეულად: 1. პაროლი შეხვედრის გადასაწოდებლად; 2. როცა რაოდენობები თანაბარია; 3. ...აკლია, ის აღარ არის, რაც უნდა იყოს; 4. დე-ტოლის პირველი ნახევარი (ფელდმარშ.); 6. ღვინის თვისება, რომელიც მის დალევამდე შეიგრძნობა; 8. „მიყვარს როდესაც სრული შტილია, მშვიდი ცხოვრება ჩემი...“; 9. ერთ-ერთი ორთაგან, ვინც დილაობით შამპანურს გვახლებათ (კინ.); 10. რა შეცვალა ბრეჟნევმა სსრკ-ში? 14. რა არის 7 ¼ ... (კინო); 15. ვინ შეავსო №3 საკუთარი კაპიკით? (კინ.); 16. ნივრის სხეულის ნაწილი; 21. გეის მეორე ნახევარი (ფიზიკ.); 23. „რიცხვიანი“ შოტლანდიელი მათემატიკოსი; 24. როგორი კაბები აცვია ასი კაბის პატრონს? (გამოც.); 26. ... მიმდევარი ანუ...; 27. რა წითლდება სირცხვილის გარეშე? (ქიმ.); 28. ყველა სომხისთვის სანატრელი შავი ბაღი







წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. დეპოზიტი; 2. რეგლამი; 3. ვალტორნა; 4. დუხტინა; 5. მოუზიკლი; 6. შვეიცარი; 7. ალბანეთი; 8. ბატიბუტი; 9. ...; 10. კატალოგი; 11. თამასუქი; 12. არდელანი; 13. მედიცინა; 14. ანტრაქტი; 15. ზარადინი; 16. მალაიზია; 17. ...; 18. ბილიარდი; 19. კატენარი; 20. ატრაქცია; 21. პარაგვაი; 22. კანცლერი; 23. ჩემპიონი; 24. გირლანდა; 25. ნოვატორი; 26. ...; 27. ჩიჩიბეი; 28. რეზეგატი; 29. ადმირალი; 30. კომპრესი; 31. ჩურჩხელა; 32. მარტვილი; 33. ოლიხნარი; 34. ...; 35. ...უხოვარი; 36. მოლეკულა.

რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე,
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.